[illegible] მარქსის სახ. [illegible] საჯარო ბიბლიოთეკა [illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე დღის 12 საათიდან 5 საათამდე და საღამოს 8 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ.
რედაქტორის . . . 14—76
რედაქტორის მოადგ. 23—17
მდივნის . . . . 10—58
მასიური განყოფილ. 22—44

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 1% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

— უმუშევართა სერიოზული მღელვარება იტალიაში.
— დემონსტრაციები ვარშავაში სიკვდილის განაჩენის გამო სამი კომკავშირელისათვის.
— საბჭოთა ფერადი ლითონების მრეწველობის განვითარების პერსპექტივები.
— მელორეობის სადგურის მოწყობა საქართველოში.

პარასკევი, 29 აგვისტო 1930 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 201 (2849)

მემარჯვენე ოპორტუნიზმი პურის დამზადების მთავარი მტერია

„ბრძოლა პურისათვის სოციალიზმისათვის ბრძოლაა". ლენინის ეს სიტყვები უაღრესად ცხოველმყოფელია დღევანდელ პერიოდისათვისაც. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რა განსაკუთრებული ადგილი ეკუთვნის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში პურის პრობლემას. იმ ღრმა გარდატეხათა საფუძველზე, რომელთაც ადგილი ჰქონდა სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში, ჩვენ ძირითადად გადავწყვიტეთ პურის პრობლემა. საბჭოთა კავშირი უზრუნველყოფილია პურით მიმდინარე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და უკვე ვუახლოვდებით იმ მდგომარეობას, როცა ჩვენი პური უცხოეთის ბაზარზე დაიჭერს საპატიო ადგილს. ყველასათვის ცხადია, ამ მიღწევათა უდიდესი მნიშვნელობა სოციალისტური მშენებლობის წარმატებისათვის, მაგრამ ეს არავითარ საბუთს არ გვაძლევს დამშვიდებით ვიყვეთ. მიღწევები პურის პრობლემის გადაჭრის დარგში მაშინ გამოიღებენ მოსალოდნელ ნაყოფს, თუ მტკიცედ გავატარებთ ცხოვრებაში ამ პრობლემის გადაჭრისაკენ მიმართულ მორიგ ღონისძიებებს, თუ უკლებლივ და განუხრელად განვახორციელებთ პარტიის მითითებებს პურის დამზადებისათვის. აქედან გასაგებია ის განსაკუთრებული და შეუნელებელი ყურადღება, რომელსაც პარტია და ხელისუფლება იჩენენ პურის დამზადებისადმი. სამწუხაროდ, ამასვე ვერ ვიტყვით ბევრ ადგილობრივ ორგანიზაციების შესახებ. გადაჭრით უნდა ითქვას, რომ მემარჯვენე ოპორტუნისტული პრაქტიკა უაღრესად ხელის შემშლელია ამ კამპანიაშიც.

იყო დრო, როცა პარტიას ენერგიული ბრძოლის წარმოება მოუხდა პურის დამზადებისადმი უარყოფით განწყობილების წინააღმდეგ. ბევრის აზრით, პურის დამზადება საქართველოში იყო სხვა საბჭოთა რესპუბლიკების პრაქტიკის „მექანიკურად" გადმოღების ნაყოფი. სინამდვილემ ყველასათვის ცხადჰყო, რომ საქართველოში პურის დამზადებისათვის პირობები და შესაძლებლობა არის.

ამჟამად, როდესაც პარტიის ენერგიული პოლიტიკის წყალობით პურის დამზადებამ საქართველოში დაიკავა შესაფერი ადგილი, ამ მუშაობას მემარჯვენე ოპორტუნიზმი სიძნელეებს უქმნის სხვა მხრივ. არაჩვეულებრივად ნელი ტემპები, იმედი საქმის თავისთავად მოწესრიგებისა, კეთილგანწყობილებითი დამოკიდებულება კულაკისადმი, მოჯამაგირეებისა, ღარიბ და საშუალო გლეხობის როლის დავიწყება პურის დამზადებაში— აი, რა ახასიათებს დღეს მემარჯვენე ოპორტუნიზმის პრაქტიკას სოფლად. კონკრეტულად, პურის დამზადების ცალკე საჭირბოროტო საკითხების მხრივ მემარჯვენე ოპორტუნიზმის ეს პრაქტიკა ასე გამოიყურება: არ არის გეგმა დაყვანილი სოფლამდე და ცალკე კულაკურ მეურნეობამდე, კულაკი პასუხისმგებლობას არ გრძნობს თავის ნორმის ჩაუბარებლობისათვის, ზოგიერთი კოლმეურნეობანი და პარტიის წევრებიც კი თავიანთ ზედმეტ პურს ან უმალავენ დამამზადებელ ორგანოებს ან ფულად ყიდიან მას კერძო ბაზარზე, პურით სპეკულიაციას არ ეწევა საჭირო წინააღმდეგობა და სხვ.

აშკარაა, რომ ასეთი მდგომარეობა, თუ ის ძირშივე არ იქნა აღკვეთილი, სერიოზულ დაბრკოლებებს შექმნის პურის დამზადების საქმეში. თუ არა მემარჯვენე ოპორტუნიზმის მავნე გავლენით, შეუძლებელია იმ ფაქტის ახსნა, რომ გორის, კასპის და გარეკახეთის რაიონები სამარცხვინოდ ჩამორჩებიან პურის დამზადებაში. ამასვე უნდა მიეწეროს ისიც, რომ საქართველოს ვაჭრობისა და მიწადმოქმედების კომისარიატების აპარატი ბევრგან მიუტევებელ გულგრილობას იჩენს სათესლე სესხის, თესლის, სადაზღვევო ფონდის და სამინდე გადასახადის შეგროვებაში.

საქართველოს კომპარტიის ცეკას 26 აგვისტოს დადგენილების („კომუნისტი", № 200) მთავარი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ გააფთრებული ბრძოლა გამოეცხადოს მემარჯვენე გადახრას პურის დამზადებაში და ამასთანავე „მემარცხენე" გადახვევების პრაქტიკასაც, რომელიც უმთავრესად გამოიხატება საშუალო გლეხობის გათანაბრებაში კულაკობასთან. ცეკას ზემოხსენებული დადგენილება კატეგორიულად აფრთხილებს ადგილობრივ ორგანიზაციებს, რომ პარტია არ დაუშვებს არავითარ ლიბერალობას მემარჯვენე გადახრისა და „მემარცხენე" გადახვევათა გამტარებლებისადმი.

„ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია, — ნათქვამია დადგენილებაში—ერთხელ კიდევ აღნიშნოს, რომ დირექტივების შეუსრულებლობას იგი განიხილავს, როგორც პარტიის ხაზიდან გადახვევას, ხოლო კულაკური მეურნეობისადმი სისუსტის გამოჩენას, როგორც მემარჯვენე გადახრის მკაფიო გამოაშკარავებას პრაქტიკაში და როგორც კულაკისათვის პირდაპირ დახმარების გაწევას. ცენტრალური კომიტეტი კატეგორიულად აფრთხილებს პარტიულ ორგანიზაციებს საშუალო გლეხის წინააღმდეგ რაიმე გადახვევების, ღარიბი და საშუალო გლეხობის მეურნეობამდე გეგმების მიყვანის და ღარიბ და საშუალო გლეხობის წინაშე ადმინისტრატიული ზომების მიღების დაუშვებლობის შესახებ.

ამასთანავე ყოვლად მიუღებლად უნდა ჩაითვალოს, როცა პარტიის ან კომკავშირის წევრი უარს აცხადებს თავის ზედმეტი პურის სახელმწიფოსათვის მიყიდვაზე. ეს არის პარტიის წევრის გახრწნის უსაძაგლესი ნიმუში. ამგვარ ელემენტებს პარტიის რიგებში ადგილი არ უნდა ჰქონდეთ. მათ მომავალში თანვე უნდა გაჰყვენ პარტიიდან ისინიც, რომლებიც ამახინჯებენ დირექტივებს პურის დამზადებაში.

ცეკას 26 აგვისტოს დადგენილება ამის შესახებ პირდაპირ ამბობს: „ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს როგორც ყოვლად დაუშვებელ მოვლენას პარტიისა და კომკავშირის ზოგიერთი წევრების მხრივ ზედმეტი პურის ჩაბარებაზე უარის თქმის შემთხვევებს და წინადადებას იძლევა დაუყოვნებლივ იქნან გამორიცხული პარტიიდან და კომკავშირიდან ის პირები, რომლებიც პურს არ ჩააბარებენ". მომავალში ამ პირების გარდა „პარტიიდან და კომკავშირიდან გამოირიცხოს აგრეთვე ისინიც, რომლებიც პურის დამზადების პრაქტიკაში ამახინჯებენ პარტიის დირექტივებს პურის დამზადების წესის შესახებ".

ცხადია, მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ მარტო ადმინისტრატიულ - რეპრესიული ღონისძიებებით ბრძოლა საჭირო ნაყოფს ვერ გამოიღებს. ამასთანავე აუცილებელია ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობის წარმოება. დაუზოგავად უნდა ვამხილოთ მემარჯვენე ოპორტუნიზმის ბუნება, მტკიცედ უნდა დავრაზმოთ პარტიისა და კომკავშირის ფართო მასები ცეკას ლენინური ხაზის სადარაჯოზე.

ჩვენ მოველით ადგილობრივ ორგანიზაციებისაგან პასუხს ცეკას 26 აგვისტოს დადგენილებაზე, პასუხს მოქმედებით და არა მარტო სიტყვიერს. დასამზადებელ პურის ნორმა საქართველოში—1 მილიონი ფუთი—უცვლელი რჩება, ამავე დროს არის შესაძლებლობა უფრო მეტი რაოდენობით დამზადდეს პური. მთელი ძალღონე უნდა ვიხმაროთ გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად. ამისათვის კი სისტემატიური და დაუზოგავი ბრძოლა უნდა გავაჩაღოთ მემარჯვენე ოპორტუნისტულ დამახინჯებათა წინააღმდეგ.

ფერადი ლითონების მრეწველობის პერსპექტივები

მოსკოვი, 28 აგვისტო. 26 აგვისტოს დაიწყო მუშაობა ფერადი მეტალურგიის კონფერენციამ საკავშირო სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან. კონფერენციის მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს საგეგმო კომისიის პრეზიდიუმის წევრი ამხ. **კანდროვი.** „სოიუზცვეტმეტზოლოტო"-ს მომხსენებელი ამხ. **გულინი** დაწვრილებით შეჩერდა ფერადი მეტალურგიის განვითარების პერსპექტივებზე და მის თანამედროვე მდგომარეობაზე. ყველა სახის ფერადი ლითონების მრეწველობამ უკვე დიდი ხნის წინად გადააჭარბა ომის წინა დროის დონეს.

ფერად ლითონებზე მოთხოვნილების სწრაფი ზრდა და აგრეთვე ფერადი ლითონების მრეწველობის განვითარების მაღალი ტემპები 1930-31 წელში საჭიროდ ხდიან გადამწყვეტი ზომების მიღებას, მით უფრო, რომ 1929-30 წლის 10 თვის განმავლობაში პროგრამა მთლიანად არ არის განხორციელებული, ლითონების ამოღების პროცენტი უდრის 94, ლითონების დამუშავების პროცენტი — 94. გეგმის შეუსრულებლობა აიხსნება არსებულ მოწყობილობის არა სავსებით გამოყენებით და მუშა-ხელის ცვალებადობით.

არ არის აგრეთვე შესრულებული თვითღირებულების შემცირების გეგმა. ფერადი ლითონების მრეწველობის განვითარების პერსპექტივა 1930-31 წლისათვის გვეხატება შემდეგი სახით: სპილენძი ამოღებული იქნება 59.498 ტონა, ზრდა 11 პროცენტი, ტყვიის ამოღების ზრდა — 20 პროც., თუთიისა — 334 პროც., ლითონების დამუშავების და ნახევარფაბრიკატების ზრდა—49 პროც. 1930-31 წელში ფერადი ლითონების მრეწველობაში დაბანდებული იქნება 300 მილიონი მანეთი. მშენებლობას 1930-31 წ. მოხმარდება 45 მილ. მანეთი. ტეხნიკუმებისა და უმაღლეს სასწავლებლების მშენებლობისათვის გადადებულია 9.700.000 მანეთი. კომისიამ ამხ. კრჟიჟანოვსკის მონაწილეობით კაპიტალის დაბანდება ფერად ლითონების მრეწველობაში 1930-31 წლისათვის 345 მილ. მანეთით განსაზღვრა. ამ თანხის 45 მილიონი მანეთით შემცირება გამოწვეულია ფულად და მატერიალურ სახსრების ხარჯვის უდიდესი ეკონომიის აუცილებლობით, მაგრამ დავალებები კაპიტალურ მშენებლობის და პროდუქციის გამოშვების შესახებ მთლიანად უნდა შესრულდეს. კონფერენციამ აღიარა, რომ კაპიტალური დაბანდების მრუდე ამ დარგში 1931-32 წ. ეცემა, და ფერადი ლითონების მრეწველობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები სრულიად არ არის უზრუნველყოფილი მიმდინარე ხუთწლედში კაპიტალების დაბანდებით. ამიტომ ფერადი ლითონების მრეწველობის ზუსტი ხუთწლიანი გეგმის სასწრაფოდ შედგენასთან ერთად დაუყოვნებლივ უნდა გამოირკვეს სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება ფერად ლითონებზე.

1930-31 წ. თვითღირებულების შემცირება საშუალოდ მრეწველობის ამ დარგში ნავარაუდევია 13 პროცენტით. შრომის ნაყოფიერება 1929-30 წელთან შედარებით უნდა გაიზარდოს 33 პროცენტით. ხელფასის ზრდა მაღაროებში განზრახულია 12 პროცენტით, ლითონების დამუშავებაში — 5,7 პროცენტით. საკონტროლო ციფრები ითვალისწინებს საფაბრიკო - საქარხნო სკოლების ფართო ქსელის შექმნას და აგრეთვე მუშების ყოფა - ცხოვრების პირობების რადიკალურად გაუმჯობესებას (ადს).

სხდომების და თათბირების რიცხვის შემცირება

მოსკოვი, 28 აგვისტო. საკავშირო სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს მიერ გაცემული ბრძანება აღნიშნავს, რომ ს.მ.უ. საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები თავიანთი სამუშაო დროის 30 პროცენტს სხვადასხვა სხდომებს და თათბირებს ანდომებენ. ამ დროის საგრძნობი ნაწილი ს.მ.უ. საბჭოს შიგნით გამართულ სხდომებზე იხარჯება. „ასეთი მდგომარეობა, — ნათქვამია ბრძანებაში,—დაუშვებელია, მიუხედავად დირექტივებისა ერთმართველობის შესახებ, სხდომებისა და თათბირების სიმრავლე ჰბადებს არაპრინციპიალურ საკითხების კოლეგიალურად გადაჭრის ტენდენციას, რაც ასუსტებს შემსრულებელთა პასუხისმგებლობას ყოველ ცალკე დავალებისათვის.

სახალხო მეურნეობის უმაღლესმა საბჭომ მიიღო ზომები სხდომების და თათბირების რიცხვის შესამცირებლად (ადს).

შემოდგომაზე საბჭ. კავშირში კოლმეურნეობებში დაითესება 15,815.000 ჰექტარი

უცხოელები ხუთწლიანი გეგმის შესახებ: ,,ხუთწლიანი გეგმის შესრულება საბჭოთა კავშირის მუშებისათვის ნამდვილ ბრძოლას წარმოადგენს... ენტუზიასტები თავიანთი ბელადების მეთაურობით ასეული ათასობით მიეშურებიან ყველა მორიგ ფრონტებზე, ასეული ათასები, უკეთესი მომავლის გამარჯვების რწმენით აღფრთოვანებულნი, იკრებენ ყველა თავის ძალებს''

გერმანიის მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა კატასტროფიულად უარესდება

კომპარტიის გავლენის ზრდა გერმანიაში.—მუშები კრებენ ფულს კომპარტიის საარჩევნო ფონდისათვის

პილსუდსკის დეკლარაცია

პილსუდსკი კვლავ ,,ამკობს'' პარლამენტარიზმს და სეიმს

ვარშავა, 28 აგვისტო. მთავრობის პრესაში გამოქვეყნებულია პილსუდსკის დეკლარაცია. დეკლარაციის პირველ ნაწილში **პილსუდსკის „საერთოდ ეჭვი შეაქვს პარლამენტარიზმის სარგებლობაში"** და მკაცრად აკრიტიკებს პოლონეთის კონსტიტუციას: სეიმის ყოველ დეპუტატს კონსტიტუცია თავისებურად ესმის, რის გამო **კონსტიტუცია გადაიქცა ჩვეულებრივ ქუჩის ქალად.** პილსუდსკი აცხადებს, რომ მთავარ საკითხად ის თვლის კონსტიტუციის შეცვლას.

დეკლარაციის მეორე ნაწილში **პილსუდსკი ილაშქრებს სეიმის წინააღმდეგ და დეპუტატებს უწოდებს არამზადებს, ბანდას და ხროვას, რომელიც მიზნად ისახავს რაც შეიძლება მეტი მატერიალური საშუალებები ააწაპნოს სახელმწიფოს. პილსუდსკი ურჩევს ხელისუფლების წარმომადგენლებს არა მარტო გააგდონ დეპუტატები, რომლებიც მათ მიმართავენ, არამედ აგრეთვე მაგრად უთავაზონ კისერში. დეკლარაცია სავსეა უკვე ცნობილი გამოთქმებით—„დეპუტატების ჩახდილი აყროლებული ნიფხვების შესახებ, რომლებზედაც დამოკიდებულია სახელმწიფო" და სხვ.** პილსუდსკი აცხადებს, რომ სრულიად აუტანელია ისეთი მდგომარეობა, როცა ასი კაცისაგან შემდგარ არამზადების ბანდას შეუძლია თავისი სურვილები უკარნახოს სახელმწიფოს. სეიმის ამგვარი დახასიათების დროს პილსუდსკი აცხადებს, რომ მისი სიტყვები არ შეეხება უპარტიო ბლოკს.

შემდეგ **პილსუდსკი დასცინის მემარცხენე ცენტრის ოპოზიციას და უწოდებს მას არამზადების ხროვას.** ერთად-ერთ გამოსავალს ქაოსიდან, პილსუდსკის აზრით, წარმოადგენს კონსტიტუციის შეცვლა.

პილსუდსკის გამოსვლასთან დაკავშირებით პოლიტიკურ წრეებში თვლიან, რომ სეიმის ბედი ოქტომბრის დამლევამდე არ გამოირკვევა. (ადს).

„ჯორნალე დ, იტალია" პილსუდსკის დიქტატურის შესახებ

რომი, 28 აგვისტო. „ჯორნალე დ, იტალია" თანაგრძნობით ხვდება პილსუდსკის დაბრუნებას პოლონეთის მთავრობის ხელმძღვანელის პოსტზე და აფასებს ამ ფაქტს, როგორც იმის ნიშანს, რომ პილსუდსკი გადამჭრელ ბრძოლას დაიწყებს ოპოზიციის წინააღმდეგ, რათა განახორციელოს ის ანტიპარლამენტარული პროგრამა, რაც მან არა ერთხელ გამოუქვეყნებია (ადს).

საარჩევნო სამზადისი გერმანიაში

კომპარტიის და კომკავშირის გავლენის ზრდა

ღირსეული შეხვედრა გრჟეზინსკის

ბერლინი, 28 აგვისტო. ესენში რეიხსბანერის კრებაზე გამოვიდა სოციალ-დემოკრატი გრჟეზინსკი (პრუსიის ყოფ. შინაგან საქმეთა მინისტრი, რომელმაც თავის დროზე აკრძალა წითელფრონტელების კავშირი). **როცა გრჟეზინსკი გამოჩნდა დარბაზში, მას შეხვდნენ საშინელი აღშფოთებით და ძახილით: „ძირს პროლეტარიატის ჯალათი!".** გრჟეზინსკის განუწყვეტლივ აწყვეტინებდნენ სიტყვას ხმაურით და წამოძახილებით. უეცრად ქანდარიდან გადმოუშვეს ტრანსპარანტი წარწერით: **„ვერც ერთი ვირი, ვერც ერთი გრჟეზინსკი ვერ შეაჩერებს წითელფრონტელების კავშირის შემდგომ ნაყოფიერ მუშაობას. ხმა მიეცით კომპარტიის სიას № 4!".**

ტრანსპარანტის ჩამოშვებამ მქუხარე ტაში გამოიწვია, გრჟეზინსკიმ კი დასტოვა ტრიბუნა (ადს).

ამხ. ტელმანის სააგიტაციო მოგზაურობა

ბერლინი, 28 აგვისტო. ამხ. ტელმანის სააგიტაციო მოგზაურობას სამხრეთ გერმანიაში თან სდევს განუწყვეტელი მასიური მიტინგები და დემონსტრაციები. **მანჰეიმში ამხ. ტელმანის შეხვედრას მნიშვნელოვანი დემონსტრაციის ხასიათი მიეცა. მიტინგს დაესწრო 8 ათასი მშრომელი.** მრავალი ათასი მუშა ვერ მოხვდა გაჭედილ დარბაზში და მათთვის იქვე მოეწყო პარალელური მიტინგი (ადს).

მასიური შესვლა კომპარტიასა და კომკავშირში

ბერლინი, 28 აგვისტო. უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ბერლინში დაიშალა **მუშა-ახალგაზრდობის სოციალისტური კავშირის მთელი რიგი უჯრედები.** ამ უჯრედების 60 წევრი კომკავშირში შევიდა. საქსონიაში ამ ბოლო დროს კომკავშირში შევიდა ახალგაზრდათა სოციალისტური კავშირის 80 ყოფილი წევრი. შვანჰეიმის სოციალისტური ახალგაზრდობის ადგილობრივი ორგანიზაციის თავმჯდომარემ **გარმა** განცხადება შეიტანა კომკავშირში შესვლის შესახებ. დუისბურგში გამართულ საარჩევნო კრებაზე „რესპუბლიკანური დროშის" ორგანიზაციის ხელმძღვანელმა **ფრეიკამფმა** განაცხადა, რომ მას გადაწყვეტილი აქვს შევიდეს კომპარტიაში.

ვიტერფელდში სამთამადნო მუშათა სადელეგატო კონფერენციამ დაადგინა 1.000 მარკა შეიტანოს კომპარტიის საარჩევნო ფონდში.

რემშეიდში **ერტლინგაუსის საწარმოს მუშებმა დაადგინეს კომპარტიის საარჩევნო ფონდში გადარიცხონ ერთი საათის ხელფასი** (ადს).

უმუშევართა სერიოზული მღელვარება იტალიაში

პარიზი, 28 აგვისტო. როგორც რომიდან იუწყებიან, ჩრდილოეთ იტალიაში უმუშევართა სერიოზული მღელვარება მოხდა. პეგონიაგში 500 უმუშევარმა მშენებელმა მოაწყო დემონსტრაცია. უმუშევრები მოითხოვდნენ სამუშაოს და პურს. დემონსტრანტები შეიჭრნენ ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში, ჩაამტვრიეს ფანჯრები და დახიეს მუსოლინის სურათები. დაპატიმრებულია 100 კაცზე მეტი.

კასსანო-ადაში (საფაბრიკო რაიონი) უმუშევართა დემონსტრაციაში 1000 კაცზე მეტმა მიიღო მონაწილეობა. ბევრი დემონსტრანტი დააპატიმრეს და პასუხისგებაში მისცეს.

სირაკუზასა და ვიტტორიაში (სიცილიის კუნძული) **უმუშევრებსა და ჯარს შორის მოხდა შეტაკება.** დაჭრილია ბევრი დემონსტრანტი (ადს).

შეერთ. შტატების მრეწველობა ივლისში

ვაშინგტონი, 28 აგვისტო. ივლისში შენიშნული იყო სამრეწველო ინდექსის შემდგომი დაცემა. საბითუმო ფასების დაცემა აგვისტომდე გრძელდებოდა. **საფაბრიკო-საქარხნო საწარმოთა და მაღაროთა პროდუქცია ივლისში შემცირდა 6 პროცენტით.** შემცირდა ლითონის ჩამომსხმელი, რკინისჭედებელი, საფეიქრო, ხე-ტყისა და ფეხსაცმელების მრეწველობის პროდუქციაც. **მუშების ყველაზე მეტი შემცირება მოხდა ლითონისჩამომსხმელი, საავტომობილო, თუჯის ჩამომსხმელ და საფეიქრო მრეწველობაში** (ადს).

რკინისგზების მოგების შემცირება

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. შეერთებული შტატების 20 უმთავრესი რკინის გზის ცნობების თანახმად, მათი მოგება ივლისში უდრიდა 12 მილ. დოლარს ნაცვლად 18 მილ. დოლარისა გასულ წლის ივლისში. საერთო შემოსავალი ამ პერიოდის განმავლობაში 17 პროცენტით შემცირდა.

ნათესების ფართობის შემცირება

ვაშინგტონი, 27 აგვისტო. მიწადმოქმედების სამინისტრომ გამოაცხადა, რომ ფერმერებს განზრახული აქვთ საშემოდგომო პურეულის ნათესების შემცირება 4,5 პროცენტით გასულ წელთან შედარებით (ადს).

საავტომობილო მრეწველობის შემცირება ,

ვაშინგტონი, 27 აგვისტო. შეერთებული შტატების ვაჭრობის სამინისტროს ცნობებით, **ივლისში გამოშვებულია 262363 ავტომობილი ნაცვლად 335477-სა ივნისში.** გასული წლის ივლისში გამოშვებული იყო 500840 ავტომობილი (ადს).

8.000 მუშის გაფიცვა

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. ქალთა სამოსელის მკერავთა პროფესიონალურმა გაერთიანებამ გამოაცხადა **8 ათასი მუშის გაფიცვა და მოითხოვს ხუთდღიანი სამუშაო კვირის შემოღებას და ხელფასის გადიდებას 10 პროცენტით** (ადს).

სპარსეთის საელჩოს ცნობა

მოსკოვი, 28 აგვისტო. „იზვესტია"-ში დაბეჭდილია შემდეგი ცნობა:

„მოსკოვში მყოფ სპარსეთის საგანგებო საელჩოსაგან".

10 აგვისტოს გაზეთ „იზვესტია"-ში დაბეჭდილი იყო იმ ინტერვიუს შინაარსი, რომელიც მისმა იმპერატორობითი უდიდებულესობამ—სპარსეთის შაჰმა მისცა „დეილი ტელეგრაფ"-ის კორესპონდენტს.

სპარსეთის საგანგებო საელჩოს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის განცხადება როგორც კომუნიზმის საფრთხის საკითხის შესახებ, ისე სპარსეთის დაკავშირების შესახებ თურქეთის საშუალებით მოსულთან და შავ ზღვასთან აღნიშნული კორესპონდენტის მიერ დამახინჯებულად არის გადმოცემული.

მაგალითად, კორესპონდენტის შეკითხვაზე:—მოსალოდნელია თუ არა სპარსეთისათვის კომუნიზმის საფრთხე საბჭოთა კავშირის მხრივ, მისმა უდიდებულესობამ განაცხადა, **რომ ის ვერ ხედავს ამ საფრთხეს და ის არავითარი იჭვით არ უყურებს საბჭოთა კავშირს. რომ სპარსეთის დამოუკიდებლობას რაიმე საფრთხე ემუქრებოდეს გარედან, ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად ერთად-ერთი გამოსავალი იქნებოდა კომუნიზმის დამყარება, რომლის დროშას, ქვეყნის დამოუკიდებლობის დაცვის გულისათვის, ის პირველი აღმართავდა"** (ადს).

მთელი ყურადღება შემოდგომის თესვის გეგმის შესრულებას

მოსკოვი, 28 აგვისტო. კოლმეურნეობათა საკავშირო ცენტრმა წინადადება მისცა მთელს საკოლმეურნეო სისტემას—გადამწყვეტი ბრძოლა გამოუცხადონ საშემოდგომო თესვის კამპანიის პოლიტიკური და სამეურნეო მნიშვნელობის არასაკმარისად შეფასების მოვლენებს და იბრძოლონ კოლმეურნეობათა მიერ მიწის საანეულოდ მოხვნის გეგმის ვადაზე შესასრულებლად. კოლმეურნეობათა ცენტრის გამგეობამ დაამტკიცა კოლმეურნეობათა სექტორში საშემოდგომო თესვის ჩატარების ზუსტი გეგმა, რომლის მიხედვით განზრახულია მოიხნას 15.815.000 ჰექტარი. კოლმეურნეობათა ცენტრი ამ ციფრს მინიმალურად სთვლის და წინადადებას აძლევს ყველა კოლმეურნეობებს—მიიღონ ზომები, რომ რაც შეიძლება გადიდებულ იქნას საშემოდგომო ნათესების ფართობი, უზრუნველყოფილ იქნას, თესვისა და საანეულო მოხვნის გეგმების დაუყოვნებლივი მიყვანა კოლმეურნეობებამდე და გაიშალოს ფართო მუშაობა ამ გეგმების კოლმეურნეების საერთო კრებებზე მასიური განხილვისა და დამუშავებისათვის. თესვისა და საანეულო მოხვნის საკითხების განხილვაში ჩაბმულ უნდა იქნან ინდივიდუალური მეურნეებიც. თესვის კამპანიის სამუშაოთა გეგმა დასამტკიცებლად უნდა წარედგინოს სასოფლო საბჭოს. კოლმეურნეობათა კავშირი ვალდებულია ყოველივე ზომები მიიღოს არსებული მექანიკური და ცოცხალი გამწევი ძალის მაქსიმალურად და რაც შეიძლება რაციონალურად გამოყენებისათვის.

კონტრაქტაციის მიმდინარეობა კოლმეურნეობათა ცენტრს სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიაჩნია. ამიტომ ის კატეგორიულ წინადადებას აძლევს კოლმეურნეობათა კავშირებს—უშუალო მონაწილეობა მიიღონ კონტრაქტაციის გატარებაში და დაამთავრონ ის არა უგვიანეს 1 სექტემბრისა.

საშემოდგომო თესვისათვის მზადების პროცესში ყველა კოლმეურნეობათა კავშირებმა უნდა მიიღონ ზომები, რათა ფართოდ იქნას გაშლილი სოც. შეჯიბრება. საჭიროა გამოყოფილ იქნას სპეციალური ფონდები იმ კოლმეურნეობათა, ცალკე კოლმეურნეების და დამკვრელების დასაჯილდოვებლად, რომლებიც განსაკუთრებულ წარმატებას გამოიჩენენ (ადს).

გერმანელი ჟურნალისტის წერილი

ხუთწლიანი გეგმის შესრულების შესახებ

ბერლინი, 27 აგვისტო. „ფოსიშე ცეიტუნგი" ბეჭდავს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის შტეინის წერილს. „ხუთწლიანი გეგმის განხორციელება, სწერს შტეინი, მუშებისათვის ნამდვილ ბრძოლას წარმოადგენს. ახალი მშენებლობა, ახალი დაწესებულებები, ფაბრიკები და ქარხნები „ფრონტებია", მუშები, დამკვრელი ბრიგადები და ინჟენრები „მობილიზაციაქმნილად" აცხადებენ თავიანთ თავს, ზარმაცებს ჰკიცხავენ, როგორც დეზერტირებს. ამ მებრძოლი სულით არის გაჟღენთილი მთელი პრესა, სიტყვები და რადიო-ბრძანებები. ამ ქვეყნის მთელი სამეურნეო ცხოვრებას აწესრიგებს ბრძანებები, რომლებიც ყველა ძალების კონცენტრაციას ახდენენ ყველაზე უფრო „ვიწრო ადგილებში". ენტუზიასტები ასეული ათასობით მიეშურებიან თავიანთი ბელადების ხელმძღვანელობით ყველა მორიგ ფრონტებზე, ასეული ათასები, უკეთესი მომავლის გამარჯვების რწმენით აღფრთოვანებულნი, იკრებენ ყველა თავიანთ ძალებს" (ადს).

საბჭოთა კავშირიდან დაბრუნებულ მუშათა დელეგაციის შეხვედრა

ბერლინი, 28 აგვისტო. საბჭოთა კავშირიდან დაბრუნდა გერმანიის მუშათა დელეგაცია. დელეგაციის შესახვედრად სადგურზე თავი მოიყარეს დიდძალმა მუშებმა, რომლებიც მხურვალედ მიესალმნენ თავიანთ წარმომადგენლებს. დელეგაციასთან ერთად მუშები გაემართნენ კომპარტიის შენობისაკენ, სადაც გაიმართა მიტინგი. (ადს)

საპროტესტო დემონსტრაცია

კლასობრივი განაჩენის წინააღმდეგ

ვარშავა, 28 აგვისტო. უზენაეს სასამართლოში ირჩეოდა საქმე სამი კომკავშირელის: **გირშის, იუკენდის და პროპერის,** რომელთაც ლვოვის საოლქო სასამართლომ არალეგალური ლიტერატურის გავრცელებისათვის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. საქმე საკასაციო წესით ირჩევა. ვარშავაში და სხვა ქალაქებში გაიმართა საპროტესტო დემონსტრაციები განაჩენის წინააღმდეგ. სააპელაციო სასამართლოს შენობაში დემონსტრანტებმა ფანჯრის მინები ჩალეწეს. პოლიციამ გაჰფანტა დემონსტრანტები. ბევრი ხალხი დააპატიმრეს. სასამართლოს შენობას იცავდა ქვეითა და ცხენოსანი პოლიციის გაძლიერებული რაზმები (ადს).

გერმანიის მუშების მდგომარეობა

კატასტროფიულად უარესდება

ბერლინი, 28 აგვისტო. ცნობილი სტატისტიკოსი კუჩინსკი აღიარებს ივლისის თავის მორიგ ანგარიშში, რომ **გერმანიის მუშათა კლასის შრომის ხელფასი ყოველთვიურად უფრო და უფრო ეცემა.** ივლისში **გერმანიის ინდუსტრიალურმა მუშებმა უმუშევრობის გამო დაჰკარგეს თავიანთი ხელფასის 20 პროცენტი.** ამავე დროს იმ მუშების ხელფასის მსყიდველობითმა ძალამ, რომლებიც მთელს დროს მუშაობენ, ივლისში 13 პროცენტით დაიკლო გასული წლის ივლისთან შედარებით. მუშის ოჯახის საცხოვრებელი მინიმუმი ივლისში 20 პროცენტით უფრო დიდი იყო ინდუსტრიალური მუშის საშუალო შემოსავალთან შედარებით, რაშიაც შედის აგრეთვე დახმარებაც უმუშევრობის გამო (ადს).

მდგომარეობა ინდოეთში

ლონდონი, 28 აგვისტო. კალკუტაში (ინდოეთი) მოხდა მასიური ჩხრეკა და დაპატიმრება პოლიციის უფროსზე თავდასხმასთან დაკავშირებით. **პოლიციის უფროსის ავტომობილში გადისროლეს ორი ყუმბარა.** პოლიციის უფროსი უვნებლად გადარჩა; შოფერი და თავდამსხმელი მძიმედ დაიჭრნენ.

26 აგვისტოს ჯარადაგს (კალკუტის განაპირა უბანი) **საუბნო პოლიციის სამმართველოში გადისროლეს ახალი ყუმბარა.** დაჭრილია 6 კაცი (ადს).

შეტაკება სიმლაში

ლონდონი, 28 აგვისტო. სიმლაში გაიმართა დემონსტრაცია ნაციონალური დროშის დღის გამო. **პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს და სცემა მათ ბამბუკის ჯოხებით. ბევრია დაჭრილი ორივე მხრიდან.** დააპატიმრეს ადგილობრივ ნაციონალისტთა 15 ხელმძღვანელი, რომელთაც 4-4 თვის ციხე მიუსაჯეს (ადს).

კიდევ ერთი ყუმბარა

ლონდონი, 28 აგვისტო. 27 აგვისტოს საუბნო პოლიციის სამმართველოს ბინაში, სადაც მთავრობის შენობების მცველი პოლიციელები ცხოვრობენ, გადისროლეს მესამე ყუმბარა. დაიჭრა 4 კაცი. თავდამსხმელები მიიმალნენ.

ლაგორში (მნიშვნელოვანი ადმინისტრატიულ - სავაჭრო ცენტრი) ამასთან დაკავშირებით პოლიცია ახდენს მასიურ ჩხრეკას, რომელიც არავითარ შედეგებს არ იძლევა (ადს).

ამერიკელი „მსაჯულები"

ნიუ-იორკი, 28 აგვისტო. ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა რუზველტმა გადაწყვიტა მოახდინოს ქვედა საფეხურის სასამართლოს დაწესებულების გამოკვლევა. ეს გადაწყვეტილება გამოწვეულია მთელ რიგ მოსამართლეების აფერისტული საქციელით. ყველაზე უფრო დამახასიათებელია მოსამართლე **ევალდის** საქმე. მას ბრალი ედება იმაში, რომ მოსამართლის თანამდებობის მისაღებად **სხვადასხვა** პოლიტიკურ მოღვაწეებს 10 ათას დოლარზე მეტი მისცა ქრთამად (ადს).

ოლქების ლიკვიდაციის გარშემო

ოლქების საბიუჯეტო—ქონებრივ უფლებათა გადაცემა რაიონებისათვის

მოსკოვი, 28 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილემ ამხ. **როგოვმა** წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს—დაუყოვნებლივ შეუდგნენ სარაიონო ქალაქებისათვის ოლქების საბიუჯეტო—ქონებრივ უფლებათა გადაცემას საბჭოთა კავშირის ცაკისა და სახკომსაბჭოს იმ დადგენილების საფუძველზე, რომელიც ამ დღეებში იქნება გამოქვეყნებული (ადს).

საოლქო სამიწადმოქმედო განყოფილებათა ლიკვიდაცია უნდა დამთავრდეს 15 სექტემბრისათვის.

მოსკოვი, 28 აგვისტო. საკავშირო მიწათმოქმედების კომისარიატმა წინადადება მისცა მოკავშირე რესპუბლიკების მიწათმოქმედების კომისარიატებს, რომ საოლქო სამიწადმოქმედო განყოფილებების ლიკვიდაცია დამთავრდეს არა უგვიანეს 15 სექტემბრისა. ამავე რიცხვისათვის უნდა იქნას დამთავრებული რაიონულ სამიწათმოქმედო განყოფილებათა რეორგანიზაციაც (ადს).

რეფორმისტული და ქრისტიანული პროფკავშირების გაერთიანება

ბერლინი, 28 აგვისტო. გერმანიის რეფორმისტული პროფკავშირების ცენტრალურმა ორგანომ მოათავსა წერილი, რომელშიაც მოუწოდებს რეფორმისტულ პროფკავშირებს გაერთიანდნენ ქრისტიანულ პროფკავშირებთან. პროფბიუროკრატები აღნიშნავენ, რომ ქრისტიანულსა და თავისუფალ პროფკავშირებს შორის არავითარი განსხვავება არ არსებობს (ადს).

მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმი

ბერლინი, 28 აგვისტო. ციურიხში დამთავრდა მე-2 ინტერნაციონალის აღმასკომის პლენუმი. მთავარ საკითხზე — **განიარაღების საკითხზე პლენუმს არავითარი კონკრეტული დადგენილება არ გამოუტანია.** ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხის შესახებ პლენუმმა გამოსთქვა მხოლოდ სურვილი მოეწყოს პაციფისტური მანიფესტაციები ერთა ლიგაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

ინდოეთის საკითხის გადაჭრის იმედს პლენუმი „მრგვალი მაგიდის" კონფერენციაზე ამყარებს (ადს).

3.000 მუშა ქუჩაში გაისტუმრეს

ვენა, 28 აგვისტო. საბერძნეთიდან მიღებული ცნობით, უკანასკნელი კვირის განმავლობაში მაკედონიის მთელ რიგ ქალაქებში დაიხურა 8 თამბაქოს ფაბრიკა. 3 ათასი მუშა ქუჩაში გაისტუმრეს (ადს).

ანდრეს გვამის გადასვენება შვეციაში

სტოკჰოლმი, 28 აგვისტო. შვეციის პატარა სამხედრო გემი „სვენსკუნდ"-ი, რომელიც 33 წლის წინად ახლდა ანდრეს ექსპედიციის მონაწილეებს სანსკოენში, გაიგზავნა არქტიკაში მკვლევართა ცხედრების გადმოსატანად შვეციაში. არქტიკაში სამხედრო გემით გაემგზავრნენ აგრეთვე პროფესორები გედრენი და ლიფბერგი ანდრეს გვამის შესამოწმებლად და მისი ჩანაწერების და იარაღების ხელუხლებლად შესანახავად (ადს).

დემონსტრაცია

საკო და ვანცეტის დასჯის წლისთავზე

ნიუ-იორკი, 27 აგვისტო. როგორც ამერიკის კომპარტიის ორგანო „დეილი უორკერ"-ი იტყობინება, დემონსტრაციაში საკო და ვანცეტის „სიკვდილით დასჯის 3 წლის თავის გამო მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ათასმა მუშამ. ჩიკაგოში დემონსტრაციის დროს დააპატიმრეს 60 კაცი. ფილადელფიაში დემონსტრაციაში მონაწილეობდა 3.000 კაცი (ადს).

ჩ ი ნ ე თ შ ი

ნანკინის მუქარა

პეკინი, 28 აგვისტო. ნანკინის ორმა აეროპლანმა შვიდ ადგილას გადმოყარა ყუმბარები. აეროპლანებმა ნიშანში ამოიღეს ის შენობა, სადაც გომინდანის გაფართოებული პლენუმის სხდომა იყო გამართული და აგრეთვე ვან-ცზინ-ვეის რეზიდენცია. ყუმბარებმა უმნიშვნელო ზარალი გამოიწვიეს. ამავე აეროპლანებმა ყუმბარები გადმოყარეს ტიანცზინშიაც. (ადს).

აეროპლანის ავარია

პარიზი, 28 აგვისტო. შარტრში ავარია განიცადა სამხედრო აეროპლანმა, რომელიც მანევრებს ახდენდა ღამით. დაიღუპა 6 კაცი (ადს).

საკ. მიწსახკომის და კოლმ. ცენტრის განმარტება

მოსკოვი, 28 აგვისტო. საბჭოთა კავშირის მიწათმოქმედების კომისარიატი და კოლმეურნეობათა ცენტრი განმარტავენ, რომ ყოფილ კულაკურ მეურნეობათა ნათესები, სადაც კოლმეურნეობები არის, გადადის ამ კოლმეურნეობათა სრულს განკარგულებაში. ყოფილ კულაკურ მეურნეობათა მოსავლის წმინდა შემოსავალი შეტანილ უნდა იქნას მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა საპაიო ანარიცხების გასადიდებლად კოლმეურნეობებში.

იმ ადგილებში, კი სადაც კოლმეურნეობები არ არის, ყოფილ კულაკურ მეურნეობათა ნათესები გადადის გლეხთა ურთიერთ დამხმარე კომიტეტების სრულს განკარგულებაში. ყოფილ კულაკურ მეურნეობათა ნათესების მთელი მოსავალი, გარდა თესლისა, რაც საჭიროა ამ ფართობის დასათესად, მომავალ წელს მთლიანად უნდა მიეყიდოს პურის დამამზადებელ ორგანიზაციებს. (ადს).

ახალი სამეცნიერო დაწესებულება ლენინგრადში

ლენინგრადი, 28 აგვისტო. მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში აკადემიკოსმა **მარმა** შეიტანა წინადადება ლენინგრადში ახალი სამეცნიერო დაწესებულების, სახელდობრ — აღმოსავლეთის საზღვარგარეთულ კულტურათა შემსწავლელი ინსტიტუტის დაარსების შესახებ. ახალი ინსტიტუტი მიზნად ისახავს აზიისა და ბალკანეთის მხარეთა საშუალო საუკუნეების ისტორიისა და კულტურის შესწავლას (ადს).

მელორეობის სადგურის მოწყობა საქართველოში

მოსკოვი, 28 აგვისტო. სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა საკავშირო აკადემიამ დაადგინა დაარსებულ იქნას საქართველოში მელორეობის ზონალური სადგური (ადს).

პროფინტერნის V კონგრესი

კამათი ამხ. ხუან-პინის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 28 აგვისტო. ამხ. ხუან-პინის მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. **საფაროვმა** (საბჭ. კავშირი), რომელსაც ტაშით შეხვდნენ. თანამედროვე რევოლუციონური მოძრაობის ყველაზე უფრო დამახასიათებელ მხარეებს კოლონიალურ აღმოსავლეთში, ამხ. საფაროვის აზრით, წარმოადგენს რევოლუციის აღორძინება ჩინეთში, რევოლუციონური მოძრაობის სწრაფი განვითარება ინდოეთში და ზანგი პროლეტარების ფართო მასების გაღვიძება. გომინდანის კონტრ-რევოლუციის და საერთაშორისო იმპერიალიზმს იმედი ჰქონდათ, რომ ისინი ულმობელი ტერორის საშუალებით შეძლებდნენ ჩინელი მუშების და გლეხების ხერხემლის გატეხას, **მაგრამ მოსტყუვდნენ.** ამხ. საფაროვი დაწვრილებით ჩერდება ინდოეთის რევოლუციონური მოძრაობის პრობლემებზე. იგი დელეგატებს მოაგონებს რამდენიმე ციფრს ინდოეთში სხვადასხვა წლებში გაფიცულთა რაოდენობის შესახებ. 1921 წელში გაიფიცა 535 ათასი კაცი, 1922 წელში — 435 ათასი, 1923 წელში — 282 ათასი და ამრიგად სულ უფრო და უფრო ნაკლები, 1927 წელში კი გაიფიცა 131 ათასი კაცი. 1928 წელში საგაფიცვო მოძრაობა სწრაფად ვითარდება — გაიფიცა 506 ათასი კაცი და 1929 წ. გაიფიცა 529 ათასი კაცი. ეს ციფრები მოწმობს მუშათა მოძრაობის გაძლიერებას ინდოეთში. **ინდოეთის პროლეტარიატმა უკვე დაიწყო ბრძოლა თავისი ჰეგემონიისათვის,** მაგრამ იგი ჯერ არ ჩამოყალიბებულა როგორც კლასი — ჰეგემონი, რადგან თვით ავანგარდი — კომუნისტური პარტია ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა საბოლოოდ. როგორ უნდა შევაფასოთ ამჟამად რევოლუციონური მოძრაობის მდგომარეობა და პერსპექტივები ინდოეთში? „უკეთესი იქნება, — ამბობს ამხ. საფაროვი, — თუ ჩვენ უკუვაგდებთ უკიდურეს ოპტიმიზმს, რომელიც თვალს უხვევდა ინდოეთის მუშებს და ხელს უშლიდა მათ დაეძლიათ თავიანთი სისუსტე მასიურ მუშაობაში და თავიანთი ავანგარდის ჩამოყალიბებაში. მეორე მხრივ ჩვენ არავითარი საფუძველი არა გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ინდოეთის მუშათა კლასს არავითარი კვალი არ დაუჩნევია ინდოეთში მომხდარ უკანასკნელი თვეების ამბებზე და რომ იგი, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური ძალა არ იჩენს მიღებული ანგარიშში. თუ განდი და სხვები, რომლითაც ერთად-ერთი მიზანს შეადგენს კონტრ-რევოლუციონური შეთანხმება ბრიტანეთის იმპერიალიზმთან, — კიდევ მერყეობენ, ეშინიათ აშკარად დასდონ შეთანხმება და მიკიბულ-მოკიბული გზით დადიან, ისინი იმიტომ იქცევიან ასე, რომ ინდოეთის მუშათა კლასი ნამდვილ პროლეტარულ ჰეგემონიას ამზადებს".

27 აგვისტოს საღამოს სხდომაზე მოხსენებებით ორგანიზაციულ საკითხებზე გამოვიდნენ ამხ. **მონმუსო და ნიდერკირხნერი.**

კამათი ამხ. შვერნიკის მოხსენების გარშემო

მოსკოვი, 28 აგვისტო. პროფინტერნის მე-5 კონგრესზე დასრულდა კამათი ამხ. შვერნიკის მოხსენების გარშემო.

მუშა-ქიმიკოსი **რაიტი** (ინგლისი) აღნიშნავს, რომ **სოციალისტური მშენებლობა საბჭოთა კავშირში სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ.** სოციალური დაზღვევის შესახებ, რითაც ფართოდ სარგებლობენ საბჭოთა კავშირის მშრომელები, ინგლისის მუშებს მხოლოდ ოცნება თუ შეუძლიათ.

პოლონეთის დელეგატი ამბობს იმ უდიდესი განსხვავების შესახებ, რაც ახასიათებს საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მუშების მდგომარეობას. პოლონეთის, დასავლეთ უკრაინისა და დასავლეთ ბელორუსიის მშრომელები უდიდესი ყურადღებით ადევნებენ თვალყურს საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობას.

„საბჭოთა კავშირის თვითეული ახალი ფაბრიკა, თვითეული ახალი ქარხანა, კოლმეურნეობა ან საბჭოთა მეურნეობა,—აცხადებს **მუსხო** (ინდონეზია)—ეს არის საერთაშორისო პროლეტარიატისა და კოლონიების დაჩაგრულ ხალხთა დახმარება".

„საბჭოთა კავშირის პროლეტარიატს, — აღნიშნავს ლათინური ამერიკის დელეგატი, **—ჩვენში მრავალი თავდადებული მეგობრები ჰყავს.** ლათინური ამერიკის პროლეტარიატმა იცის, რომ საბჭოთა პროფკავშირები დიდ როლს თამაშობენ არა მარტო საბჭოთა კავშირის სოციალისტურ მშენებლობაში, არამედ ისინი ითვლებიან პროფკავშირთა წითელი ინტერნაციონალის საფუძვლის ჩამყრელებად და მის მოწინავე რაზმად".

„ის, რაც ჩვენ ვნახეთ და მოვისმინეთ,—ამბობს იაპონიის დელეგატი,— იმაზე უფრო ბუმბერაზულია, ვიდრე ვფიქრობდით ჩვენ, პროფმოძრაობის რევოლუციონური ელემენტები. გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენ არასაკმაოდ ვაშუქებთ საბჭოთა კავშირის მუშებისა და მშრომელთა უდიდეს მიღწევებს და არასაკმარისად ვააშკარავებთ ბურჟუაზიისა და მისი ლაქიების პროვოკაციულ ტყუილებს საბჭოთა კავშირის შესახებ. როდესაც ჩვენ ვიხილეთ ბუმბერაზული სოციალისტური მშენებლობა, მაშინ განსაკუთრებით ცხადი შეიქნა, თუ რატომ ამზადებს საერთაშორისო იმპერიალიზმი ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

„მთელი ქვეყნის პროფბიუროკრატები,— ამბობს **ხუან პინი,**—ცდილობენ დაარწმუნონ მუშები, რომ მათ ძალა არ შესწევთ დამოუკიდებლად აიღონ ხელისუფლება და მართონ სახელმწიფო, მაგრამ **საბჭოთა პროფკავშირების ანგარიშიდან ჩვენ ვხედავთ, რომ მუშათა კლასი წარმატებით აშენებს სოციალიზმს დედამიწის უდიდეს ქვეყანაში.** დანარჩენი ქვეყნების მუშებმა უნდა შესძლონ და შესძლებენ კიდეც საბჭოთა მუშების მაგალითისათვის მიბაძვას".

რუმინეთის დელეგატი ადარებს **საბჭოთა კავშირის მუშების მდგომარეობას მუშებისა და გლეხების მდგომარეობას—ჟანდარმულ რუმინეთში, სადაც ნახევარი მილიონი უმუშევარია და მრავალ საწარმოებში მუშაობენ 2—3 დღით კვირის განმავლობაში. კვალიფიციური მუშების შრომის ხელფასმა დაიკლო უკანასკნელად 30—40 პროცენტით, ხოლო არაკვალიფიციური მუშებისა—50—60 პროცენტითაც კი.** ცალკე შემთხვევებში **სამუშაო დღე 14 საათსაც უდრის.** გლეხობის მდგომარეობა კიდევ უარესია, ბურჟუაზიული პრესაც კი იძულებულია აღიაროს, რომ მთელ რიგ ადგილებში შიმშილობის ნიადაგზე ადამიანთა სულიერად შერყევის შემთხვევებს აქვს ადგილი. მასიურად გარბის ამერიკასა და ბრაზილიაში და სახლდება იქ. **ხდება გლეხთა ამბოხებები.** ერთ ადგილას **ბესარაბიაში 4 ათასი გლეხი აჯანყდა შემდეგი ლოზუნგით: „ძირს მევახშეები! ძირს გადასახადები!"** ასეთ პირობებში რუმინეთის ფაშიზმი ცდილობს მოამზადოს თავდასხმა საბჭოთა კავშირზე. რუმინეთს ეხმარებიან პოლონეთი, ჩეხო-სლოვაკია და ინგლისი. ინგლისის ესკადრის უკანასკნელი მისვლა რუმინეთში აშკარა დემონსტრაცია იყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. რევოლუციონურმა პროფკავშირებმა უფრო ფართოდ, ვიდრე აქამდე იყო, უნდა გააშუქონ საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობა და დარაზმონ მშრომელები საბჭოთა კავშირის დასაცავად.

„საბჭოთა პროფკავშირები,— ამბობს ფინეთის დელეგატი,— ანხორციელებენ ცხოვრებაში ლენინის მოძღვრებას პროფკავშირების როლის შესახებ პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში. ასჯერ მართალი იყო ამხ. ლოზოვსკი, როცა ის მოუწოდებდა მასებს საბჭოთა კავშირის, როგორც სოციალიზმის ბაზის დასაცავად. **საბჭოთა კავშირი— ეს მსოფლიო პროლეტარიატის ციხე-სიმაგრეა".**

27 აგვისტოს პლენუმი არ შემდგარა. სხდომები ჰქონდათ გამართული სხვადასხვა კომისიებსა და ცალკე დელეგაციებს (ადს).

კოლექტივები სუსტად ემზადებიან საშემოდგომო თესვისათვის

აგარის სატრაქტორო სადგური არ ეხმარება კოლექტივებს საშემოდგომო ანეულების მოხვნაში.—სარაიონო და სასოფლო თესვის გეგმები დაგვიანებით სდგება.—სათესლე ფონდების მომარაგების საქმეს არავითარი ყურადღება არ ექცევა

თელავის რაიონში არსდება სამი ახალი საბჭოთა მეურნეობა

კოლექტივები არ ემზადებიან თესვისათვის

(გორის რაიონი)

გორის რაიონში შემოდგომის თესვისათვის სამზადისი თითქმის მთავრდება. ყველა კოლმეურნეობებს შემოდგომის თესვისათვის შედგენილი აქვთ გეგმები. ამჟამად მიმდინარეობს ამ გეგმების განხილვა კოლექტივების გამგეობების, საწარმოო თათბირების, ღარიბთა ჯგუფების და წევრთა საერთო კრებებზე.

მთავარი დაბრკოლება რომელიც წინ ეღობება შემოდგომის თესვაში გორის რაიონის კოლექტივებს—ეს არის **გამწევი ძალის ნაკლებობა**; იმის გარდა რაც კოლექტივებს მოეპოვებათ კიდევ საჭიროა 1920 მუშა საქონელი. ან 13 ტრაქტორი. გამწევი ძალის ასეთი მწვავე დეფიციტი დაუყოვნებლივ დაფარული უნდა იქნეს თორემ კოლექტივები თესვის გეგმას ვერ შეასრულებენ.

მიმდინარე წლის ტირიფონის ველის მოსავალი გაფუჭდა იქაური მარცვალი სათესლედ არ გამოდგება. ამის გამო რაიონში **კოლექტივებისთვის დაუყოვნებლივ შემოტანილი უნდა იქნეს 15000 ფუთი სათესლე.** ეს საკითხი დასმულია სადაც ჯერ არს და მიწსახკომმა ამ საქმეში ჯეროვანი დახმარება უნდა გაგვიწიოს.

მთავრობის დადგენილების თანახმად შემოდგომის **თესლი გაწმენდილი უნდა იქნეს 100 პროცენტით**, მაგრამ ამ დადგენილების განსახორციელებლად გორის რაიონში ჯერ მუშაობა არ დაწყებულა და ვეჭვობთ, რომ ეს დადგენილება შესრულდეს.

გარდა ამისა თითქმის არავითარი მუშაობა არ მიმდინარეობს ხელოვნური სასუქების გამოსაყენებლად. გასულ წელს სასუქის გამოყენებამ სასურველი ეფექტი მოგვცა და ეს საქმე წელსაც ფართოდ უნდა გავშალოთ.

შემოდგომის თესვისათვის გათვალისწინებული კრედიტები და სას. სამ. იარაღ-მანქანები დროზე უნდა იქნას განაწილებული თორემ ამ დარგში დაგვიანება დიდს ზიანს მიაყენებს თესვის ნაყოფიერებას.

მოსაგვარებელია აგრეთვე აგრონომიული კადრების საკითხი. აგროპერსონალი რაიონში დაქსაქსულია. საჭიროა მათი მობილიზაცია შემოდგომის თესვის პრაქტიკული ამოცანების ირგვლივ.

დასასრულ უდიდესი ყურადღება უნდა მიექცეს **ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შეკავშირებას** თესვის კამპანიის ირგვლივ. კოლმეურნეობათა მასის და მთელი მშრომელი გლეხობის ორგანიზაციულად დარაზმვით ჩვენ შევძლებთ **კულაკთა წინააღმდეგობების გატეხას და თესვის წარმატებით** ჩატარებას.

მ. მარძლაშვილი.

დიდი წამოწყებები

(თელავის რაიონი, კახეთი)

თელავის რაიონი უკვე ემზადება შემოდგომის თესვისათვის. სარაიონო გეგმა შედგენილია, გეგმის მიხედვით პირველ სექტემბრამდე ყველა მანქანა-იარაღები შეკეთებული უნდა იქნეს. თესვის ფართობი უნდა გადიდდეს 4 პროცენტით, მოსავლიანობა კი—7 ნახ. პროცენტით.

გეგმის მიხედვით თელავის რაიონში უნდა გაშენდეს **მეღორეობის საბჭოთა მეურნეობა**, რომლის მოწყობისათვის სამზადისი უკვე სწარმოებს. განზრახულია სარძეო მეურნეობის გაშენება შუა-მთის მიდამოებში. რაიონი საჭიროებს ამისათვის კრედიტს. პირველად საჭირო იქნება 50 ძროხა, ამ მეურნეობას საძირკველი ჩაეყრება შემოდგომაზე.

გეგმით გათვალისწინებულია აგრეთვე ბაღ-ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობის გაშენება თელავში. როგორც ვხედავთ, თელავის რაიონმა უნდა გააშენოს მთელი რიგი საბჭოთა მეურნეობები, რომელსაც დიდი მომავალი ექნება.

სათანადო ორგანოებმა თელავის რაიონს საბჭოთა მეურნეობების გაშენებაში, სათანადო დახმარება უნდა გაუწიონ და ეს დიდი წამოწყებები ბოლომდე უნდა იქნას მიყვანილი.

ვ. მთვრალაშვილი.

საჭიროა გამწევი ძალა

(მეჯვრისხევი, გორის რაიონი)

მეჯვრისხევის სასოფლო საბჭოს პრეზიდიუმმა უკვე შეადგინა საშემოდგომო თესვის გეგმები. გეგმები დაყვანილია, როგორც კოლმეურნეობამდე, ისე სოფლებამდე. წელს თემში დაითესება 2509 ჰექტ პურეული.

მზადაა თუ არა გლეხობა თესვისათვის? უნდა ითქვას, რომ არ არის მზად. მიუხედავად იმისა, რომ წელს სათესი ფართობი არ დიდდება, რადგან მეხილეობა ფართოვდება, ამ გეგმის შესრულებას დააბრკოლებს გამწევი ძალის უქონლობა. ამავე მიზეზით საშემოდგომო ანეულების ხნვის გეგმა შესრულებულ იქნა მხოლოდ 25 პროც.

თემს აქვს ერთი ტრაქტორი და ისიც გაფუჭებულია. უკანასკნელი მრავალჯერ იქნა შეკეთებული, მაგრამ მაინც ზიანდება. ტრაქტორის დაზიანება გამოწვეულია ზოგჯერ არტელის გამგეობის და ზოგჯერ ტრაქტორისტის დაუდევრობით.

შემოდგომის თესვისათვის მიწის ხვნა დაიწყება სულ 10 დღეში. თუ ასეთი ტემპით იმუშავეს, თესვა დაბრკოლდება. ამას ყურადღება უნდა მიაქციოს გორის სამიწადმოქმედო ორგანოებმა.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა.

ვიწყებთ თესვას

(გორის რაიონი)

გორის რაიონში უკვე მიმდინარეობს საშემოდგომო თესვისათვის სამზადისი. შედგენილია თესვის გეგმა, რომლის მიხედვით წელს რაიონში დაითესება 16850 ჰექტ. მარცვლეული; აქედან ქერი—1800 ჰექტარი, პური—15.100 ჰექტარი. გარდა ამისა შემოდგომისათვის დამზადდება 1400 ჰექტარი ხეხილის ბაღი; ბაღი კოლმეურნეობებში გაშენდება 400 ჰექტ. დანარჩენი კი გაშენდება ინდივიდუალურ მეურნეობებში.

რაიონში თესლის დარჩევას უკვე შეუდგენ—თესლის დარჩევას აბრკოლებს ტირიფონის ველზე კარგი ხარისხის თესლის უქონლობა. აქ წელს ცუდი ხარისხის ხორბალი მოვიდა, რის გამო საჭიროა 15.000 ფუთამდე კარგი თესლი. სულ რაიონში წელს შეიწამლება 105419 ფუთი თესლი. მწკრივად დაითესება 4.000 ფუთი.

რაც შეეხება სათესი ფართობის ზრდას, მისი გადიდება გათვალისწინებულია მხოლოდ 125 ჰექტ. ამისათვის, რომ მნიშვნელოვნად იზრდება ტექნიკური კულტურების ფართობი.

რაიონს არა აქვს სათესი მანქანები. გეგმით თბილისიდან უნდა მოსულიყო 80 მანქანა რაიონს აქვს მხოლოდ 11. ამ დღეებში მიღებულ იქნა 18 სათესი მანქანა, რაც რაიონისათვის საკმარისია.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სოფლების ინდივიდუალურ მეურნეობებში თესვა დაიწყო. შინდისის თემში გლეხები თესვას ერთ კვირაში დაიწყებენ.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა.

სატრაქტორო სადგური არ გვეხმარება

(კასპის რაიონი)

მიმდინარე წლის საგაზაფხულო თესვაში აგარის სატრაქტორო სადგურმა დიდი დახმარება აღმოუჩინა რაიონს მიწების მოხვნაში; აღნიშნული სადგურის 5 ტრაქტორი განუწყვეტლივ მუშაობდა და ამის გამო გაზაფხულის თესვის გეგმა წარმატებით შესრულდა.

წელს აღნიშნული სადგური რაიონს მიწების მოხვნაში რატომღაც უარს უბნება. როდესაც ადგილობრივი ორგანიზაციები და კოლექტივები სადგურს დახმარებისათვის მიმართავენ—სადგურის ადმინისტრაცია იძლევა ასეთ პასუხს: „სამუშაო ბევრი გვაქვს და ვერ დაგეხმარებით“. ამის გამო საშემოდგომო ანეულების მოხვნის გეგმა ზოგიერთ სოფლებში ვერ სრულდება.

ვინაიდან წელს რაიონში იზრდება მრავალწლიანი ნარგავების ფართობი ამისათვის პურეულის ნათესი არც არ გაიზრდება; პურით დაითესება 8100 ჰექტარი. გლეხები მოითხოვენ ღრმად მხვნელ გუთნებს, რაც დროზე უნდა იქნას გადმოგზავნილი.

დასასრულ საჭიროა სას. საბჭოების მიერ ინიციატივის აღება შემოდგომის თესვის ორგანიზაციულად ჩატარებისათვის. სოფლის საბჭოები უნდა გადაიქცნენ შემოდგომის სას. სამ. კამპანიის ხელმძღვანელად და ნამდვილ ორგანიზატორებად.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა.

საშემოდგომო სას.-სამ. კამპანია აფხაზეთში

სოხუმი, 25 აგვისტო. აფხაზეთის საგეგმო კომისიაში მიწსახკომის მიერ წარდგენილი შემოდგომის სას. სამ. კამპანიის ჩატარების გეგმა ითვალისწინებს საშემოდგომო კულტურების ნათესების საგრძნობ შემცირებას. ძირითადად აღებულია კურსი ტექნიკური და ისეთი კულტურების გავრცელებაზე, რომლებიც საბჭოთა კავშირს იმპორტისაგან გაანთავისუფლებს. საშემოდგომო ნათესის ფართობი შემცირდა 100 ჰექტარამდე. შემოდგომის კამპანიის დროს საკვების კრიზისის საბოლოოდ გადასაწყვეტად შვრიისა და ძირნაყოფებისათვის გამოყოფილია 3500 ჰექტ. ამ კულტურების თესვა იწარმოებს თამბაქოს პლანტაციებზე მაშინვე როგორც თამბაქოს მოჰკრეფენ.

მიმდინარე წელს გეგმა პირველად ითვალისწინებს საზამთრო ბოსტნების ფართო განვითარებას. ცდის სახით მომავალ კამპანიაში ბოსტნეულისათვის გამოყოფილია 290 ჰექტარი: 241 ჰექტ. საბჭოთა მეურნეობებში და 433 ჰექტარი კოლმეურნეობებში და მთესველ ამხანაგობებში. ბოსტნეულის სათესლეთ გამოყოფილია 125 ჰექტარი. ტექნიკური კულტურებისათვის გამოყოფილია 100 ჰექტარი რამისათვის და 200 ჰექტარი გერანის სათბურებისათვის. ბაღის კულტურების სათესლე მასალისათვის გამოყოფილია 551 ჰექტარი (ადს).

წითელი ჯარის მანევრები

მანევრები დაიწყო

დაიწყო წითელი ჯარის მანევრები. 28 აგვისტოს სტალინის სახელობის 1-ლი ქართული მსროლელი დივიზიის ნაწილებმა დასტოვეს გორის ბანაკი და გაემართნენ გურიისაკენ. პირველი ეშალონით გავიდა № ქართული მსროლელი ლეგიონი, მეორეთი—1-ლი საარტილერიო ლეგიონი. მგზავრობა სწარმოებს საბრძოლო დროის გარემოების პირობებში. ეშალონები მზად არიან „მტრის“ თავდასხმის მოსაგერიებლად.

ვაგონების დატვირთვა სწარმოებდა დაკვრითი წესით, ყველა საჭირო ზომების დაცვით. არმიელებმა თავისი თავი გამოაცხადეს დამკვრელებათ ვაგონების დატვირთვის საქმეში და პირობაც ბრწყინვალედ შეასრულეს. ვაგონების დატვირთვას ესწრებოდა დივიზიის მეთაური ამხ. გ. ქუთათელაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ ვაგონების დატვირთვა დამაკმაყოფილებლად ჩატარდა.

რკინის გზამაც გამოიჩინა საჭირო უნარიანობა, რომელიც აუცილებელია ასეთ პირობებში. ვაგონები დროზე იყო დამზადებული ჯარის ნაწილებისათვის, თვით მატარებლებიც მოძრაობდნენ ცხრილში ნაჩვენები დროის სასტიკად დაცვით.

ი. ხუციშვილი.

სტალინისი.
28 აგვისტო.

გზაში არტილერისტებთან

ბანაკი აიშალა. აღარ არის კარავთა თეთრი ქალაქი, რომელიც ამშვენებდ ქვერნაკის მთის ფერდობს. ბანაკის ადგილას მოსჩანან მხოლოდ დაკეტილი, ფანჯრებ აფიცრული შენობები.

სტალინის სახელობის დივიზიის ნაწილები მიემგზავრებიან გურიისაკენ. სადგურზე თავი მოუყრიათ არმიელებს და მეთაურებს, იტვირთება ეშელონები.

ვაგონების დატვირთვა მოითხოვს სათანადო ცოდნას და გამოცდილებას. საჭიროა ვაგონის ისე დატვირთვა, რომ შიგ ჩატეოს ყველა ნივთები, ნივთებს ჰქონდეს მიჩნეული განსაკუთრებული ადგილი და ადვილი იყვეს ვაგონის გადმოტვირთვა. ამასთანავე დატვირთვა-გადმოტვირთვა უნდა ხდებოდეს მაქსიმალური სიჩქარით, განსაზღვრულ დროში. ყოველ ეშელონს ჰყავს თავისი უფროსი, რომელიც ხელმძღვანელობს დატვირთვას.

იტვირთება № ქართ. მსროლელი ლეგიონი, რომელიც გადის პირველ ეშელონათ. ეტყობა, რომ არმიელებს აქვთ საკმაო გამოცდილება. აყალ-მაყალს არა აქვს ადგილი. მხოლოდ ისმის ხმაური. ხმაურობა რომ არ იყვეს, ადამიანს ეგონება, რომ არმიელები ჩვეულებრივ მოძრაობენ. დატვირთვა დაგვიანდა. თურმე არ იყო წინასწარ მტკიცედ გამოანგარიშებული, თუ რამდენი კაცი უნდა წავიდეს ამ ეშელონით. ეშელონი დაგვიანებით გადის გორის სადგურიდან.

მეორე ეშელონისათვის ვაგონები უკვე მზად არის. მიემგზავრება პირველი საარტილერიო ლეგიონი, რომელიც უკვე მზად არის დასატვირთად.

არტილერისტები მუშაობენ მწყობრად, აუჩქარებლივ, მათ ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა წინასწარ გამოზომილი აქვთ. ჯერ ისევ ბანაკად შესდგა არტილერისტების კრება-მიტინგი, სადაც განხილული იყო მოგზაურობის ტექნიკა. მიტინგზე მეშვიდე ბატარეამ თავისი თავი გამოაცხადა დამკვრელად ვაგონების დატვირთვის საქმეში. ვალდებულება ბატარეამ ბრწყინვალედ შეასრულა: ვაგონები დაიტვირთა ვადაზე 20 წუთით ადრე.

დანიშნულ დროს ეშელონი გავიდა გორიდან.

ეშელონი მზად არის „მტრის“ შესახვედრად. მიღებულია ზომები „მოწინააღმდეგის“ თავდასხმის მოსაგერიებლად თუ კი ეს საჭირო იქნება.

ვაგონები, რომლებშიაც იმყოფებიან არმიელები, მორთულია პლაკატებით, ლოზუნგებით. ლოზუნგები აგონებენ არმიელებს, თუ როგორ უნდა მოიქცენ ისინი მგზავრობის დროს, როგორ უნდა მოუარონ ცხენებს, ნივთებს და სხვ.

ყველა ვაგონში გაკრულია მანევრების რაიონის რუკა, რათა არმიელებს შესაძლებლობა ჰქონდეთ ზედმიწევნით შეისწავლონ მომავალი „ბრძოლების“ ადგილი.

პოლიტმუშაკნი მგზავრობის დროს არ ჰკარგავენ ტყუილ-უბრალოდ. ვაგონებში სწარმოებს საუბარი ეშელონების მოძრაობის წესებზე, საჰაერო თავდაცვის ზომებზე, დისციპლინაზე მოგზაურობის დროს. სწარმოებს გაზეთების ხმა-მაღალი კითხვა და წაკითხულის განმარტება.

გზაში, მეთაურთან ერთად, შევდივარ წითელ არმიელების ვაგონში. არმიელები თავთავის ადგილას არიან, წესრიგი საუცხოოა. აქ უკვე ჩაუტარებიათ საუბარი ეშელონების მოძრაობის დროს დისციპლინის დაცვის აუცილებლობაზე. მატარებელი ჩერდება სადგურ სტალინისში. აქ, ცხრილის თანახმად, არმიელებმა უნდა ისადილონ. საველე სამზარეულოს უკვე მზადა აქვს სადილი. არმიელები მწყობრად ეწყობიან და სრული წესრიგით ღებულობენ თავის ულუფას.

აქვეა კოოპერატივი, რომელიც აწვდის მეთაურებს და არმიელებს სხვადასხვა ნივთებს და სანოვაგეს.

ისმის ბუკის ხმა, იმის ნიშანი, რომ მატარებელი მალე წავა. თვალის დახამხამებაზე ყველანი იკავებენ თავის ადგილს.

მგზავრობა მშვიდათ მიმდინარეობს, ჯერჯერობით „მტრის“ აეროპლანები არა სჩანან.

ი. ხუციშვილი.

სტალინისი, 28 აგვისტო.

მანევრების ქრონიკა

— მანევრებთან დაკავშირებით სტალინის სახელობის პირველი ქართული მსროლელი დივიზიის სარდლობამ მოწოდებით მიმართა გურიის მშრომელ მოსახლეობას.

მოწოდებაში ნათქვამია: „განამტკიცეთ მჭიდრო კავშირი წითელ არმიელებთან, გაეცანით წითელი არმიის მუშაობას, დაეხმარეთ ჯარის ნაწილებს მანევრების წარმატებით ჩატარებაში.

იცოდეთ რომ, მომავალი ომის ბედი გადასწყდება არა მარტო ფრონტზე, არამედ ზურგშიაც. ამიტომ, თვითეული მშრომელის მოვალეობაა შეისწავლოს სამხედრო საქმე, გაეცნოს წითელი არმიის შეიარაღებას, სამხედრო ტექნიკის ახალ მიღწევებს, რათა საჭირო დროს იარაღით ხელში დაიცვას ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი“.

— 27 აგვისტოს ქუთაისში გაემგზავრა საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების პირველი დახმარების რაზმი, რომელიც ქუთაისის რაზმთან ერთად მიიღებს მონაწილეობას გურიის მანევრებში.

მანევრების რაიონში გაემგზავრნენ აგრეთვე ავიაქიმის საკავშირო წრის წევრები და რადიო-მოყვარულნი.

— გამოვიდა სტალინის სახ. დივიზიის სალაშქრო გაზეთ „დამკვრელი“-ს სპეციალური ნომერი, მიძღვნილი მანევრებისადმი. „დამკვრელი“ მანევრებზე გამოვა ყოველ დღე.

— მანევრების პირველი ეტაპის დამთავრების შემდეგ „წითლების“ ნაწილები საჯავახოდან გაემართებიან ოზურგეთის მიმართულებით, სადაც მოსალოდნელია შეხვედრა „ლურჯების“ ნაწილებთან.

ინგლისის და ირლანდიის მუშები ლენინის რაიონის მუშებთან

ინგლისისა და ირლანდიის მუშათა დელეგაციამ, გუშინ, 28 აგვისტოს, დაათვალიერა თბილისის მსხვილი საწარმოები. დელეგაციის წარმომადგენლები მუშებთან საუბრის საშუალებებით, გაეცნენ როგორც წარმოებას, ისე მუშათა მდგომარეობას. სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში მუშები ხანგრძლივად ესაუბრენ მუშათა ცალკე ჯგუფებს და გააცნეს მას საერთოდ კაპიტალისტურ ქვეყნების და კერძოდ ინგლისისა და ირლანდიის მუშათა მდგომარეობა.

გუშინ საღამოს, დელეგაცია დაესწრო ლენინის რაიონის საწარმოების დამკვრელთა შეკრება-მიტინგს, მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ დელეგაციის წევრები — ინგლისელი მუშა ხოლტი და ირლანდიელი მუშა-ქალი ხკეფენტონი. ამხ. ხოლტი მიესალმა მიტინგს ინგლისის მუშათა სახელით და აღნიშნა, დიდი განსხვავება იმ სურათის შორის, რომელსაც ბურჟუაზია ხატავს და რაც მათ საკუთარი თვალით ნახეს საბჭოთა კავშირში, სადაც მუშები იბრძვიან სოციალისტური მშენებლობისათვის. იქ, ინგლისში, ბურჟუაზიული პრესა გაჰყვირის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის დაცემისა და მუშათა მდგომარეობის გაუარესების შესახებ, სინამდვილეში კი აქ ფართოდ ვითარდება სახალხო მეურნეობა, უმჯობესდება მუშათა მდგომარეობა და მტკიცდება და ძლიერდება მსოფლიოში ერთად ერთი სოციალისტური, პროლეტარული სახელმწიფო. ჩვენ ვხედავთ, რომ თქვენ გაკლიათ კვალიფიციური მუშა-ხელი იმ დროს, როდესაც ინგლისში აურიცხელი კვალიფიციური მუშა უმუშევარია. ჩვენ გავაცნობთ ინგლისელ მუშებს სინამდვილეს და ამით სასიკვდილო ლახვარს ჩავსცემთ ბურჟუაზიულ ჭორებს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შესახებ.

ირლანდიელმა მუშა-ქალმა ხკეფენტონმა თავის სიტყვაში განაცხადა: „ჩვენ ვალდებულათ ვთვლით ჩვენს თავს, ჩვენს ქვეყანაში დაბრუნებისას გავაცნოთ მუშათა ფართო მასებს სინამდვილე საბჭოთა კავშირის შესახებ“.

საპასუხო სიტყვებით გამოვიდნენ სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხნის ძველი მუშები ამხ. ლორთქიფანიძე და კავალიოვი, რომლებმაც ლენინის რაიონის მუშების სახელით მოუწოდეს დელეგაციას გააჩაღონ ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ და დაეხმარონ საბჭოთა კავშირის მუშებს სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

დასასრულ მიტინგმა დაავალა პრეზიდიუმს, ლენინის რაიონის მუშების სახელით გადასცეს დელეგაციას ნაკაზი, იმის აღნიშვნით, თუ როგორ იბრძოლონ მათ ბურჟუაზიის წინააღმდეგ, სოციალისტური ხელისუფლების დასამყარებლად.

მიტინგზე გამოცხადებული იქნა აგრეთვე ლენინის რაიონის საწარმოების საუკეთესო დამკვრელთა სია 53 კაცის რაოდენობით, რომლებიც სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველობისათვის, ჯილდოს სახით იგზავნებიან დასასვენებელ სახლებში და სანატორიუმებში.

საუბარი დელეგაციის წევრებთან

ჩვენი თანამშრომელი ესაუბრა ინგლისის და ირლანდიის მუშათა დელეგაციის წევრებს იმ შთაბეჭდილებების შესახებ, რომლებიც მათ მიიღეს საბჭოთა კავშირში.

ინგლისის კომპარტიის ცეკას წევრმა ამხ. ტომას ბელმა ჩვენს თანამშრომელს განუცხადა:

— ევროპაში საერთოდ და კერძოდ კი ინგლისში მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებსაც კი არ აქვთ წარმოდგენილი ის ბუმბერაზული წინსვლა, რომელიც ახასიათებს სოციალისტურ მშენებლობას საბჭოთა კავშირში. ინგლისის ბურჟუაზიული და განსაკუთრებით რეფორმისტული გაზეთები ყოველდღიურად ათავსებენ ჭორებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირში ადგილი აქვს მუშათა მასების უკმაყოფილებას, რომ გლეხები აწყობენ აჯანყებებს და სხვ.

მთელი დელეგაცია, რომლის უმრავლესობა ინგლის-ირლანდიის უპარტიო მუშებისაგან შესდგება, პირადათ დარწმუნდა ასეთი „ცნობების“ სრულ სიყალბეში. ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს. დელეგაციამ ნახა საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის ენტუზიაზმით გატაცებული მუშათა მასები.

საბჭოთა კავშირის საწარმოების და მუშათა საცხოვრებელი პირობების გაცნობამ, ნათლად დაანახვა დელეგაციას კონტრასტი, რომელიც არსებობს კაპიტალისტურ რაციონალიზაციისა და სოციალისტურ რაციონალიზაციას შორის. კაპიტალისტური რაციონალიზაციის შედეგათ მარტო ინგლისში ამჟამად უმუშევრად არის დარჩენილი 2 მილიონ ნახევარი მუშა, ხოლო თუ მხედველობაში მივიღებთ უმუშევართა ოჯახის წევრებსაც—კაპიტალისტური რაციონალიზაციის შედეგად დამშეულთა რიცხვი გადააჭარბებს 10 მილიონ კაცს.

სოციალისტური რაციონალიზაცია კი ხელს უწყობს წარმოებაში ჩაბმულ მუშათა რიცხვის ზრდას და მუშების მატერიალური და კულტურული პირობების გაუმჯობესებას.

ირლანდიელი მუშების წარმომადგენელმა დავიდ ფიცჯერალმა, განაცხადა რომ ირლანდიის მუშათა კლასისათვის განსაკუთრებითაა საჭირო საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის გამოცდილების შესწავლა. ირლანდიის მუშათა კლასი თანდათანობით რწმუნდება, რომ ნამდვილ დამოუკიდებლობას იგი მოიპოვებს მხოლოდ პროლეტარული დიქტატორის საშუალებით.

გვალვასთან ბრძოლის ინსტიტუტის შენობა სარატოვში.

„პურისათვის ბრძოლა სოციალიზმისათვის ბრძოლაა“ (ლენინი)

პურის დამზადებაში სამარცხვინოდ ჩამორჩნენ გორის, კასპის და გარე-კახეთის რაიონები

გორის და კასპის რაიონებში კულაკები სახელმწიფოს პურს არ აბარებენ.—ადგილობრივი დამხმარე კომისიები და სოფლის საბჭოები არ ღებულობენ ზომებს კულაკების და სპეკულიანტების ასალაგმავად

„დაუყოვნებლივ გამორიცხული უნდა იქნან პარტიიდან და კომკავშირიდან ის პირები, რომელნიც პურს არ ჩააბარებენ სახელმწიფოს“ (საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას ა/წ. 26 აგვისტოს დადგენილებიდან)

პურეულის დამზადების ციფრები 25 აგვისტოსათვის

ფუთებში

ოლქები და რაიონები	უნდა დამზადდეს კამპანიის განმავლობაში	დამზადებულია 25 აგვისტომდე	გეგმის შესრულება %/%-ში
კახეთის ოლქი:			
სიღნაღის რაიონი	150.000	82.674	55,1%
ლაგოდეხის „	130.000	71.122,86	54,7%
გურჯაანის „	30.000	21.164,4	70,5%
თელავის „	60.000	21.732	36,2%
ყვარელის „	70.000	21.488,58	30,7%
	440.000	218.181,74	49,5%
თბილისის ოლქი:			
აბდულაღის რაიონი	16.000	5.196	38,7%
ბორჩალოს „	60.000	35.530,56	59,2%
საგარეჯოს „	35.000	10.418,34	29,7%
დუშეთის „	12.000	486	4, %
თიანეთის „	10.000	690	6,9%
ლიუქსემბურგ. „	18.000	16.602	92,2%
მანგლისის „	5.000	—	—
წალკის „	12.000	—	—
მცხეთის „	13.000	3.474	26,7%
ბაშკიჩეთის „	7.000	1,152	16,4%
თბილისის „	15.000	4.426,44	29,5%
	200.000	77.975,34	38,9%
გორის ოლქი:			
გორის რაიონი	70.000	9.348	13,3%
სტალინისის რაიონი	100.000	35.064	35 %
კასპის „	20.000	3.618	18,09%
	190.000	48.030	25,27%
ახალციხის მაზრა:			
ადიგენის რაიონი	9.000	—	—
აწყურის „	7.000	360	5,1%
ახალციხის „	17.000	1.254	7,3%
ტოლოშის „	6.000	—	—
	40.000	1.614	4,03%
ახალქალაქის მაზრა:			
ახალქალაქის რაიონი	80.000	—	—
გორელოვკის „	20.000	—	—
	100.000	—	—
სამხრეთ-ოსეთი:			
ცხინვალის რაიონი	22.000	—	—
ახალგორის „	6.000	684	11,6%
ჯავის „	2.000	—	—
	30.000	684	2,26%
სულ	1.000,000	346.485	34,69%

ამ რიგად 25 აგვისტოსთვის დამზადებული, იყო სულ 346485 ფუთი პურეული რაც დამზადების მთლიანი გეგმის 34,6%-ს და ივლისს-აგვისტოს დამზადების გეგმის 87—88%-ს შეადგენს.

25 აგვისტოსთვის დამზადების მთლიანი გეგმა შესრულებული ქონდათ ლიუქსემბურგის, შაუმიანის, წინანდლის, შაშიანის და მცხეთის ორგანიზაციებს.

კულაკებს არ აწუხებენ

(სოფ. ბრეთი, სტალინისის რაიონი)

პურის დამზადების საჭიროებისათვის სოფელ ბრეთში არ მოიპოვება ტომრები. ტომრების უქონლობის გამო შესაძლებელია გაფუჭდეს 2 ათასი ფუთი პური. აქ არც საწყობებია მომარაგებული. 1.000 ფუთი პური უტომროთ ცისქვეშ ყრია მიწაზე, რაც უსათუოდ გააფუჭებს პურს.

კულაკებს პური არ ჩაუბარებიათ და ისინი არც ფიქრობენ სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარებაზე. კულაკებს შეწერილი აქვთ 507 ფუთი პური. ამ რაოდენობიდან მათ დღემდე არც ერთი ფუთი პური არ ჩაუბარებიათ კოოპერატივისათვის.

კოოპერატივის ნოქარი **მაზმიშვილი** პურის ჩამბარებელ გლეხებს უხეშად ექცევა: 23 აგვისტოს ერთმა გლეხმა მოიტანა პური ჩასაბარებლად, მაზმიშვილმა აწონა პური; გლეხმა სთხოვა „ნუ ჩქარობ, პური კარგად ამიწონეო, მაზმიშვილმა ყვირილით უპასუხა: „—თუ გინდა შენი პური უკანვე წაიღე, შენ გგონია მე ამით რამეს დამაკლებო?“ მაზმიშვილის მხრივ გლეხებისადმი ასეთი უხეში მოქცევის ფაქტები ხშირია. საჭიროა მას თავის ადგილი მიუჩინოთ და პურის მიმღები პუნქტები უზრუნველვყოთ პასუხისმგებელი და გულშემატკივარი მუშაკებით.

სოფ. ბრეთი რაიონული ცენტრიდან დაშორებულია დიდი მანძილით. ამისათვის საჭიროა ამ სოფელზე მეტი ცოცხალი ხელმძღვანელობის გაწევა. რაიონიდან აქ მომაგრებული ყოფილან ამხ. **ლალუაშვილი და პაპუაშვილი**, მაგრამ ეს ამხანაგები ჯერ ადგილობრივ არ გამოცხადებულან. ამის გამო ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოისუსტებს და გლეხებმა არ იციან პურის დამზადების კამპანიის კითხვების ირგვლივ სად და ვის მიმართონ.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა.

სპეკულიანტები არ სცხრებიან

(წნორის-წყალი)

პურის დამზადებასთან დაკავშირებით წნორის-წყალში და მის ახლომახლო მდებარე სოფლებში საგრძნობლად გაძლიერდა პურის სპეკულიაცია. აქ შეხვდებით დასავლეთ საქართველოდან, რაჭიდან და აზერბეიჯანიდან გადმოსულ სპეკულიანტებს, რომელნიც პურს ყიდულობენ და მალულად აგზავნიან სხვადასხვა მიმართულებით.

უკანასკნელ ხანებში სპეკულიანტებმა იმავე წნორის-წყალში გახსნეს მრავალი პურის საცხობები და ზომაზე მეტად გადიდებულ ფასებში ყიდიან პურს. ადგილობრივი ადმინისტრაცია ღებულობს ზომებს სპეკულიანტთა წინააღმდეგ, მაგრამ იგი უძლურია ამ დარგში. საჭირო იყო ადგილობრივი ღარიბ-საშუალო გლეხობის, მოჯამაგირეობის და მთელი კოლმეურნეობათა მასის ყურადღების მობილიზაცია პურის სპეკულიანტთა წინააღმდეგ საბრძოლველად; ეს კი არ მომხდარა და ამის გამო სპეკულიანტები თავის დაფარვას ახერხებენ.

საჭიროა უფრო მწვავე და გადამჭრელი ზომების მიღება პურის სპეკულიანტთა ასალაგმავად, თორემ ისინი საგრძნობლად აბრკოლებენ პურის დამზადების მსვლელობას.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა
კირაკოზაშვილი

რა ხდება ადგილებზე

საგზაო მშენებლობა

ნაქალაქევი, 27 აგვისტო. (საკ. კორ). საგზაო მშენებლობა სენაკის რაიონის სოფლებში წარმატებით მიმდინარეობს. გლეხობა ერთსულოვნად გამოდის საგზაო ბეგარაზე. სენაკი-მარტვილის, სენაკ-დიდი წყონის გზებზე მუშაობა ამ დღეებში დამთავრდება.

თამბაქოს გადაზიდვა ჩაშლის საფრთხის წინაშე

სოხუმი, 28 აგვისტო. თამბაქოს გადაზიდვის საქმე არ არის მოგვარებული. საბჭოთა სავაჭრო ფლოტი, რომელიც გადაზიდვის ორგანიზატორად ითვლება, მოექცა კერძო პირთა გავლენის ქვეშ, რომლებიც მას უკარნახებენ გადაზიდვის ფასებს. მიმღები პუნქტები ალაგ-ალაგ გაჭედილია, ზოგიერთები კი სწყვეტენ თამბაქოს მიღებას. მიღებულ თამბაქოს გაფუჭება მოელის (ადს).

„სოიუზხლებ“-ი არღვევს მეთამბაქოეთა მომარაგების პირობებს

სოხუმი, 27 აგვისტო. მეთამბაქოეთა მომარაგების პირობები საკონტრაქტაციო ხელშეკრულებათა თანახმად არ სრულდება. „სოიუზხლებ“-ს მართებს მეთამბაქოეთა კოოპერაციის 3.200 ტონა პური. (ადს).

დასილოსების საქმე აჭარისტანში

ბათომი, 28 აგვისტო. სასილოსო მშენებლობის საკონტროლო ციფრები აჭარისტანში მხოლოდ 20 პროცენტით არის შესრულებული. არ არის სპეციალისტები. მიწსახკომი და აჭარისტანის მეხილეობა-მებოსტნეობის კავშირის არ მოეპოვება სახსრები. კომკავშირმა მოაწყო სასილოსო შაბათობა. ქობულეთის რაიონში ამოთხრილია ორი სასილოსო ორმო. ძლიერ ცოტა მასალა მოიპოვება დასილოსებისათვის (ადს).

საყოველთაო დაწყებითი სწავლება

ბათომი, 28 აგვისტო. საყოველთაო დაწყებითი სწავლების შემოსაღებად, აჭარისტანის განათლების სახ. კომისარიატმა მოახდინა ბათომის 8, 9, 10 და 11 წლის ასაკის მოსახლეობის აღწერა. სულ აღმოჩნდა 3.087 ბავშვი, რომელთაც ეხება სავალდებულო სწავლება. ამჟამად ფართოვდება ეროვნულ უმცირესობათა სკოლების ქსელი, სწარმოებს სასკოლო შენობების რემონტი. ამ მუშაობაში სუსტ მონაწილეობას ღებულობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციები (ადს).

პური გადამალეს

ს. დირბი, სტალინისის რაიონი

სოფელ დირბში გეგმის თანახმად უნდა დამზადდეს 8 ათასი ფუთი პური. ამ რაიონებიდან ა. წ. 23 აგვისტომდე დამზადებულია მხოლოდ 700 ფუთი. აქ პურის დამზადებას აწარმოებს სამომხმარებლო კოოპერაცია. დამზადების მსვლელობას აფერხებს შემდეგი მიზეზები:

სამომხმარებლო კოოპერატივს აგვისტოს 20-მდე არ მიუღია სამრეწველო საქონელი; გარდა ამისა პურის ჩაბარების დაწყებამდე ადგილობრივი მუშაკები გლეხებს პირდებოდნენ ჩაბარებული პურის ღირებულების 50 პროც. სამრეწველო საქონელს, რაც, რასაკვირველია ვერ იქნა შესრულებული. არ არის აგრეთვე საკმარისი ტარა და მოუწყობელია პურის საწყობებიც.

აღნიშნულ სოფელში ადგილი აქვს პურის სპეკულაციასაც. **22 აგვისტოს ღამე სპეკულიანტებმა სამი ურემი პური გაიტანეს სოფლიდან.** აღნიშნული სპეკულიანტების წინააღმდეგ მიღებულია ზომები, მაგრამ ისინი პურის გატანას მაინც ახერხებენ.

გარდა ამისა კულაკებმა თავიანთი სასაქონლო პური გადამალეს და ისინი ყოველმხრივ თავს არიდებენ პურის სახელმწიფოსათვის ჩაბარებას. ადგილობრივი საბჭოები და **პურის დამზადების ხელისშემწყობი კომისიები კულაკების წინააღმდეგ არ იღებენ სათანადო ზომებს.**

ადგილობრივი კოლექტივის თავმჯდომარე ბაციკაძე კულაკ კობერიძეს ყოველმხრივ ხელს უწყობს პურის გადამალვაში. აღნიშნული კულაკის განკულაკების დროს ბაციკაძეს თავის მფარველობის ქვეშ აუყვანია ხსენებული კულაკი და მისთვის უკანვე დაუბრუნებია ჩამორთმეული მიწები და საწარმოო საშუალებანი. ახლა ბაციკაძე ცდილობს კულაკ კობერიძის კოლექტივში შეყვანას. ამაზე ბაციკაძემ დაითანხმა კულაკების გავლენის ქვეშ მყოფი ჩამორჩენილი გლეხის ქალები.

საჭიროა სასწრაფო ზომების მიღება კულაკების მფარველის დასასჯელად და პურის დამზადების გეგმის უზრუნველსაყოფად..

„კომუნისტი“- ბრიგადა

პურის დამზადება გომის რაიონში

გომის რაიონს პურის მარაგის მხრივ პირველი ადგილი უკავია: წელს აქ უნდა დამზადდეს 100.000 ფუთამდე პური. პურის დამზადება პირველ ხანებში ცუდათ მიმდინარეობდა, რადგან ახსნა-განმარტებითი მუშაობა მოისუსტებდა. აგვისტოდან დამზადების ტემპი გაძლიერდა, რის შედეგად დამზადებულია სასაქონლო ხორბლეულის 35 პროცენტი. რაიონში წელს მოსავალი ნაკლებია. მიუხედავად ამისა, დამზადება წარმატებით მიმდინარეობს.

სიმინდის ყანები 200 ჰექტ. გაფუჭდა სავსებით, რადგან სოფ. სატივეში, რუისში და სხვაგან იმერული სიმინდი დათესეს. სატრაქტორო სადგურს გეგმით გათვალისწინებული ქონდა სამოქმედო რაიონში გაელეწა 4.000 ჰექტ. გალეწილია უკვე 2500 ჰექტ.

მანქანების დატვირთვა რაციონალურად არ ხდება. სალეწი მანქანები ბევრჯერ ცდება. 20 საათის მაგიერ 12 საათს მუშაობენ. ამის მიზეზია ის, რომ კოლმეურნეობები მუშა-ხელს ვერ აწოდებენ და ღამე სინათლე არ არის. რაიონს აქვს 9 სალეწი, რაც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნილებას. ამის გამო გაუმჯობესებული მანქანებით ილეწება მხოლოდ მოსავლის 22-23 პროც. რაიონში ადგილი აქვს მანქანებისადმი გულგრილად მოპყრობას და გაუფრთხილებლობას. **ერთი სალეწი სოფ. ფრონის ღელეში გადაბრუნდა და დაიმტვრა.** სატრაქტორო სადგურმა დღემდე დაამზადა 2.500 ფუთი პური.

როგორ მუშაობენ მიმღები პუნქტები? რაიონში არის ერთი მიმღები პუნქტი, რაც ცხადია, ცოტაა. **გომის პუნქტის საწყობები დაცული არ არის ცეცხლის საშიშროებისაგან.** მასვე არ ყოფნის მუშა-ხელი, რომ მოტანილი პური გადმოზიდოს და ვაგონები დატვირთოს. პუნქტმა უკვე მიიღო 17590 ფუთი პური და ჯერ-ჯერობით მხოლოდ 5 ვაგონი გადაზიდა.

კერძო ვაჭრები ალაგმულია დამზადების ფრონტიდან. კულაკები აგიტაციას ეწევიან პურის დამზადების ჩასაშლელად. მაგრამ გლეხობა დარაზმულია მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. ყოფ. ვაჭარი კაკაბაძე, რომელიც წინად საწყობში მუშაობდა და იქიდან გააძევეს, ეხლა ეწევა პროვოკაციას პურის დამზადების წინააღმდეგ.

„კომუნისტი“-ს ბრიგადა

როგორ შესძლეს ს. შაშიანში პურის დამზადების გეგმის გადაჭარბებით შესრულება

(გურჯაანი)

ცნობილია, რომ გურჯაანის რაიონი არის განსაკუთრებით მევენახეობის რაიონი, გარდა ეგრედ-წოდებულ „უკანა მხარისა“, სადაც მოსახლეობა მისდევს მემინდვრეობას და მესაქონლეობას. გაზაფხულის მიწურულშივე დიდმა სეტყვამ და შემდეგ კი კალიამ პურის ნათესობა საგრძნობლად დააზიანა. ამის გამო კახეთის ოლქში მთავრობის მიერ მოცემულ საკონტროლო ციფრების რაიონებზე განაწილების დროს, საოლქო კომისია ფიქრობდა გურჯაანის რაიონის მთლიანად განთავისუფლებას პურის დამზადებისაგან, მაგრამ მდგომარეობის ადგილობრივ შესწავლის შემდეგ, — გურჯაანის რაიონისათვის დამტკიცდა საკონტროლო ციფრი 30,960 ფ. პურეულით, რაც განაწილებულ იქნა ცალკეულ სას. საბჭოებზე. უმაღლესი ნორმა (4.630 ფუთი) წილად ხვდა შაშიანის სას. საბჭოს.

ადგილობრივ მომუშავეთა ამხანაგების ენერგიამ, ღარიბი და საშუალო გლეხების დარაზმვამ ორგანიზაციულ ტექნიკურ საკითხების დროულად გადაჭრამ, ხელმძღვანელობის სიმტკიცემ, კულაკთა წინააღმდეგობის დაძლევამ და მთავრობის დირექტივების სისწორით შესრულებამ, სძლია ყველა დაბრკოლებანი და პურის დამზადების კამპანიაში საოლქო მაშტაბით ს. შაშიანი სავსებით გამარჯვებული გამოვიდა: მთელი საკონტროლო ციფრი 20 აგვისტოსათვის შაშიანში გადაჭარბებით იყო შესრულებული, — ამ რიცხვისათვის შაშიანმა დაამზადა 5150 ფუთი პურეული, ე. ი. გეგმა შესრულდა 111,2 პროც.-ით დამზადება კვლავ დაუბრკოლებლივ მიმდინარეობს.

მეტად საგულისხმიეროა ის მეთოდები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ ს. შაშიანის ამხანაგები პურის დამზადების მთელი გასული პერიოდის განმავლობაში: პირველ რიგში აღსანიშნავია ყოველმხრივ დაცვა თავისუფალ დამზადების პრინციპის — არავითარი ადმინისტრატიული ზეგავლენა, არავითარი ზერელე დაპირებანი, — სწორი კლასობრივი მიდგომა ღარიბ-საშუალო გლეხებისადმი და ზედმიწევნით განსაზღვრა კულაკურ მეურნეობათა მიერ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელ სასაქონლო პურეულის მარაგისა, — კოოპერაციის ნორმალური მუშაობა, სამრეწველო საქონლის სისწორით განაწილება პურის ჩამბარებელთა შორის, ტრანსპორტის მოწესრიგება და საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის წარმატებით ჩატარება, — აი, რამ უწყობდა ხელს ს. შაშიანის გამარჯვებას პურის დამზადების მიმდინარე კამპანიაში,

შემჩნეული იყო რამოდენიმე წვრილმანი ხასიათის დეფექტები, როგორც მაგალითად, სხვა სოფლიდან პურის შესაძენად მოსულ გლეხებისათვის პურის შეძენის აკრძალვა და სხვა. მაგრამ ეს რაიონის ხელმძღვანელ ორგანოების მიერ დროზე მიღებულ ზომების მეოხებით მალე გამოსწორდნენ.

ს. შაშიანის გამარჯვება პურის დამზადების ფრონტზე, — მაგალითი უნდა გახდეს ყველა სას. საბჭოებისათვის — და მათ უნდა ისარგებლონ შაშიანის მეტად ძვირფასი და სასარგებლო გამოცდილებით პურის დამზადებაში.

თუ გურჯაანის რაიონში ს. შაშიანის მაგალითისამებრ დამზადების მსვლელობა ასეთივე ტემპით იწარმოებს, — სარაიონო საკონტროლო ციფრი უახლოეს დროში იქნება შესრულებული მთლიად 100 პროცენტით.

შ. ტ.

შეცდომის გასწორება

საქართველოს კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს რეზოლიუციაში პურის დამზადების მსვლელობის შესახებ, რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში დაიბეჭდა, გაიპარა შემდეგი შეცდომა: მე-3 სვეტში ზევიდან მე-19 სტრიქონში (მუხლი ზ) სწერია: „ადმინისტრატიული ზომების გამოყენების და ღარიბი და საშუალო გლეხების ინდივიდუალურ მეურნეობამდე გეგმის **მიუყვანლობის** დაუშვებლობასთან ერთად“, უნდა იყოს: „ადმინისტრატიული ზომების გამოყენების და ღარიბ და საშუალო გლეხების ინდივიდუალურ მეურნეობამდე გეგმის **მიყვანის** დაუშვებლობასთან ერთად“. და სხვ.

სტალინის სახელობის ფეხსაცმელების ფაბრიკა

შეჯიბრების მოწინავე პოზიციებზე

ზუგდიდის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში თვითღირებულება შეუჩერებლივ იზრდება

საჭილაოს ქარხანაში დამკვრელი ბრიგადები ვერ ამართლებენ სახელწოდებას

დაუნდობელი ბრძოლა ცრუ დამკვრელობასთან

ივლისის გეგმა გადაჭარბებით შევასრულეთ

(სტალინის სახელობის ფეხ საცმლის ფაბრიკა)

სტალინის სახელობის ფეხსაცმელის ფაბრიკამ გადაჭარბებით შეასრულა სამრეწველო - საფინანსო გეგმის ივლისის დავალების ყველა მაჩვენებლები.

ნაცვლად 57,983 წყვილ ფეხსაცმელისა, რაც უნდა გამოეშვა ფაბრიკას გეგმის თანახმად, გამოუშვა 66.118 წყვილი. შრომის ნაყოფიერება, რომელიც ფულზე გადაყვანით 24 მან. 73 კაპიკს უდრიდა ივნისში ერთ კაც - დღეზე, ამჟამად აყვანილია 27 მ. 79 კაპეიკამდე.

შრომის ნაყოფიერების ზრდის მხრივ ყველაზე მეტი მიღწევა აქვს ლამაზი ფეხსაცმელების ცეხს. ეს ცეხი, სადაც მუშაობენ ყოფილი შინამრეწველები, რომლებიც ჯერ კიდევ სავსებით ვერ ეჩვევიან სამსახურის დისციპლინას, ერთ უკანასკნელთაგანად ითვლება მთელს ფაბრიკაში. გაცდენის ძირითადი რაოდენობა ამ ცეხზე მოდიოდა. აქვე ადგილი ჰქონდა შრომის ნაყოფიერების განზრახ შემცირებას, რასაც იწვევდა მაღალ შეფასებათა მიღების სურვილი.

შრომის დისციპლინის განმტკიცებამ, სამუშაო დღის შემჭიდროებამ და აგრეთვე ერთი სამუშაოდან მეორე სამუშაოზე ხშირმა გადაყვანამ, დიდად შეუწყო ხელი საქმის გამოსწორებას ცეხში. ივნისში თუ 14 პროცენტით იყო დაცემული შრომის ნაყოფიერება, ლამაზი ფეხსაცმელების ცეხმა ივლისში გეგმა 22 პროცენტით გადაჭარბებით შეასრულა.

ფეხსაცმელების ფაბრიკამ უკანასკნელ თვეში შეამცირა გაცდენის რიცხვიც. თუ ივნისში გაცდენათა რიცხვი შეადგენდა 447 საათს, ივლისში ის დაყვანილ იქნა 374 საათამდე. ეს იმით აიხსნება, რომ მოხდა მანქანებისა და მოწყობილობათა რემონტის თვისების გაუმჯობესება. მაგრამ ამავე დროს, გაცდენათა რიცხვის აბსოლუტურ შემცირებასთან ერთად, ადგილი აქვს მასალისა და სამუშაოს დროზე მიუწოდებლობის გამო დროის დაკარგვის ზრდას, რაც უნდა მიეწეროს ზოგიერთი ცეხის ოსტატთა უთაურობას.

ედმონდ.

ჩამორჩენილი ქარხანა

(ზუგდიდი)

ზუგდიდის ხე-ტყის სახერხ ქარხანაში სოც. შეჯიბრება და დამკვრელობა კუს ნაბიჯით იშლება. სამეურნეო წლის პირველი კვარტალის საფ. სამრეწ. გეგმა არ შესრულდა იმიტომ, რომ 1929-30 წლის საფ.-სამ. გეგმა შესდგა სრულიად შეუფერებლად, კაბინეტში და არა მუშების მონაწილეობით. ამასთან გეგმა არ იყო დაყოფილი ცეხების, დაზგებისა და ბრიგადების მიხედვით. არც ერთ მუშას არ ჰქონდა საკუთარი საფ.-სამრეწ. გეგმა და არც დამუშავებულა იგი მუშებში. გეგმის ასლიც არ არის ჩამოკიდებული ქარხანაში. ასე, რომ თითქმის უყურადღებოთაა დატოვებული საკ. პროფსაბჭოს და ს.შ.უ.ს. 15 მარტის დირექტივა გეგმების თვითეულ მუშამდე დაყვანის შესახებ.

ამით აიხსნება ის გარემოება, რომ აღნიშნული ქარხანა სამარცხვინოდ ჩამორჩა.

გეგმით გათვალისწინებული იყო 8.000 კუბ. მეტ. საამშენებლო მასალის და, 800 კუბ. მ. საყუთე-სატკეჩის დამზადება, სინამდვილეში დამზადდა: საამშენებლო მასალა—6614.782 კ. მეტრი, ხოლო სატკეჩ-საყუთე 429,051 კუბ. მეტრი. დამზადება პირველ კვარტალთან შედარებით შემცირდა 15 პროცენტით. ხოლო გეგმასთან შედარებით კი 20 პროცენტით. (პირველ კვარტალში დამზადდა 7,9 პროც. ნაკლები გეგმასთან შეფარდებით). თვითღირებულება პირველ კვარტალში გაიზარდა აბსოლუტურად 3 მან. 48 კაპეიკით, ხოლო პროცენტულად—11,8 პროცენტით. მეორე კვარტალში თვითღირებულება გათვალისწინებული იყო გეგმით კუბ. მეტრზე 29 მ. 50 კაპ. დაკლება ხოლო სატკეჩ-საყუთე მასალაზე კი გათვალისწინებული იყო 30 მან. 65 კაპ. სინამდვილეში თვითღირებულება საამშენებლო მასალაზე გადიდდა 37 მან. 12 კაპ. ასევე მოხდა საყუთე-სატკეჩზეც.

თვითღირებულების ზრდა პირველ კვარტალთან შედარებით უდრის 13 პროცენტს, ხოლო გეგმასთან შედარებით კი 26 პროცენტს. დახერხვის ხარჯები 1 კუბ. მეტრზე გათვალისწინებული იყო 9 მან. და 80 კ. საყუთე-სატკეჩე მასალაზე 15 მან. და 35 კ. ფაქტიური ხარჯები უდრის საამშენებლო მასალაზე 14 მან. და 15 კაპ. ხოლო საყუთე-ცენტს. დახერხვის ხარჯები 1 კუბ. მეტრზე ხარჯები გადიდებულია საამშენებლო მასალაზე 44 პროც., საყუთე-სატკეჩე მასალაზე კი 34 პროც. გეგმასთან შედარებით 133 პროც.

ძალიან არაჩვეულებრივ დანაკლისებს: სამრეწველო-საფინანსო გეგმის შეუსრულებლობა, თვითღირებულების 26 პროცენტით ზრდა, ხარჯების 139 პროც. ზრდა 20 პროც. ნაკლები პროდუქციის გამომუშავება, მეორე კვარტალში 806 კუბ. მეტ. მორების დანაკარგი, 105 კაც-საათის ე. ი. 13 სამუშაო კაც-დღის გაცდენა და სხვა, შედეგია სუსტი ხელმძღვანელობისა. უმაღლეს ორგანოთა დირექტივები არ სრულდებოდა და თითქმის განხილვითაც არ იხილებოდა აღნიშნულ ქარხანაში, რამაც გამოიწვია ქარხნის ასეთი კუს ნაბიჯით სიარული.

ადმინისტრაცია ამას ხსნის ძალთა სადღურის სისუსტით, ცუდი მორებით, ხარჯების ზრდით, ზედმეტი დანაკარგებით, რომელიც არ იყო გეგმაში და სხვა. მაგრამ საკითხავია, რამ გამოიწვია თვით ეს „ობიექტიური" პირობები? უდაოა, რომ ეს ტრესტისა და მთელი ადმინისტრაციის დაუდევრობით და უყურადღებობით არის გამოწვეული.

ამგვარად ქარხანასთან არსებული 7 დამკვრელი ბრიგადა ვერ ამართლებს თავის დანიშნულებას. ინდივიდუალურ და ჯგუფურ შეჯიბრების გაშლა, მუშებსა და თვით ბრიგადებს შორისაც მოისუსტებს. არ არსებობს კონტროლი მათ შორის დადებულ ხელშეკრულებისა და სამრეწ.-საფ. გეგმის გადაჭარბებით შესრულების საქმეში. ამ გარემოებას უნდა მიაქციონ შესაფერი ყურადღება პროფორგანომ.

ი. იზორია.

რა გვიშლის ხელს მუშაობაში

(საჭილაოს ხე-ტყის სახერხი ქარხანა)

საჭილაოს ხე-ტყის სახერხი ქარხანა დიდი წამოებაა, მაგრამ ხე-ტყის საქმის მცოდნე ხელმძღვანელების უყოლობის გამო, ქარხნის მუშაობა თავის სიმაღლეზე ვერ დგას. ქარხანაში თითქმის ყოველთვე იცვლებიან დირექტორები. ამასთანავე ადმინისტრაციას, ქარხკომსა და კომუჯრედს შორის შეთანხმებული მუშაობა არ არის, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ქარხნის მუშაობაზე. მიუხედავად ამისა, დამკვრელობამ და სოცშეჯიბრებამ შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად ასწია.

შეჯიბრების გამოცხადების შემდეგ ხელშეკრულების თანახმად საშუალოდ თითო ხარხ-დღეზე უნდა გამომუშავებულიყო — 31,500 კ. მ. მასალა, ნამდვილად გამოვიდა—33.167 კ. მ. მე-2 კვარტალში უნდა დამზადებულიყო 31,500 კ. მ. გამოვიდა 40,809 კ. მ. ე. ი. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 23 პროც.

საამშენებლო მასალა შეჯიბრებამდე, კალკულაციის თანახმად 1 კ. მეტრი ღირდა; თებერვალში 54-69 მან., მარტში—49,10 მან. ე. ი. თვითღირებულება შემცირდა 10,3 პროც. 1-ლ კვარტალთან შედარებით, მეორე კვარტალში საპატიო მიზეზებით გაცდენა გაიზარდა 6 დღით.

პირველ და მეორე კვარტალში ქარხანას რკინის გზიდან მიუღია 3.880 კ. მ. მასალაზე დაკვეთა, აქედან 1-ლ კვარტალში შესრულებულია 950 კ. მ. მე-2 კვარტალში—2.414 კ. მ. ე. ი. სულ შესრულებულია 3364 კ. მ. ანუ მთელი დაკვეთის 87,4 პროც. საექსპორტო დაკვეთები ქარხანას მიუღია 2.582 კ. მ. და შესრულებულია მთლიანად.

დამკვრელობა სუსტად არის გაშლილი

უნდა აღინიშნოს, რომ დამკვრელი ბრიგადების მუშაობა სუსტია. ზოგი ბრიგადები ვერ ამართლებენ სახელწოდებას. არა საპატიო მიზეზებით, მესამე კვარტალში გაცდენილია 22 კ. დღე 1-ლ კვარტალში 27 კაცდღე ე. ი. გაცდენები შემცირებულია 12,5 პროცენტით.

მესამე კვარტალში დაგვიანების შემთხვევა საშუალოდ უდრის 15, 1-ლ კვარტალში—18.

შამგონის ქარხანამ არ გვიპასუხა

საჭილაოს ქარხანამ სოცშეჯიბრებაში გამოიწვია შამგონის ხე-ტყის სახერხი ქარხანა. ქარხკომმა გადაუგზავნა შამგონის ქარხანას 1-ლი კვარტალის შედეგები და მოსთხოვა მათ, რათა მიეელინებიათ თავის ბრიგადების შედეგების შესამოწმებლად, მაგრამ მისგან პასუხი არ მიგვიღია. ამიტომ შედეგების გამორკვევა ურთიერთ შორის შეუძლებელი შეიქნა.

ქარხნის ნორმალურ მუშაობას ხელს უშლის ნედლი მასალის სიმცირე და ნაწილობრივ ჩარხების დატვირთაობა სათანადო ნედლეულით.

სევ. გრიგოლია.

როგორ მუშაობს თელავის აბრეშუმის ძაფ-სახვევი ფაბრიკა

თელავის აბრეშუმის ძაფსახვევ ქარხანაში ამჟამად მუშაობს 271 კაცი. ამათში 90 პროც. მუშა-ქალები არიან. ქარხანა მუშაობს ორ წყებად, მაგრამ, როგორც საქ. აბრეშუმის ტრესტის მასალებიდან სჩანს, სათანადო ფულადი სახსრების უქონლობის გამო, ქარხანა ვერ გადასულა განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე.

სოპერაციო წლის კვარტალში ქარხანა განუწყვეტლად მუშაობდა ადგილობრივი აბრეშუმის პარკით, რამაც კარგი შედეგი მისცა, მხოლოდ მეორე კვარტალში ქარხანამ მუშაობა დაიწყო სპარსეთის პარკით. ამან მუშაობის აჩქარებული ტემპი საგრძნობლად შეანელა. პარკი ძალიან ცუდი ხარისხისა გამოდგა. სწორედ ამის მიზეზით ქარხანამ მეორე კვარტალის საწარმოო გეგმა ვერ შეასრულა 19,1 პროცენტით.

მესამე კვარტალში ქარხანამ, ნედლი მასალის უქონლობის გამო სულ 20 დღე იმუშავა: დახარჩენ დროის საწარმოო დაკეტილი იყო. ნედლი მასალის მომარაგების შემდეგ, ქარხანა ანახლებს მუშაობას. მუშებმა დიდის ენტუზიაზმით მოჰკიდეს ხელი საქმეს. მათ მუშაობაში ხელი შეუწყო საუკეთესო ხარისხის პარკმა.

ივლისში ქარხანას უნდა დაემზადებია — 1704 კილო აბრეშუმის ძაფი, ფაქტიურად ქარხანამ გამოუშვა—2060 კილო. გეგმა შესრულდა 20,9 პროცენტის გადაჭარბებით.

ივლისში შრომის ნაყოფიერება ერთ აუზდღეზე გამოიხატებოდა—761,9 გრამში. თუ ამ რიცხვს შევადარებთ გას. წლ. ივლისის ნამუშევარს, დავინახავთ, რომ შრომის ნაყოფიერება მიმდინარე წლის ივლისში გადიდდა 3 პროცენტით. პროდუქციის ხარისხიც საუკეთესოდ უნდა ჩაითვალოს.

არასაპატიო მიზეზებით გაცდენილი კაცდღეები ივლისში უდრიდა—ერთს, მხოლოდ გასულ წლის ივლისში კი გაცდენილი იყო 15 კაც-დღე. აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ შრომის დისციპლინა მუშებში სათანადო სიმაღლეზე სდგას.

სოცშეჯიბრება და დამკვრელობა

თელავის ქარხანას სოცშეჯიბრებაში გამოწვეული ჰყავს ხონის, ოზურგეთის, სამტრედიის და ქუთაისის აბრეშუმის ქარხნები. თელავის ქარხანა მიმდინარე წლის მეორე კვარტალის გამონაკლისით სოცშეჯიბრებაში ყოველთვის გამარჯვებული გამოდიოდა.

ქარხანაში არსებობს—16 დამკვრელი ბრიგადა, რომელთა შორის სწარმოებს ბრძოლა საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისათვის. ურთიერთ შორის მათ დადებული აქვთ ხელშეკრულებები.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 118 მუშა, ისინიც ხელშეკრულებების თანახმად მაღლა სწევენ შრომის ნაყოფიერებას. შეჯიბრებამდის შედეგების გამორკვევა წესიერად სწარმოებს. საერთოდ ქარხანაში აღრიცხვის საქმე სათანადო სიმაღლეზეა დაყენებული. შედეგებს პირველად საწარმოო თათბირი იხილავს, შემდეგ კი საერთო კრება.

ინდივიდუალურ შეჯიბრებაში გამარჯვებულებს კვარტალურად ურიგდებათ ქაღალდები. ამას გარდა ისინი შეაქვთ წითელ დაფაზე.

საწარმოო გეგმა დაყვანილია დაზგებამდე. თვითეულ მუშამ იცის რამდენი უნდა დაამზადოს დღეში, თვეში და კვარტალში. ყოველდღიური ნამუშევარი ინიშნება ყველა საამქროებში გამოკრულ დაფებზე.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ერთმმართველობის საკითხი ქარხნის სამეურნ კარგად ვერ აქვს შეთვისებული. ამის გარშემო ქარხკომს და ადმინისტრაციას უთანხმოება მოსდით. განსაკუთრებით ქარხკომი ვერ ერკვევა ერთმმართველობის ძირითად საკითხებში.

ქარხანაში მუშებისათვის გამართულია სასადილო; რამოდენიმე ადგილას დადგმულია რადიო, ჩამოყალიბებულია წრეები, მასიური მუშაობა ქარხანაში წარმატებით მიმდინარეობს. აქვე არ შეიძლება არ მივუთითოთ ადმინისტრაციას და ქარხკომს ერთ უარყოფით მხარეზე. ქარხანას სისუფთავე არ ეტყობა, იქ, სადაც პირისაბანია და ტანსამოსის ჩასაცმელი, ანტისანიტარია სუფევს. სასადილოც უსუფთაო მდგომარეობაშია. საჭიროა შრომის დაცვის საკითხები ფართოდ იქნეს გაშუქებული მუშებს შორის.

ვ. მთვრალაშვილი.

მავნებლები სასტიკად უნდა დაისაჯონ

(გურჯაანი)

გურჯაანის ელსადგურის შენობის აგება დაიწყო 1929 წელს. დღემდე შენობის დამთავრების საშველი არ დაადგა. სამუშაო მხოლოდ 50 პროცენტით არის შესრულებული, მაგრამ გაკეთებულ საქმესაც თითქმის ხელმეორეთ უნდა გაკეთება. ტეხნიკური მეთვალყურე მშენებლობას არ ჰყავდა. მუშაობა მიმდინარეობდა ზერელეთ. აუარებელ ბოროტმოქმედებას ქონდა ადგილი, მაგრამ პატრონი არავინ იყო. წყლის ბაკის დაყენებას ექვსი კაცი მოუნდა 6 თვეს. ბაკი ისევ ჩამოსაღებია, რადგან იგი მთლად დაცხავებულია და წყალი გასდის. დადგმულია ერთი ას ძალიანი მანქანაც. სადგურის შენობის კედლები უკვე დასკდა, რაც დიდ საშიშროებას წარმოადგენს. ცემენტის წყლის აუზიც დახეთქილია და გასდის წყალი. ისე, რომ დღე-დღეზე დანგრევა მოელის.

სადგურის მშენებლობაზე დახარჯულია ასი ათასი მანეთი. ამ თანხის მეტი ნაწილი მოხმარდა „ძმა ბიჭურ" კამპანიებს და ქეიფს. ბევრი ანგარიშები არის წარმოდგენილი. ფული გაცემულია, მაგრამ საქმე კი არ არის შესრულებული. ამიტომ კიდევ არ არის დადგმული ოთხი გენერატორი, აუწყობელია გამნაწილებელი მარმარილოს ფიცარი, არ არის მოწყობილი მანქანის გარშემო ბარიერები და სხ.

ამასთან არ არის ინვენტარის სია. აუარებილი თანხის იარაღებია შეძენილი, მაგრამ თვალით არ სჩანს. არავინ იცის ვის ებარა და ვის ქონდა.

ამ საქმეში დამნაშავენი უკვე მიცემული არიან პასუხისგებაში, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური წარმომადგენლები ცდილობენ მისჩქმალონ ეს ბოროტმოქმედება და დამნაშავე როგორმე გაანთავისუფლონ. ამიტომ ცოტა არ იყოს დამნაშავის დასჯა ჭიანურდება. სათანადო ორგანომ ყურადღება უნდა მიაქციოს ამ გარემოებას.

გამშინჯველი.

რიონჰესის სამუშაოების მდგომარეობა

რიონჰესის სამუშაოთა მდგომარეობა 1929-30 წლის მეორე ნახევარში გვიჩვენებს, რომ ზოგიერთი ძირითად ნაგებობათა სამუშაოები ჩამორჩენილია გეგმასთან შედარებით, რაც მშენებლობის მიზეზით არაა გამოწვეული.

კაშხალის ძირითადი ქვედა ნაწილი დამთავრებულია, დანარჩენი სამუშაოებიც თითქმის მოთავებული იქნებოდა, რომ ხელს არ უშლიდეს საარმატურო რკინის უქონლობა ზედა ხიდების გასამართავად, რომლებიც ასაწევ მექანიზაციაქმნილ ფარების დასაყენებლად არის საჭირო. ამ გარემოებამ შეიძლება მეტად ცუდი გავლენა იქონიოს ფარების აწყობაზე, რომლებიც საერთოდ უკვე დამზადებულია ქარხანა „კრასნი პუტილოვეც"-ის მიერ ლენინგრადში და გამოგზავნილია კიდეც.

პირველი გვირაბის წყალთმიმღები ნაწილი თითქმის დამთავრებულია, მაგრამ ამ გვირაბის, რომელსაც 1500 მეტრი სიგრძე აქვს, გაფართოებისა და დაბეტონების სამუშაოები უკანასკნელად მეტად ჩამორჩა გეგმასთან შედარებით, ვინაიდან ცემენტის მიუღებლობისა და მისი მარაგის მეტად შემცირების გამო მშენებლობა იძულებული გახდა მთელი ბეტონის სამუშაოები მოექცია, უმთავრესად, გენერატორის შენობაზე და მეორე გვირაბში, სადაც მუშაობის შეჩერება ტეხნიკურად მეტად საძნელოა. პირველი გვირაბი, თუ შემდგომ მიღებული იქნა ცემენტი საკმაო რაოდენობით, შეიძლება სავსებით იქნას დამთავრებული 1931 წლის გაზაფხულისათვის. მეორე გვირაბის, სიგრძით 1.000 მეტრის, სამუშაოები დამთავრებული იქნება მიმდინარე წლის ოქტომბრისათვის.

მუშაობა გენერატორის შენობის ძაგებაზე მეტად წარმატებით მიმდინარეობს ამჟამად თუმცა 1929 წლის გაზაფხულზე ეს სამუშაო მშენებლობის „ვიწრო ადგილად" ითვლებოდა. მთელი ბეტონის მუშაობა მექანიზაციაქმნილია, და ხდება ის ეგრედ წოდებული სხმული ბეტონის საშუალებით, რომელიც ჩადის ღარებში და ჩამოსაშვებში მძლავრ ბეტონის ქარხნიდან, რომელიც შესდგება სტაციონალური ტიპის ხუთ ბეტონხეტისაგან.

ამჟამად გენერატორის შენობის საძირკველი და მთელი ქვედა ნაწილი უკვე დაბეტონებულია და იწყება იმ ნაწილის დაბეტონება, სადაც უნდა დაიდგას ტურბინები.

მეტად ჩამორჩება სადერივაციო არხის მიწის სამუშაოები, სადაც სულ ბოლო დრომდე მუშაობს გზათა სახალხო კომისარიატის „ცუსტროი"-ს ორი ექსკავატორი.

დანარჩენი ორი ექსკავატორი და 10 კილომეტრი ფართო ლიანდაგის რელსები, რომელთა რიონჰესისათვის დათმობა გადაწყვეტილია საბჭოთა კავშირის მუშგლეხინისა და გზათა სახალხო კომისარიატის დადგენილებით, ჯერ კიდევ არაა არა თუ მიღებული, არამედ გამოგზავნილიც კი, მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობამ არა ერთხელ გაგზავნა თავისი წარმომადგენლები ექსკავატორების და რელსების მისაღებად.

არსებული ორი ექსკავატორისა და იმ რელსების ამარა, რაც ამჟამად არის, სადერივაციო არხის მიწის სამუშაოები 13-14 თვეზე ადრე მაინც არ გათავდება, რაც აშკარად ეწინააღმდეგება მშენებლობის გეგმას, ვინაიდან ამ არხის ბეტონით შელესვა, რაც შემდეგ უნდა მოხდეს, დიდი დრო მოუნდება.

რიონჰესის ყველა ძირითადი ნაგებობანი (ტურბინები, გენერატორები და ტრანსფორმატორები) უკვე დამზადებულია ლენინგრადისა და მოსკოვის ქარხნებში და ჯერ-ჯერობით არ მოიპოება ცნობები მათი მიღების დაყოვნების შესახებ. მაგრამ მეტად არანორმალურად უნდა ჩაითვალოს საწნევი მილსადენის მიღების საკითხის მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ მშენებლობამ ეს შეკვეთა გაგზავნა „გლაველექტრო"-ში (ამჟამად „ენერგოცენტრ"-ში) ჯერ კიდევ ერთი წლის წინად და მას შემდეგ სამჯერ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი ამ საკითხის გადასაჭრელად, აღნიშნული მილსადენი ჯერ ისევ მიუღებელია. ფაქტიურად საწნევი მილსადენის შეკვეთა საბოლოოდ არც კია ჯერ მიღებული კონტრაგენტის მიერ და არ შეუდგომიან მის დამზადებას. ქარხანა იტყობინება, რომ მილსადენი გამზადებული იქნება არა უადრეს 1932 წლის აპრილისა, რაც, ე. ი. ეს დრო, დიდად გახსხვავდება დანარჩენი მოწყობილობის დამთავრების ვადისაგან და სამუშაოთა დამტკიცებულ გეგმისაგან.

მშენებლობის ძირითად საჭიროებად ჩაითვლება: შეუწყვეტლივ მიწოდება ცემენტისა და საარმატურო რკინის, რომელთა მწვავე კრიზისს აქვს ადგილი, გზათა სახალხო კომისარიატის მიერ ორი ექსკავატორისა და 10 კილომეტრის რელსის დათმობა სადერივაციო არხის მიწის სამუშაოებისათვის და გერმანიაში შეკვეთილ 2 მრავალციცხვიან ექსკავატორის მიღების დაჩქარება სადგურის წყალსაგდებ არხისათვის.

თავისთავად ცხადია, რომ საკითხი საწნევ მილსადენების დამზადებისა და შეკრების (აწყობის) შესახებ დაუყოვნებლივ და არსებითად უნდა იქნას გადაჭრილი.

სამეცნიერო კადრების მომზადება

ეროვნულ უმცირესობათათვის

თბილისში ჩამოვიდა საკავშირო ცაკთან არსებულ საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელი, რომელსაც დავალებული აქვს ინსტიტუტისათვის ასპირანტების შერჩევა.

ჩვენ თანამშრომელთან საუბრის დროს ინსტიტუტის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აღმოსავლეთის ხალხების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი შეუდგა ასპირანტების შერჩევას და განზრახული აქვს ეს შერჩევა ჩაატაროს ნაციონალურ რესპუბლიკებთან და ოლქებთან მტკიცე შეთანხმების საფუძველზე.

საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხთა ინსტიტუტი თავის ძირითად ამოცანად ისახავს ნაციონალურ უმაღლეს სასწავლებლებისათვის და კომუნისტური უნივერსიტეტებისათვის მეცნიერულ მუშაკების, მკვლევარებისა და მასწავლებლების თვით საბჭოთა კავშირის ხალხებისაგან მომზადებას.

ასპირანტების მიღება და სპეციალიზაცია იწარმოებს საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხების ენისა და მწერლობის, სოციალურ-ეკონომიური ფორმაციის, ნაციონალური საკითხის თეორიისა და პრაქტიკის და საბჭოთა აღმოსავლეთის ნაციონალურ და რევოლუციონური ისტორიების სექციებში.

ინსტიტუტის სამოსწავლო გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოსამზადებელი განყოფილების მოწყობას. მთელი რიგი დისციპლინებით, რომლებიც მიზნად ისახავენ ასპირანტების მარქსისტულად მომზადებას და მათთვის მტკიცე მეთოდიურ საფუძვლების შექმნას.

კონკურსზე დაშვებული იქნებიან უმთავრესად ეროვნულ უმცირესობათა ისეთი წარმომადგენლები, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებლები, კომუნისტური უნივერსიტეტები, ან ისეთი პარტიული ამხანაგები (გამონაკლის შემთხვევაში უპარტიოებიც, რომლებიც წამოყენებული უნდა იქნან პარტიულ ან პროფესიონალურ ორგანიზაციების მიერ), რომლებსაც ეს სასწავლებლები არ დაუმთავრებიათ, მაგრამ მიღებული აქვთ ამ სასწავლებლების შესაფერი ცოდნა.

ინსტიტუტში შესვლის მსურველნი გაივლიან გამოცდებს პოლიტეკონომიასა და ისტორიულ მატერიალიზმში. შესაძლებელი სამუშაო ძირითად განყოფილებაზე წარდგენილი უნდა იქნეს ა.-წ. 1 ოქტომბრისათვის.

ზეპირი გამოცდა იწარმოებს 1-ლიდან 15 სექტემბრამდე. ინსტიტუტში ჩარიცხულ ასპირანტებს თვიურად ხელფასი მიეცემათ 175 მანეთის რაოდენობით. გარდა ამისა ასპირანტები შეძლებისდაგვარად დაკმაყოფილებული იქნებიან საერთო საცხოვრებლებით.

განცხადებები ინსტიტუტში შესვლის შესახებ უნდა გაიგზავნოს შემდეგი მისამართით: მოსკოვი ბერსენიევის სანაპირო ქ. № 20).



სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია: ელექტრო მოწყობილობათა დამზადება

სტუდენტების საბანაკო შეკრება წარმატებით ჩატარდა

პროლეტარულ სტუდენტობის სახით წითელარმიას ჰყავს საუკეთესო რეზერვი, რომელიც მზად არის საჭირო დროს იარაღით ხელში გამოვიდეს მშრომელთა ინტერესების დასაცავად.

ყურადღება წვევამდე მზადებას

დამთავრდა სტუდენტების საბანაკო შეკრება. სტუდენტებმა უკვე დასტოვეს ბანაკები და დაუბრუნდნენ თავიანთ ჩვეულებრივ საქმიანობა-სამუშაოს.

მიმდინარე წელს სტუდენტების გასვლას ბანაკად მიეცა ფართო, მასიური ხასიათი. თუ გასულ ზაფხულს ბანაკად გაიგზავნა სტუდენტების მცირე ჯგუფი, წრეულს ბანაკად გავიდა რამოდენიმე ასი სტუდენტი სახელმწიფო უნივერსიტეტიდან, პოლიტეხნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტებიდან.

სტუდენტების საბანაკო შეკრება წარმატებით ჩატარდა. მეთაურები, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ სამხედრო და პოლიტიკურ მეცადინეობას, აღნიშნავენ, რომ სტუდენტებმა დამაკმაყოფილებლად შეითვისეს შეკრების პროგრამა და შეიძინეს ისეთი ცოდნა, რომელიც საჭიროა ბრძოლის დროს. ამასთანავე სტუდენტები გაეცნენ უმცროსი მეთაურის მოვალეობას და შეითვისეს საჭირო გამოცდილება, რომელიც აუცილებელია ჯარის ერთეულის მართვის დროს.

ბანაკად ყოფნის დროს სტუდენტებს უხდებოდათ ცხოვრება წითელარმიელებთან ერთად. დრო გამოშვებით სტუდენტები ამეცადინებდნენ არმიელებს, მართავდნენ მათთან საუბრებს სხვადასხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივი კამპანიების ირგვლივ. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო სტუდენტების დაახლოებას წითელარმიელთა მასასთან და ყაზარმის ყოფა-ცხოვრების და სწავლების საქმის ახლო გაცნობას.

სტუდენტების საბანაკო შეკრება იძლევა მდიდარ მასალას, რომელიც ახასიათებს უმაღლესი წვევამდე მზადების მდგომარეობას ჩვენს სასწავლებლებში. საზაფხულო სამხედრო სწავლებამ ცხადჰყო ის გარემოება, რომ ზამთრის განმავლობაში სტუდენტებმა ვერ შეიძინეს ის ცოდნა, რომელიც გათვალისწინებული იყო პროგრამით. ბანაკად სტუდენტები გამოცხადდნენ სუსტი მომზადებით და არა საკმაო ცოდნით. ეს გარემოება გვავალებს ჩვენ მივაქციოთ სერიოზული ყურადღება სტუდენტების საზამთრო სამხედრო სწავლებას. უმაღლესი სასწავლებლები უზრუნველყოფილი უნდა იქნენ სამხედრო კაბინეტებით და ლაბორატორიებით, რათა სტუდენტებს მიეცეს საშუალება საფუძვლიანად გაიცნონ სამხედრო ხელოვნება. უნდა ვიზრუნოთ სახელმძღვანელოების გამოცემაზე სამხედრო საგნებში. ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების უქონლობა დიდად აფერხებდა გასულში სამხედრო მეცადინეობას. ამასთანავე უნდა შეიქნას სამხედრო ლექტორთა მტკიცე კადრი, რომელთაც ექნებათ საკმაო ცოდნა და გამოცდილება იმისათვის, რომ გაუძღვნენ უმაღლეს წვევამდე სამხედრო მზადებას.

წრეულ სამზადისი სტუდენტთა ბანაკად გასვლისათვის და თვით გასვლის ორგანიზაცია ძლიერ მოისუსტებდა. ბანაკად მოხვდა მრავალი ჯანმრთელობის მხრივ სუსტი სტუდენტი. ჯანმრთელობის შემოწმების შემდეგ გორის ბანაკიდან დაბრუნებული იქნა სტუდენტთა მთელი შემადგენლობის 18 პროცენტი, რაც არ უნდა განმეორდეს მომავალში.

უმაღლეს წვევამდე მზადების ხელმძღვანელებმა მომავლისათვის უნდა გაითვალისწინონ წრევანდელი საბანაკო შეკრების შედეგები და მიიღონ ზომები, რომ მომავალი გასვლა ბანაკად იყვეს უნაკლო, რათა—უზრუნველყოფილი იქნება საზაფხულო სამხედრო სწავლების წარმატება.

ი. ზ.

პროლეტარული სტუდენტობა წითელი არმიის რეზერვია

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტები საბანაკო სწავლების დროს გაერთიანებული იყვნენ მეორე საარტილერიო ლეგიონში.

პროლეტარულმა სტუდენტობამ სამხედრო ხელოვნების შესწავლის საქმეში გამოიჩინა არაჩვეულებრივი ენერგია და გულმოდგინეობა. ამით აიხსნება ის, რომ არც ერთ სტუდენტს სამხედრო საგნებში არ მიუღია სუსტი ნიშანი. მეცადინეობის დროს ფართოდ იქნა გამოყენებული სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის მეთოდები.

სტუდენტებმა თავისი თავი გამოაცხადეს დამკვრელებად და აკისრეს ყოველივე დავალების სანიმუშოდ შესრულება. დამკვრელობამ და სოც. შეჯიბრებამ გამოიღო სათანადო ნაყოფი: სტუდენტებმა საუკეთესოდ შეითვისეს სამხედრო საგნები.

სტუდენტების ინიციატივით გამოდიოდა კედლის გაზეთი „სტუდენტი—არტილერისტი", სადაც ფართოდ შუქდებოდა სტუდენტთა საბანაკო ცხოვრება და სამხედრო მომზადების საკითხები.

სტუდენტები ჩაბმულნი იყვნენ პოლიტსაგანმანათლებლო მუშაობაში არმიელთა შორის.

ველად გასვლის დროს, ტაქტიკურ მეცადინეობაში, სტუდენტები იჩენდნენ იშვიათ გამჭრიახობას, ერკვეოდნენ მიცემულ ამოცანაში, რაც იწვევდა კმაყოფილებას ხელმძღვანელობაში.

სტუდენტებს დიდათ ამხნევებდა უფროსთა და პოლიტმუშაკთა ამხანაგური დამოკიდებულება.

მეცადინეობის დამთავრების დღეს შესდგა საზეიმო აღლუმი, რომელზედაც ლეგიონის მეთაურმა და სამხედრო კომისარმა მადლობა გამოუცხადეს სტუდენტებს ენერგიულ მუშაობისა და სამხედრო საგნების საუკეთესოდ შეთვისებისათვის.

საბანაკო სწავლებამ სტუდენტები აღჭურვა ისეთი ცოდნით, რომელიც საჭიროა როგორც რიგის წითელარმიელებისათვის, ისე უმცროსი მეთაურისათვის. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ კი ყოველ სტუდენტს ექნება ისეთი სამხედრო ცოდნა, რომ საჭირო დროს შესძლებს შესცვალოს საშუალო მეთაური და წინ წაუძღვეს წითელარმიელებს.

ი. სამსონია.

ღონისძიებები მესაქონლეობის განვითარებისათვის

მეღორეობის განვითარება კოლექტიურ მეურნეობებში

საოლქო და რესპუბლიკანური კოლმეურნეობათა ცენტრები სათანადო ყურადღებას არ უთმობენ კოლმეურნეობათა მუშაობას მეღორეობის განვითარების დარგში. ასეთი მდგომარეობა ქმნის საფრთხეს იმისას, რომ მთავრობის დავალება კოლმეურნეობებში სამრეწველო მეღორეობას ორგანიზაციის შესახებ შესრულებული არ იქნება. ამასთან, დაკავშირებით, საკავშირო კოლმეურნეობათა ცენტრმა დაავალა ყველა კოლმეურნეობათა კავშირებს — მიიღონ ზომები მეღორეობის განვითარებისათვის კოლმეურნეობებში. მეღორეობის გეგმები დაყვანილი უნდა იქნას კოლმეურნეთა ფართო მასებამდე. (ადს).

კოლმეურნეთა დაჯილდოება

საკავშ. კოლმეურნეობათა ცენტრმა წინადადება მისცა ადგილებს გამოჰყონ საშუალებები მესაქონლეობის დარგში საუკეთესო კოლმეურნეთა დასაჯილდოებლად. (ადს).

საკავშირო მიწსახკომის და კოლმეურნეობათა ცენტრის განმარტება

საკავშირო მიწსახკომი და კოლმეურნეობათა ცენტრი განმარტავენ, რომ სასოფლო - სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება არ ზღუდავს სას. - სამეურნეო არტელის წევრთა უფლებას—გამოზარდონ ახალგაზრდა საქონელი, გააშენონ და იყიდონ ინდივიდუალურ მფლობელობაში მსხვილი და წვრილ რქოსანი საქონელი და ღორები.

კოლმეურნეობათა გამგეობები ვალდებული არიან ყოველმხრივ შეუწყონ ხელი კოლმეურნეთა საქონლის წესიერ მოვლას საბალახოების გამოყოფით და საქონლის საკვების მიცემით კოლმეურნეთა კუთვნილი შემოსავლის ანგარიშში და სხვ.

მეცნიერება და ტეხნიკა

ნიკოტინი

ამჟამად სერიოზული ყურადღება ექცევა ჩვენი ექსპორტის გაძლიერებას და ახალი სახის საექსპორტო ობიექტების გამონახვის საკითხს. ამასთან დაკავშირებით მე განზრახული მაქვს აღვძრა საქართველოში ახალი წარმოების შექმნის საკითხი, —მხედველობაში მაქვს **ნიკოტინის** დამზადება ჩვენი ნედლეულის გამოყენებით.

ნიკოტინი წარმოადგენს თამბაქოს მრეწველობის დამხმარე პროდუქტს. ნიკოტინი მზადდება:

1) ძლიერი ნიკოტინიანი თამბაქოს ფოთლებიდან, რომლებიც ჩვეულებრივად საექსპორტოდ არ ვარგა;

2) მოსაწევ თამბაქოს ნარჩენებიდან;

3) რუსული მახორკისაგან, რომელიც საუკეთესო მასალას წარმოადგენს ნიკოტინისათვის.

ნიკოტინის მოპოვება ხდება თამბაქოს ფოთლების ღეროებიდან (იხ. სურათი).



ნიკოტინს ამზადებენ თამბაქოს ფოთლის იმ ნაწილიდან, რომელიც სურათზე თეთრი ზოლით არის ნაჩვენები.

ნიკოტინის დამზადებას თამბაქოს ფოთლების ღეროებიდან ის უპირატესობა აქვს, რომ ღეროებიდან ნიკოტინის ამოღების შემდეგ, ღეროებს აქცევენ ფხვნილად, რომელსაც სასუქად იყენებენ სოფლის მეურნეობაში.

თამბაქოს ფოთლები მათი ჯიშის მიხედვით საერთოდ 3-დან 7 პროცენტამდე ნიკოტინს იძლევიან, შეერთებულ შტატებში კი—3-3 ნახ. პროცენტს წონის ერთეულზე.

ნარჩენები კი უფრო ცოტა ნიკოტინს იძლევა—1 ნახ. პროც. წონის ერთეულზე. ამ მასალიდან მიღებული ნიკოტინი ბაზარზე მიდის ნიკოტინ-სულფიტის სახით, ან წმინდა ნიკოტინის სახით.

ნიკოტინის დასამზადებელი ქარხნები საბჭოთა კავშირშიაც მოიპოება —ლენინგრადში, უკრაინაში და თურქესტანში.

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომიტეტის ცნობების მიხედვით, ეს ფაბრიკები მთელ ნიკოტინს ნედლეულიდან აწზადებენ. ამგვარად მიღებული პროდუქტი სავსებით გამოსადეგია ექსპორტისათვის.

ვინაიდან საბჭოთა კავშირში ნიკოტინი უმნიშვნელო რაოდენობით მზადდება, ამიტომ იგი ვერ აკმაყოფილებს შეერთებულ შტატების და კანადის მოთხოვნილებას ამ პროდუქტზე.

საერთოდ მოთხოვნილება ამ საქონელზე როგორც ამერიკაში, ისე ევროპასა და იაპონიაში მიწოდებას აღემატება.

შეერთებულ შტატებში ნიკოტინის დამზადების საქმე თამბაქოს ტრესტის ხელშია და ნიკოტინის წარმოება იმდენად ხელსაყრელია ამ ტრესტისათვის, რომ ნედლეული (უმთავრესად თამბაქოს ფაბრიკების ნარჩენები), 15 შტატიდან იგზავნება ნიკოტინის დასამზადებელ ფაბრიკაში.

ამგვარად მიუხედავად იმისა, რომ ფრახტი ძვირი ჯდება, ხოლო ნედლეული—ნარჩენები ნიკოტინის მცირე პროცენტს შეიცავენ, —ეს წარმოება მაინც ხელსაყრელია.

ნიკოტინის ფაბრიკის მოწყობილობა და წარმოება — მარტივი და იაფია.

ვინაიდან საქართველოში თამბაქოს მეურნეობა და მრეწველობა ფართოდ არის განვითარებული, ამიტომ მე ვფიქრობ დროული იქნებოდა, თუ ჩვენი თამბაქოს ტრესტი ხელს მოკიდებდა ამ საქმის მოწყობას, უმთავრესად საექსპორტო მიზნით. შემდეგში კი შეიძლება ნიკოტინის ამგვარადვე გამოყენება, როგორც მას შეერთებულ შტატებში იყენებენ.

ნიკოტინის გამოყენება შეერთებულ შტატებში დაიწყო 1914 წლიდან. ამჟამად ამერიკაში ნიკოტინი ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება მცენარეების მავნებლების წინააღმდეგ საბრძოლველად და მას ფართოდ იყენებენ ბაღებში, ბოსტნებში და ყვავილნარებში. რადგან ნიკოტინი ცოტა მზადდება, ამიტომ იგი ძვირია.

ნიკოტინს განსაკუთრებით ფართოდ ხმარობენ შინაურ ფრინველის, უმთავრესად ქათმების მკბენარების წინააღმდეგ და საერთოდ პირუტყვის დეზინფექციისათვის. ამ საჭიროებისათვის იხმარება 40 პროცენტიანი ნიკოტინი—სულფიტი. შეერთებულ შტატებში. ეს პროდუქცია იყიდება ბოთლებში. 40 პროცენტიანი ნიკოტინი—სულფიტი იხმარება აგრეთვე ინდუსტრიალურ ალკოჰოლის დენატურალიზაციისათვის.

95-98 პროცენტიან—წმინდა ნიკოტინს იყენებენ საღებავების წარმოებაში, აგრეთვე ნიკოტინიან დეზინფექტორების წარმოებაში, მაგრამ 95-98 პროცენტიან ნიკოტინს ჩვეულებრივად ურევენ წყალს და ნავთს და ამგვარად გადიდებული რაოდენობით მიდის წარმოებაში. ნიკოტინის გამოყენების შესაძლებლობა დიდია, მაგრამ ჯერჯერობით ეს საკითხი არ არის შესწავლილი.

შეერთებულ შტატებში ნიკოტინის გადამუშავების და გამოყენების საკითხების გასაშუქებლად რამდენიმე ჟურნალი გამოდის.

ამრიგად, ადამიანის ორგანიზმისათვის მავნებელ თამბაქოს გადამუშავების შემდეგ მეტად სასარგებლო საქმისათვის იყენებენ. კარგი იქნება, თუ ჩვენშიაც შეისწავლიან ნიკოტინის დამზადებას და გამოყენებას. ნიკოტინის წარმოებისათვის ალბად გამოდგებოდა სამეგრელოს, გურიის და ლაგოდეხის მაღალ ღირსების თამბაქო და აგრეთვე ჩვენი თამბაქოს ფაბრიკების ნარჩენები.

ნიკოტინის წარმოების შესახებ აქ მოყვანილი ცნობები ამოღებულია ამერიკა-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომიტეტის მასალებიდან, ჟურნალებიდან და საბჭოთა ნიკოტინის გამყიდველებისა და მყიდველებისათვის მიცემულ შეკითხვებიდან.

ა. მიქაძე.

ნიუ-იორკი.

აეროპლანები დირიჟაბლზე

შეერთებული შტატების სამხედრო -საჰაერო ფლოტი განუწყვეტლივ აწარმოებს ჰაეროპლანების და დირიჟაბლების საომარი მოქმედების შეთვისების ცდებს. შეერთებული შტატების სამხედრო ავიაციის ხელმძღვანელთა აზრით, მომავალში დირიჟაბლზე მოთავსებული უნდა იქნას რამდენიმე ჰაეროპლანი დირიჟაბლის დასაცავად მტრის ავიაციის თავდასხმისაგან და დაზვერვის მიზნით, რაც საგრძნობლად გაადიდებს დირიჟაბლის ბრძოლის უნარიანობას.

აქ რამდენიმე ხნის წინათ ლეკხერსტის ჰაეროდრომზე მოახდინეს ცდა ჰაეროპლანის მიმაგრებისა გაფრენილ დირიჟაბლზე. დირიჟაბლის უკანა ნაწილის ქვეშ მოთავსებული იყო სპეციალური კრაზი. ჰაეროპლანი მიუახლოვდა დირიჟაბლს და როცა მისი ფრენის სისწრაფე გაუთანასწორდა დირიჟაბლისას, კრაზი მოედვა ჰაეროპლანის ფრთის ზედა გაკეთებულ კაკვს და ჰაეროპლანი მიემაგრა დირიჟაბლს.

ახალი იდეები ელექტრო-ტეხნიკაში

ამ რამდენიმე ხნის წინათ დევონში (კონექტიკუტის შტატი, ამერიკა) დაამთავრეს აგება მსოფლიოში ერთად-ერთი ელექტრო-სადგურისა წყლის აკუმულიატორებით.

როგორც ცნობილია, მთავარ ბოროტებას ყოველგვარი ელექტრო- სადგურისათვის წარმოადგენს მომხმარებლებისათვის მისაწოდებელ ენერგიის შერჩევის უთანაბრობა. საღამოობით ენერგიის ხარჯვა ყველაზე დიდია, დღისით ძლიერ ცოტა, ღამით სადგურების დატვირთვა თითქმის ნოლამდე ეცემა, რის გამო მანქანები დღე-ღამის მნიშვნელოვან ნაწილში უქმად მუშაობენ, ზოგჯერ კი, პირიქით, გადაჭარბებული დატვირთვით. ეს გარემოება გავლენას ახდენს მანქანების გამძლეობაზე და სადგურის მუშაობის ღირებულებაზე.

დევონის სადგურმა დატვირთვის უთანასწორობა შემდეგი მოხერხებული წესით გამოასწორა: იმ საათებში, როცა სადგურის დატვირთვა ეცემა, ორთქლის ტურბინები ამუშავებენ მძლავრ წყლის საქაჩავებს, რომლებიც წყალს აგროვებენ დიდ რეზერვუარებში, სამოცი მეტრის სიმაღლეზე სადგურს ზევით. დატვირთვის გადიდების დროს, დაგროვებული წყალით აბრუნებენ წყლის ტურბინებს, რომლებიც დაკავშირებული არიან ელექტრო-დინის გენერატორებთან. მიიღეს მძლავრი წყლის აკუმულიატორი, რომელიც ენერგიის დიდ მარაგს ინახავს.

ამ არაჩვეულებრივად მოხერხებული წესის შემოღების გამო, დევონის ელექტრო-სადგურის ენერგია არაჩვეულებრივად იაფი ჯდება.

პლანერი — აეროპლანი

ამერიკაში დაამზადეს ახალი ტიპის ჰაეროპლანი. ეს არის პლანერი, რომელზედაც დადგმულია სუსტძალოვანი მოტორი. გზის მეტ ნაწილზე აპარატი მიფრინავს, როგორც პლანერი, რისთვისაც სარგებლობს მოპირდაპირე ქარით და ჰაერის ზე-აღმავალ ნაკადებით. როცა ქარი წყდება, მუშაობას იწყებს მოტორი და აპარატი, ახალი ხელსაყრელი მომენტის მოლოდინში, განაგრძობს გზას.

ახალი აპარატი იდეალური სამეცადინო ჰაეროპლანია. როგორც ყოველ პლანერს, მას ფრენის დროს ახასიათებს უაღრესი წონასწორობა, მისი მართვა ადვილია, ექსპლოატაცია იაფი ჯდება. ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკელმა მფრინავმა ხეფფმენმა ახალი სახის სპორტის პროპაგანდის მიზნით 10 საათში 900 კილომეტრი გაიარა ამგვარი აპარატით და გზაში მხოლოდ ერთხელ დაეშვა საწვავი მასალის მარაგის შესავსებად. მთელი გადაფრენა (ზეთისა და საწვავი მასალის ჩათვლით) დაჯდა ოც მანეთამდე. ახალი ჰაეროპლანის სიგრძე აღწევს ექვს მეტრამდე. დადგმულია მასზე მოტოციკლის ტიპის ორტაქტიანი სუსტძალოვანი მოტორი. ჰაერში ასაფრენად ჰაეროპლან-პლანერს სჭირდება 10 მეტრის გარბენა.

შედუღებული ნაწილების სტრუქტურის გამოკვლევა

ელექტრონული ავტოგენური შედუღება თანდათან უფრო და უფრო ვრცელდება მანქანათმშენებლობაში და საამშენებლო საქმეში, როგორც ყველაზე მარტივი, სწრაფი და საიმედო საშუალება ლითონის ნაწილების შეერთებისა. შედუღების განვითარებას დღემდე აბრკოლებდა შედუღებული ადგილის (ნაკერის) სიმაგრის შემოწმების შეუძლებლობა (შედუღებული ადგილის სიმაგრე სავსებით დამოკიდებულია შედუღების წესიერად მოხდენაზე და შემდუღებლის დახელოვნებაზე). დღემდე შედუღებული ადგილის სიმაგრის შესამოწმებლად სარგებლობდნენ მხოლოდ და მხოლოდ განსაკუთრებული გამოსაცდელი მანქანებით. დატვირთვა, რომელიც საჭირო იქნებოდა შედუღებული ადგილების დასაშორებლად, ითვლებოდა ნაკერის სიმაგრის ზომათ.

უკანასკნელ ხანებში შემუშავებულია სიმაგრის შემოწმების რამდენიმე წესი, რომლებიც აღარ მოითხოვენ შედუღებული ადგილის გაწყვეტას.

ერთ-ერთი ამ წესის მიხედვით შედუღებულ ადგილს სჭვირავენ (ანათებენ) რენტგენის სხივებით. ღებულობენ შედუღებული ადგილის სტრუქტურის გამოხატულებას ყველა იმ გაბზარული ადგილებით, ფურჩებით და უსწორმასწორობით, რაც შეიძლება წარმოიშვას შედუღების დროს.

მეორე საშუალებას წარმოადგენს შედუღებული ადგილის პერკუსია (შემოწმება დაკაკუნებით). ეს წესი ნასესხებია საექიმო პრაქტიკიდან და თუმცა ისე ზუსტი არ არის, როგორც პირველი, მაგრამ მაინც იძლევა დამაკმაყოფილებელ წარმოდგენას ნაკერის სტრუქტურის შესახებ. ყოველგვარი ნაკლი შენადუღებ ადგილში თავს იჩენს ტემბრის შეცვლით დაკაკუნების დროს.

მესამე, ახალ და ყველაზე ზუსტი საშუალებაა —შემოწმების ელექტრო-მაგნიტური წესი. იგი მდგომარეობს შემდეგში: შესამოწმებელ ნაწილში ატარებენ ელექტროდენს, რომელიც ამ ნაწილის გარშემო ქმნის ელექტრო-მაგნიტურ არეს. თუ შედუღებული ადგილი ყველგან ერთგვარია, მაგნიტური არეც ერთგვარი იქნება; ყოველგვარი უსწორმასწორობა შენადუღებ ადგილში, ასეთსავე არანორმალობას იწვევს მაგნიტურ არეში.

შენადუღებ ადგილის შემოწმების ახალი საშუალებები ეჭვს გარეშეა ხელს შეუწყობენ შედუღების წესის კიდევ უფრო გავრცელებას.

ბოსტნების გათბობა ელექტრო-ენერგიით

ჩვენს გაზეთში რამდენიმე ცნობა გვქონდა მოთავსებული ელექტრო-ენერგიის გამოყენების შესახებ მებოსტნეობაში. ჟურნალ „ნ. იპ." (№ 13) მოჰყავს ახალი საინტერესო ცნობები ამის შესახებ.

წარსულ წელში ფრანკფურტში (მაინზე გერმანია) დასთესეს ორი საცდელი კვალი. გათბობა სწარმოებდა სპეციალური სათბობი კაბელის საშუალებით, რომელიც მოთავსებული იყო მიწაში 20 სანტიმეტრის სიღრმეზე. გათბობას ახდენდენ უმთავრესად ღამით, რადგან ელექტრო-ენერგია ღამით უფრო იაფი ჯდება და მხოლოდ იშვიათად (დიდ ყინვებში)— დღისითაც. ღამით ნიადაგის გათბობას კიდევ ის უპირატესობა აქვს, რომ მიწა თბება დილისათვის, რაც განსაკუთრებით ხელსაყრელია ბოსტნეულის ზრდისათვის. ნიადაგი ისე კარგად ინახავს სითბოს მიღებულ მარაგს, რომ მთელი დღის განმავლობაში ტემპერატურა ერთ დონეზე დგას, მზიან დღეებში მატულობს კიდეც. 16—23 გრადუს ყინვის დროს ნიადაგს ათბობდნენ 8 საათის განმავლობაში ღამით და 2—3 საათის განმავლობაში დღისით. ეს საკმაო იყო ტემპერატურის დასაცავად + 23—24 გრადუსის დონეზე.

ამ არანორმალურად მკაცრ პირობებში დღე-ღამის განმავლობაში იხარჯებოდა 1.5 კილოვატ-საათი ენერგია ერთ კვ. მეტრზე. 6—12 გრადუს ყინვაში საკმაო იყო ნიადაგის 8 საათის განმავლობაში თბობა ღამით. ამ შემთხვევაში ერთ კვ. მეტრზე დღე-ღამეში იხარჯებოდა 1 კილ.-საათი ენერგია. ტემპერატურის ნოლთან მიახლოვების დროს დღეღამეში საჭირო იყო 0,7 კილ. საათი ენერგია. ჰაერი თბებოდა ნიადაგის მიერ სხივების გამოყოფის ზეგავლენით და სადრენაჟო მილებით, რომლებიც გამთბობ კაბელთან იყვნენ შეერთებული.

დარგული მცენარეები და ბოსტნეული კარგად განვითარდა და დამწიფდა სამი კვირით ადრე, ვიდრე სათბურებში. ასე მაგალითად, თებერვლის დამლევს დარგული სალათი, 28 მარტს უკვე მზად იყო ასაკრეფად. ელექტრო-ენერგიით გამოყვანილი თითო შეკვრა სალათი დაჯდა 7 პფენინგი იმ დროს, როცა მისი საბაზრო ფასი 30 პფენინგს უდრის. (პფენინგი—ნახევარ კაპეიკამდე).

ახალი სახის გაზსაცავები

თავის განვითარების პროცესში ტეხნიკა უფრო და უფრო ხშირად მიმართავს ბუნების ყველაზე უფრო რაციონალური კონსტრუქციების ძებნაში. ჩამოკიდებული ხიდების მაგალითი, რომელიც ობობას ქსელის მიხედვით არის გაკეთებული, გამონაკლისს არ წარმოადგენს.

სულ რამდენიმე ხნის წინათ შეერთ. შტატებში ააგეს ჯებირი, რომლის ბურჯები დამზადებულია კვერცხის ფორმის მიხედვით და დიდის სიმაგრით განირჩევა.



კვერცხის ფორმის მიხედვით არის დამზადებული საამშენებლო ტეხნიკის ახალი მიღწევა სფეროიდალური (ბურთისებური) გაზოლდერი (გაზსაცავი) და ბენზინისა და ნავთის შესანახი რეზერვუარები. როგორც სურათიდან სჩანს, გაზოლდერს აქვს ფორმა შებრტყელებული ბურთის, რომელიც დამზადებულია საქვაბე რკინის ნაჭრებიდან. ასეთი ფორმა დიდ სიმაგრეს აძლევს ნაგებობას და შესაძლებლად ხდის რკინის უფრო თხელი ნაჭრების გამოყენებას, ვიდრე ჩვეულებრივ ცილინდრისებურ გაზოლდერებში იყენებენ. ასეთი გაზოლდერი ერთნახევარჯერ უფრო იაფი ჯდება, ვიდრე ძველი ტიპის გაზსაცავები.

„რადიო-ციება"

მედიცინა გამდიდრდა ავადმყოფობასთან ბრძოლის ახალი მძლავრი საშუალებით. ესაა —„რადიო-ვანნა" ანუ „რადიო-ციება". მკურნალობის ახალი წესი იმაზეა დამყარებული, რომ ციებ-ცხელების მდგომარეობა ან მაღალი ტემპერატურა წარმოადგენს ორგანიზმის თავდასაცავ ბუნებრივ საშუალებას ორგანიზმში შეჭრილი ავადმყოფობის წინააღმდეგ.

უკანასკნელ ხანებში მედიცინა მთელ რიგ ავადმყოფებს (პროგრესიული სიდამბლე, ქარები და სხვ.) წარმატებით მკურნალობს სხეულის ტემპერატურის ხელოვნურად აწევით, მაგალითად— ცილის შეშხაპუნებით (პროტეინოთერაპია), პროგრესიული სიდამბლის შემთხვევაში კი—მალარიის ხელოვნურად შეყრით ავადმყოფისათვის. მკურნალობის ახალი წესი ისე ადიდებს ავადმყოფის სხეულის ტემპერატურას, რომ არავითარ საფრთხეს არ ქმნის სიცოცხლისათვის. მკურნალობა მდგომარეობს შემდეგში: ავადმყოფს ათავსებენ მაღალი სიხშირის მძლავრი რადიო-ტალღების მოქმედების არეში. რადიოვანნა გრძელდება რამდენიმე წამიდან რამდენიმე წუთამდე. რამდენიმე სეანსი სრულიად კურნავს სახსრების ქარების ყველაზე მძიმე ფორმებს და სხვა სნეულებებს.

შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის მზადება

რკინის გზებზე ფართოდ არ არის გაშლილი

ა.-კ. რკ. გზის პირველ და მეორე უბნებში მოსამზადებელი მუშაობა მოისუსტებს. — სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელი ქარხანა არ არის მზად შემოდგომის ტვირთზიდვისათვის. — ორთქლმავალებისა და ვაგონების შეკეთების ხარისხი დღითი დღე უარესდება. — ორთქლმავალების დაზიანების შემთხვევები იზრდება. — ივნისში იყო დაზიანების 8 შემთხვევა, ივლისში 220, ხოლო აგვისტოს ოც დღეში—78. — ამ დეფექტების აღმოსაფხვრელად თბილისის კვანძის მუშებმა თავი მობილიზაციაქმნილად გამოაცხადეს.

ა.-კ. რკინისგზელთა პროფკავშირის საგზაო კომიტეტის პლენუმზე

შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის მზადების შესახებ პლენუმზე მოხსენება გააკეთა ინჟ. გ. გვერდწითელმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ 1930-31 წლისათვის ტვირთბრუნვა საგრძნობლად გაიზარდა. თუ წელს გადაყვანილი იყო 13.000.000 მგზავრი, მომავალ წელს გადაყვანილი იქნება 20.000.000 მგზავრი. ნაცვლად 9.138.000 ტონა ტვირთისა, რაც წელს იქნა გადაზიდული, 1930-31 წ. გადაზიდული იქნება 12.795 ტონა.

ტვირთბრუნვის გადიდება რკინის გზის დირექციას იძულებულს ხდის მოაგვაროს მთელი რიგი ამასთან დაკავშირებული საკითხები, სახელდობრ: ურთიერთობა კლიენტურასთან, გამტარებლობის უნარის გადიდება და სხვ...

რკ. გზის მუშაობის „ვიწრო ადგილებად" ითვლება ცალკე უბნების მუშაობა 1 და 2 რაიონში. ამ მიზნით ბათომისა და აღმოსავლეთის უბნებში გახსნილი იქნება ახალი ძაქცევები. ევლახ-ალსტაფის უბანში დაიდება მეორე წყება ლიანდაგი. განზრახულია აგრეთვე გასწორდეს პროფილი, რომ ბაქოდან ბათომამდე შესაძლებელი გახდეს 2.000 ტონიან შედგენილობის გადაზიდვა. აგრეთვე გაფართოებული უნდა იქნას სადგ. ნავთლუღი განჯა და სამტრედია.

რკ. გზის მუშაობას მეტად აბრკოლებს მუხრუჭიან ვაგონების უქონლობა, რაც განსაკუთრებით საჭიროა სურამისა და სამხრეთის საუღელტეხილო უბნებზე. იმავე მუხრუჭიანი ვაგონების უქონლობით აიხსნება, რომ სად. ნავთლუღი ითვლება წესიერი ექსპლოატაციის მესაფლავედ. მაგრამ ამ მხრივ მიღებულ იქნა ადგილობრივი ხასიათის ზომები. მატარებლის შედგენილობას ემატება შუაში მეორე ორთქლმავალი საუღელტეხილო უბნებზე და ამ გზით ხერხდება მუხრუჭთა საჭირო რაოდენობის 20 პროცენტით შემცირება.

დიდი მუშაობაა განზრახული წყალის მიწოდების გაძლიერებისა და გაუმჯობესებისათვის.

ხდება ორთქლმავალთა შერჩევა და შეცვლა საუკეთესოებით. მაგალითად, აქამდე სამხრეთის ხაზზე მუშაობდა ორთქლმავალი სერია „0", რომელსაც ორმაგი წევის საშუალებითაც მცირე შედგენილობა მიჰყავდა. ახლა კი ეს სერია შესცვალა სერიამ „მ", რაც 75 პროცენტით ადიდებს შედგენილობას. გარდა ამისა, სურამის უღელტეხილზე განზრახულია ოთხმაგი წევის შემოღება.

ლიანდაგის ზედა ნაგებობათა მდგომარეობაც ვერაა დამაკმაყოფილებელი. თუმცა შპალის გამოცვლის ნორმა თითქმის შესრულებულია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლიანდაგის მდგომარეობა სამხრეთისა და აღმოსავლეთის უბნებზე ხელს უშლის მატარებელთა ჩქარსა და ხშირ მოძრაობას. მოძრავ შედგენილობის გაჯანსაღების მიზნით ავადმყოფ ორთქლმავალთა პროცენტად დასახულია 7 ნახევ., მაგრამ ავადმყოფ ორთქლმავალთა პროცენტული კლება ნელის ტემპით მიმდინარეობს და ის ჯერ ისევ 13,7 პროცენტს უდრის.

ვერაა დამაკმაყოფილებელი ორთქლმავალთა შეკეთების საქმეც. მიმდინარე ხანგრძლივი რემონტის მოლოდინში 15 აგვისტოსათვის იდგა 13 ორთქლმავალი. ორთქლმავლები მრავლად იმტვრევა და ვერ ასწრებენ მათ შეკეთებას. გარდა ამისა, ადგილი აქვს რვილის, ცილინდრების, ბაბიტისა და მფავადის ნაკლებობასა და უქონლობას. ამხ. სტალინის სახელობის ქარხანაც ვერ იძლევა კარგი ხარისხის რემონტს. შესაკეთებლად გაგზავნილი ორთქლმავლები დიდ ხანს რჩება ქარხანაში. ნაცვლად 12 დღისა, რაც საჭიროა საშუალო რემონტისათვის, ის გრძელდება 25-30 დღითაც. ამის გამო წინადადება მიეცა დეპოებს—საშუალო და წინასწარ გასაფრთხილებელი რემონტი აწარმოებიათ ორწყებიან შემცვლელთა საშუალებით. მხოლოდ ბაქო და თბილისი გადავიდა ასეთ წესზე. დანარჩენი დეპოები კი უარს აცხადებენ კვალიფიციური მუშა-ხელის ნაკლებობის გამო.

ავადმყოფ ვაგონთათვის მოცემულია 2,9 პროცენტი, ფაქტიურად კი მათი რიცხვი 6 პროცენტს უდრის. 70—80 ცისტერნა გაჩერებულია ზამბარათა უქონლობის გამო. უქმად სდგას აგრეთვე 138 ვაგონი, რომელთა შეკეთებას ვერ ასწრებს შემკეთებელი ქარხანა. მიღებულია ზომები სარემონტო პუნქტების გასაფართოებლად. შემკეთებელ ქარხანას წინადადება მიეცა სრულიად შეაკეთებია ავარიაქმნილი ვაგონები, მაგრამ მან დავალება მხოლოდ 25 პროცენტით შეასრულა.

რკ. გზის დირექციას მიღებული აქვს ზომები მოძრავი შემადგენლობის რაციონალურად გამოყენებისათვის. ამ მხრივ აუცილებელია მატარებელთა დაყოვნების ნორმის სასტიკად დაცვა, მეტადრე მაშინ, როცა სამრეწველო-საფინანსო გეგმა დაყვანილია დაბალ საფეხურებამდე. პირველ რაიონში მატარებელთა მოძრაობა განრიგების თანახმად 96 პროცენტს აღწევს. დანარჩენ რაიონებში ეს პროცენტი უფრო დაბალია.

მატარებელთა წესიერ მოძრაობას და ტვირთბრუნვის გადიდებას საშემოდგომო გადაზიდვებთან დაკავშირებით დიდად შეუშლის ხელს რკ. გზის კლიენტურის დაუდევარი მოპყრობა თავიანთ მოვალეობათადმი. თვეობით და მეტ ხნობითაც დგას ვაგონები დატვირთული და მათი მომკითხველი არა ჩანს. თბილისში და ნავთლუღში ამგვარად 500 ვაგონი იყო დაგროვილი.

მოისუსტებს შრომის დისციპლინაც, რამაც განსაკუთრებით თავი იჩინა უკანასკნელ დროს. ყოველდღე ადგილი აქვს ორთქლმავლის გაფუჭების 10—15 შემთხვევას. ორთქლმავალთა შეკეთებას უგულოდ ეკიდებიან. ამის დამახასიათებელ მოვლენად უნდა ჩაითვალოს, ის რომ ორთქლმავალთა გაფუჭების ნახევარზე მეტი შემთხვევა საკისურთა გადნობით აიხსნება. ორთქლმავალთა გაფუჭების შემთხვევები არაჩვეულებრივად მატულობს. მაისში იყო 6 შემთხვევა, ივნისში—8, ხოლო ივლისში 220, აგვისტოს 20 დღის განმავლობაში კი—78.

შემდეგ თანამოხსენებით გამოვიდა საგზაო კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ტოკმაჯიანი. მან აღნიშნა ინჟენერ-ტეხნიკოსთა ძალების სუსტი მონაწილეობა შემოდგომა-ზამთრის გადაზიდვისათვის მზადებაში.

ადგილები ჯერ კიდევ არ იცნობენ და ვერ ეგუებიან ორთქლმავალთა წინასწარ გამაფრთხილებელი რემონტის შესაბამისად მუშაობის წარმოების ახალ მეთოდებს. ცუდად არის დაყენებული საწყობთა განათების საქმეც.

საგზაო კომიტეტთან დაარსებულ იქნა შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვის შტაბი, მაგრამ დირექციამ არ გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი ამ შტაბში.

მეორე რაიონმა შემოიტანა 192 წინადადება შემოდგომის ტვირთზიდვასთან დაკავშირებით, მაგრამ 37 პროცენტზე მეტი ამ წინადადებებიდან დირექციას ცხოვრებაში არ გაუტარებია. ამბობენ—საჭირო მასალა არ მოიპოვებაო. ნამდვილად კი, უნდა ითქვას, ამ წინადადებათა დიდი უმრავლესობა არავითარ მასალას არ საჭიროებს, მაგრამ მაინც არ იქნა განხორციელებული.

მოხსენებათა გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს, ამხ. მახმუდოვმა (ბაქო), ამხ. დემენტიევმა (ბაქო—თბილისი), ამხ. ლოლაძემ (თბ. საუბ. კომიტეტი), ამხ. მახმუდოვმა (განჯა), ამხ. დონდუამ (სამტრ. საუბ. კომიტეტი), ამხ. კუზმინსკიმ (ა.-კ. მუშგლეხინი) და სხვებმა.

ამხ. კუზმინსკიმ მოიყვანა მოკლედ ის ცნობები, რომლებიც მუშგლეხინს მოეპოება იმის შესახებ თუ რამდენად მზად არის რკ. გზა შემოდგომის გადაზიდვისათვის.

ეს გამოკვლევა მუშგლეხინს ჩაუტარებია მუშათა ბრიგადების დახმარებით. ახალი სამშენებლო სამუშაოები ჯერ კიდევ დაუმთავრებელია და არც გადაზიდვათა დაწყების მომენტისათვის იქნება დამთავრებული. ძლიერ ცოტაა გაკეთებული წყალის მიწოდების დარგში. სადგურთა გასაფართოებლად წარმოებულ სამუშაოთაგან დამთავრებულია მხოლოდ მიწის სამუშაოები. შპალის გამოცვლა მე-3 და 4 რაიონში მხოლოდ 20—25 პროცენტითაა შესრულებული. თითქმის არაფერი გაკეთებულა სადგურთა საქონლის სამუშაოთა მექანიზაციისათვის. რემონტიდან გამოსულ ორთქლმავალთა რიცხვი კლებულობს: მაისში გამოშვებული იყო 23 ორთქლმავალი, ივნისში—19, ივლისში კი სულ 13 ორთქლმავალი. ბაქოში აღმოჩენილ იქნა ორთქლმავალი, რომელიც 4 წლის განმავლობაში ელოდება შეკეთებას. შეუსრულებელია ცისტერნათა გამოყენების შესახებ კატეგორიული წინადადება. ასე, რომ ამ მხრივ დირექციის მუშაობა დასახულ გეგმასთან შედარებით საგრძნობლად ჩამორჩება.

ამხ. ხვედელიძემ წინადადება შეიტანა მიმართოს პლენუმმა ყველა მუშებსა და მოსამსახურეებს მოწოდებით, რომ მიიღონ აქტიური მონაწილეობა იმ სიძნელეთა დაძლევაში, რომლებიც შესაძლებელია წამოიჭრას შემოდგომა-ზამთრის გადაზიდვათა პერიოდში. მისივე წინადადებით, შრომის დისციპლინის დამრღვევთა წინააღმდეგ ფართოდ უნდა იქნას გამოყენებული საამხანაგო სასამართლოები.

27 აგვისტოს დილის სხდომაზე გრძელდებოდა კამათი მოხსენებათა გარშემო. დილითვე მოსმენილ იქნა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა.

სად. თბილისი მზად არ არის

სადგურ თბილისის მუშების ბრიგადებმა შეამოწმეს შემოდგომის ტვირთზიდვისათვის მზადების მიმდინარეობა სად. თბილისში. ბრიგადებმა გამოარკვიეს, რომ საწყობების აგება კლიენტურის მიერ, „სოიუზხლები" და სხვ., ძალზე ნელი ტემპით სწარმოებს. მისასვლელი გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის გამო შესაძლებელია ადგილი ექნეს სიძნელეებს პურის ტვირთების გამოზიდვის დროს სადგ. თბილისიდან, რაც თავის მხრივ საწყობების დატვირთვას, გაცდენას ვაგონების და ამით ცალიერ ვაგონების კრიზისს გამოიწვევს.

ტარის საკმაო რაოდენობის უქონლობა და სასაწყობო შენობების შეუფერებლობა შეფერხებას ჰქმნის ვაგონების დატვირთვა-გადმოტვირთვის საქმეში. საწყობების ცუდი განათება ხელს უშლის ცვლებით მუშაობას.

ლონისძიებები მხოლოდ 5—20 პროცენტით არის შესრულებული

საკონფლიქტო კომისია და ინჟენერ-ტეხნიკოსები სუსტ მონაწილეობას ღებულობენ შემოდგომა-ზამთრის ტვირთზიდვისათვის მზადებაში. ლონისძიებები პაკგაუზების შესაკეთებლად, ახალი სასადგურო ხაზები და შენობების ასაგებად ამიერ-კავკასიის რკინის გზების ზოგიერთ უბნებზე შესრულებულია მხოლოდ 5—20 პროცენტით.

რკინისგზელ მუშებმა მობილიზაციაქმნილად გამოაცხადეს თავისი თავი

თბილისის კვანძის რკინის გზელებმა თავისი თავი მობილიზაციაქმნილად გამოაცხადეს ხუთწლედის ბოლომდე. მიმდინარე წლის ბოლომდე დარჩენილი დღეები, განსაკუთრებულ დამკვრელ დღეებად არის გამოცხადებული. მუშებმა იკისრეს გადაჭარბებით შეასრულონ პარტიისა და ხელისუფლების მიერ დასახული ძირითადი მაჩვენებლები.

მუშები მოუწოდებენ მთელ საზოგადოებრიობას, კონტროლის ქვეშ იყოლიონ არა მარტო ტრანსპორტი, არამედ კლიენტურაც და სასტიკად გაამათრახონ ისინი ვინც ხელს უშლის სოციალისტურ მშენებლობას.

უწესობანი რკინის გზაზე

ამჟამად რკ. გზებზე მგზავრების მეტად დიდი მოძრაობაა. მრავალი ექსკურსანტები მოდიან საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან. ძალზე გრძელი რიგები, ჩხუბი—ყვირილი, მატარებელზე რამოდენიმე დღეობით ლოდინი და სხვ. აი, რა ხდება რკინის გზის მრავალ სადგურებში. ეს არ იქნებოდა ასე, რომ რკინის გზის და საბილეთო სალაროების თანამშრომლები ერთგულად ეკიდებოდენ საქმეს და ზოგჯერ თვითაც არ არღვევდენ წესებს. განსაკუთრებით ეს ითქმის ბილეთების გაყიდვის საქმეში. მას შემდეგ, რაც რკინის გზის ქალაქის საბილეთო სადგურები გადავიდა „სოიუზტრანსი"-ს ხელში, ამ მხრივ მდგომარეობაა გაუარესდა.

11 აგვისტოს ბათომში „სოიუზტრანსი"-ს სალაროში ბილეთის მყიდველთა უზარმაზარი რიგი იყო. სალარო გაიღო ჩვეულებრივად 9 საათზე, მაგრამ ბილეთების გაყიდვა კი არაჩვეულებრივი იყო. მოლარე ბილეთებს მეტად ზანტად ყიდდა, პირდაპირ ნერვების ამშლელი იყო მისი „მუშაობა"! საათის ორამდე, ე. ი. 5 საათში, მოლარემ გაუშვა 51 მგზავრი. როდესაც ამაზე შეჩივლეს, მოლარეს ყურიც არ შეუბერტყავს. ეტყობა ასეთი მოქმედება მისთვის ახალი ხილი არ ყოფილა. მიუხედავად ამისა, საჩივრის წიგნში ერთი საჩივარის მეტი არ ყოფილა, ისიც ძველი, რაც იმ გარემოებით უნდა აიხსნას, რომ სათანადო ორგანოები წიგნში მოთავსებულ შენიშვნებს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, რასაც აუცილებლად უნდა მოეღოს ბოლო.

არც მატარებლებზე არის უკეთესი მდგომარეობა. ამაში მეტი წილი დანაშაული მიუძღვით მატარებლის გამყოლებს, რომლებიც არავითარ ანგარიშს არ უწევენ მგზავრებს. 12 აგვისტოს, ბათომიდან მომავალ საფოსტო მატარებელს, ბევრი მგზავრი მოჰყავდა. № 6 ვაგონის გამყოლი ხან წინა კარს აღებდა, ხან უკანას, რის გამო მგზავრებს ბარგით უხდებოდათ წაღმა-უკუღმა სიარული ხალხით გაჭედილ ვაგონში. არ არის დაცული წესი მგზავრების მიერ ასვლა-ჩამოსვლის დროს, რის გამო ხელს უშლიან ერთი-მეორეს. ვაგონის გამცილებელი ამ დროს სადღაც იმალებოდა.

ამავე ვაგონში ადგილი ჰქონდა ჩხუბს, რომლის ხელმძღვანელი იყო ვიღაც, აგარიდან ამოსული ხულიგანი და მისი აქტიური დამხმარე და ჩხუბის მონაწილე ამ მატარებლის ერთი რკ. გზის მცველი. როდესაც ამ უკანასკნ. უთხრეს მგზავრებმა—გვითხარით თქვენი გვარიო, მან უპასუხა: „თქვენ არ გეკითხებათ"-ო. ასეთი „პასუხით" მგზავრები ვერ დაკმაყოფილდნენ, მაშინ მან (წესიერების „დამცველმა") დააპატიმრა „ურჩი" მგზავრი და ემუქრებოდა: „ან ჩეკაში ჩაგაჯენ", ან „25 მანეთით დაგაჯარიმებო". როგორც იყო ხულიგანი დააპატიმრეს და მიუსაჯეს ათი მანეთის ჯარიმა, მაგრამ საინტერესოა, ნუ თუ კიდევ განაგრძობს რკ. გზის მცველი თავის თანამდებობით ხულიგნების დაცვას? დროა ბოლო მოეღოს ასეთ უწესრიგობას.

რკინის გზის ადმინისტრაციამ სასტიკი პასუხი უნდა მოსთხოვოს ყველა მათ, ვინც ასეთ დროს ხელს შეუშლის მგზავრთა გადაყვანის საქმის წესიერად წარმოებას.

სადგურის ბილეთების მოლარეები, ვაგონების გამცილებლები და დამცველთა რაზმის თანამშრომლები, მეტ პასუხისმგებლობას უნდა გრძნობდენ მოვალეობის შესრულების დროს.

ნ. ონელი.

სამოსწავლო წლის დაწყების წინ

სუბტროპიკულ და სატყეო ინსტიტუტებში

სუბტროპიკულ და სატყეო ინსტიტუტებში ორგანიზაციული მუშაობა უკვე დამთავრდა და ინსტიტუტები მზად არიან სამოსწავლო წლის დაწყებისათვის. პროფესორებით და პედაგოგიური პერსონალით ინსტიტუტები უზრუნველყოფილი არიან. ადგილობრივ სამეცნიერო ძალების გარდა ინსტიტუტებს მოწვეული ჰყავთ სპეციალისტები საბჭოთა კავშირიდანაც. ლაბორატორიებით და კაბინეტებით ინსტიტუტები უზრუნველყოფილი ვერ არიან. ინსტიტუტებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს შორის არსებულ შეთანხმების თანახმად, ეს ორგანიზაციები ვალდებული არიან უზრუნველყონ ინსტიტუტები ლაბორატორიებითა და საწარმოო პრაქტიკით.

სუბტროპიკულ ინსტიტუტს ექნება ხუთი განყოფილება: ჩაის კულტურის, ბოჭკოვან მცენარეთა, მეხილეობა-მებოსტნეობის, ტეხნიკურ კულტურათა და სამკურნალო მცენარეულობის და კაუჩუკის განყოფილება. ინსტიტუტში წელს იქნება სულ 800 სტუდენტი. სტიპენდიებით უზრუნველყოფილი იქნება სტუდენტების მთელი რაოდენობის 60—70 პროც.

საერთო საცხოვრებლების საქმე სუბტროპიკულ და სატყეო ინსტიტუტებს სრულიად მოუგვარებელი აქვთ. ამ ინსტიტუტების სტუდენტები მოთავსებული უნდა იქნან არსებულ საერთო საცხოვრებლებში, რომლებიც, რასაკვირველია, ვერ დააკმაყოფილებენ მოთხოვნილებას. სუბტროპიკულ და სატყეო ინსტიტუტებში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხეებიდან თავს მოიყრის სტუდენტთა საკმაო რაოდენობა. საჭიროა მათი უზრუნველყოფა სათანადო ბინებით. თბილისის აღმასკომმა ამ თავითვე უნდა გაუწიოს ამ გარემოებას ანგარიში და მიიღოს ზომები ბინების გამოსაძებნად.

სუბტროპიკულ და სატყეო ინსტიტუტებში მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს.

კოოპერატიულ-საფინანსო ინსტიტუტში

საქართველოს კოოპერატიულ-საფინანსო ინსტიტუტში წელს პირველ კურსზე მიღებული იქნება 250 სტუდენტი. 1-ლი კურსი მეცადინეობას დაიწყებს 15 სექტემბერს, ხოლო დანარჩენი კურსები—1 ოქტომბერს. მსმენელების 80 პროც. უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიებით. საერთო საცხოვრებელში ინსტიტუტს დათმობილი აქვს 170 ადგილი, გარდა ამისა ადგილები დაეთმობა ახალ საერთო საცხოვრებლებში, მაგრამ მოთხოვნილება მთლიანად დაკმაყოფილებული მაინც ვერ იქნება. მომავალში ინსტიტუტში მისაღებ სტუდენტთა რაოდენობა გამორკვეული იქნება სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, რომელიც ამ რაოდენობას შეუფარდებს სამეურნეო ორგანიზაციების მოთხოვნილებებს. სამეურნეო ორგანიზაციები ვალდებული არიან მატერიალურად უზრუნველყონ სტუდენტთა ის რაოდენობა, რომელიც მათ ჰყავთ მოთხოვნილი. თანხები გადაეცემა ინსტიტუტს, რომელიც გაანაწილებს მათ სტუდენტთა შორის.

1 ოქტომბრიდან საფინანსო-კოოპერატიულ ინსტიტუტთან მოეწყობა მუშფაკი 150 მსმენელისათვის, რომელიც მოამზადებს მუშებს ინსტიტუტისთვის.

საფინანსო-კოოპერატიული ინსტიტუტი მომავალ სამეურნეო წლის განმავლობაში ააგებს საკუთარ შენობას.

სამკურნალო ინსტიტუტში

სამკურნალო ინსტიტუტის 1-ლ კურსზე წელს მიღებული იქნება 500 კაცი. სტუდენტების 75—80 პროც. უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიებით. საერთო საცხოვრებლებით სტუდენტები უზრუნველყოფილი იქნებიან შეძლებისდაგვარად.

მესაქონლეობის ახალი საბჭოთა მეურნეობები

სოფ. მაღლაკში, ქუთაისიდან 13 კილომეტრის დაშორებით ეწყობა მესაქონლეობის დიდი საბჭოთა მეურნეობა. საბჭოთა მეურნეობის ფარგლებში მოქცეულია 345 ჰექტარი მიწა.

საბჭოთა მეურნეობა ერთის მხრივ დაამზადებს სასაქონლო რძის პროდუქტებს და მოაშენებს ღორებს. ამავე დროს ჯიშიან მსხვილფეხა საქონელს და ღორებს მიაწვდის მახლობელ რაიონების კოლმეურნეობებს და გლეხებს.

მეურნეობას ეყოლება 300 ადგილობრივი ჯიშის ძროხა და 360 ღორი. ამ ცხოველების გამოსაკვებად მეურნეობას დათესილი აქვს 300 ჰექტარი მიწა სხვადასხვა ბალახებით. 2 წლის შემდეგ მეურნეობას ეყოლება 1.000 ძროხა და 20 ბუღა, 520 ღორი, 150 ხბო, საჯიშე გოჭი—300, ხოლო საკლავი—3.100.

მეურნეობის მოწყობა დაჯდება 430.000 მანეთი.

მთიან რაჭაში სოფ. გოლასთან, კურორტ შოვიდან 4 კილომეტრის დაშორებით ეწყობა მესაქონლეობის მეორე დიდი საბჭოთა მეურნეობა.

მეურნეობას ეყოლება 500 ჯიშიანი ძროხა, 60 ღორი. მეურნეობას აქვს 7.947 ჰექტარი მიწა, აქედან სახნავი—65 ჰექტარი, შენობისათვის—10 ჰექტარი, სათიბი 3.000 ჰექტარი და საზაფხულო საძოვარი—4.000 ჰექტარი. დანარჩენი მიჩნეულია დამხმარე ადგილებად.

მეურნეობის მოსაწყობად გადადებულია 202.125 მანეთი, წელს ამ საქმეზე იხარჯება—91.620 მანეთი.

მეურნეობას აწყობს საბჭოთა მეურნეობების ტრესტი.

შრომის კანონების დარღვევისათვის

შრომის დაცვის ორგანოები და პროფესიონალური ორგანიზაციები ყოველგვარ ზომებს იღებენ მუშების შრომის პირობების დასაცავად, მაგრამ ზოგიერთი ადმინისტრატორები სისტემატიურად არღვევენ შრომის დაცვის კანონებს, არ იღებენ ზომებს შრომის პირობების გასაუმჯობესებლად და სხვ. ზოგან ადგილი აქვს შრომის პირობების გაუარესებასაც, რაც სამართლიან გულისწყრომას იწვევს მუშა-მოსამსახურეებში.

იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ტარდება შრომის დაცვის კანონები, შრომის სახ. კომისარიატმა გამოჰყო ბრიგადები. ბრიგადებმა გამოიკვლიეს მთელი რიგი დაწესებულებები, სადაც აღმოჩენილი იქნა შრომის კანონების უხეში დარღვევის მრავალი შემთხვევა.

გამოკვლევის მასალების მიხედვით შრომის კომისარიატმა პასუხისგებაში მისცა და 100 მანეთით დააჯარიმა შემდეგი პირები: ლორთქიფანიძე („ზაკტრესტორგი"), ზინაიდა ჩიხლაძე (ა.-კ. საგეგმო კომისია), ვასილ უჩანეიშვილი (ფ.-ტელეგ. კომის.), ორაგველიძე, ასატუროვი და მგალობლიშვილი (მუშკოოპი), გიორგი კოკიაშვილი (თავდაცვა-ავიაქიმი), ა.-კავკასიის სახ. საგეგმო კომისიის ყველა განყოფ. გამგეები, ნამიჩეიშვილი (ალმ. ადმინისტრ. განყოფილება), ლეონ სარქისიანი (ა.-კ. მიწ.-მოქ. კომისარიატი), ადგ. მრეწველობის განყოფ. გამგე დომენტი თხილავა და იმავე განყოფილების მუშაკები — ინჟ. ხაჩატუროვი და ნიკოპიტე გამცემლიძე, ივანე კუხალეიშვილი („გოსტრიკოტაჟი"), საქ. მიწადმოქ. კომისარიატის მუშაკები — ლეონტი ეფრემიძე, მგალობლიშვილი, ცინცაძე და ირ. რცხილაძე, გოცირიძე (ჯანსახკომი), იოსებ მაისურაძე (სახელგამი), ალექსანდრე დარახველიძე (შავი ქვის ტრესტი), ივანე სეფერთელაძე („ზაკუტილი"), უკლება (თელასი), ვასილ კოცუბეევი (ცეკავშირი), სულაქველიძე (ა.-კ. კავშირ-გამგეობის სამმართველო), გიორგი ყარალაშვილი (ყრუ-მუნჯთა საზ-ბა), ილია სოლომონია (განათლების მუშაკთა სახლი), ელიზბარ კანდელაკი (საექსკურსიო ბაზა), „საქ. ჩაი"-ს მუშაკები — არშენაკ ბაგატუროვი, ვასილ პროხოროვი და აკაკი მამფორია, ადოლფ ბუხშტეინი (ა.-კ. ვაჭრ. კომისარიატი), ანდრო ქუთნია (საქ. ვაჭრობის კომისარიატი), კონსტანტინე ბოკუჩავა („პრომსნაბტრესტი") მაკალსკი („სოიუზხლები") და კვალია (მუშკოოპი).

ყველა ჩამოთვლილი პირი დაჯარიმებულია 100-100 მანეთით. დღემდე დაჯარიმებული პირები ჯარიმას იხდიან დაწესებულების სალაროდან, რაც დაუშვებელია. ჯარიმის დაწესებულების სალაროდან გადახდისათვის დაჯარიმებულნი განმეორებით იქნებიან დაჯარიმებულნი.

რადიო-გადაცემა

პარასკევი, 29 აგვისტო

დილით: 8 ს. 30 წ. 10 საათამდე ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე". პროგრამაში: ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოთი 10 კილოვატიანი რადიო სადგურიდან გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: 19 ს. 19 ს. 25 წუთამდე პიონერთა და მოსწავლეთა საათი რუსულ ენაზე; 19 ს. 25 წ. 20 ს.—05 წუთამდე რადიო გაზეთი ქართულ ენაზე; 20 ს. 05 წ.—20 ს. 35 წუთამდე გაზეთი „ენი-ეკინდ"-ი რადიოთ თურქულ ენაზე; 20 ს. 35 წ.—21 ს. 15 წუთამდე, რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე; დროის შემოწმება, გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები; 21 ს. 20 წ.—24 საათამდე სიმფონიური კონცერტის ტრანსლიაცია, უკანასკნელი ცნობები.

ქრონიკა

ვერცხლის ფულის გადამმალველთა დახვრეტა

მოსკოვი, 28 აგვისტო. სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს კოლეგიამ განიხილა იმ პირთა ჯგუფის საქმე, რომლებიც ეწეოდნენ ვერცხლის ფულის და აგრეთვე უცხოეთის ვალიუტის და ოქროს შესყიდვას და გადამალვას. ყველაზე უფრო გაუსწორებელ დამნაშავეებს, რომლებიც ამასთან ერთად აქტიურად ავრცელებდენ კონტრ-რევოლუციონურ ხმებს: ტიიგილდენს, კლუსოვს, რიაზანცევს (ნიჟნეგოროდის მხარე), დერიაბინს, ფედოსეევს, პუგაჩოვს, მარტინოვს, ლუშნიკოვს და ვოლკოვს (ურალი) სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს კოლეგიამ მიუსაჯა დახვრეტა.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში. (ადს).

პოლიტკატორღელთა დასასვენებელი სახლი

საქართველოს რემედასის ცეკა კურორტ შოვში აგებს პოლიტკატორღელთა დასასვენებელ დიდ სახლს. სახლი მზად იქნება მომავალ საკურორტო სეზონისათვის.

მიღება ინდუსტრიალურ მუშფაკში

ინდუსტრიალურ მუშფაკის სომხურ და რუსულ სექტორებზე მისაღები გამოცდები უკვე დამთავრდა. ქართულ სექტორზე გამოცდები იწარმოებს 30 და 31 აგვისტოს. ყველა სექტორებზე განცხადებების მიღება შეწყვეტილია.

საექიმო დახმარების გაუმჯობესება

სამრეწველო რაიონებში ახალ სამკურნალო ქსელის მოსაწყობად და მუშებისათვის საექიმო დახმარების გასაუმჯობესებლად, ჯანმრთელობის კომისარიატმა საკავშირო თანხებიდან გამოითხოვა 2.400.000 მან.

საზამთრო სანატორიუმები აბასთუმანში

საზამთრო სეზონისათვის აბასთუმანში გაიხსნება ახალი სანატორიუმი 100 საწოლით.

აგრო და ზოორწმუნებულების გადარჩევა

ამ დღეებში მიწადმოქმედების სახ. კომისარიატი შეუდგება აგრო და ზოოტეხნიკურ რწმუნებულების გადარჩევას. ახლად არჩეულ რწმუნებულებისათვის მოეწყობა მოსამზადებელი კურსები.

სხვადასხვა

◆ **სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის** განკარგულებით, სას.-სამეურნეო ინსტიტუტის მე-4 კურსის ყველა სტუდენტები ვალდებული არიან გამოცხადდნენ ინსტიტუტში ა.-წ. 30 აგვისტოს სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად. ვინც არ გამოცხადდება, მათ წინააღმდეგ მიღებული იქნება სათანადო ზომები.

◆ **საქართველოს დრამკომმა** დასაბეჭდად და კლუბებში გასავრცელებლად მიიღო ელიზბარ პოლუმორდვინოვის და გ. ვოგიაშვილის პიესა „უკანასკნელი ღრუბლები" კომედია 4 მოქმ. და 5 სურათად.

◆ **ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეთა ექსკურსია თბილისში.** თბილისში ჩამოვიდა ზუგდიდის მაზრის ჩხოროწყუს რაიონის კოლმეურნეთა ექსკურსია 23 კაცის შემადგენლობით. ექსკურსია დაათვალიერებს თბილისის საწარმოებს და გაემგზავრება სამთავისის კომუნაში.

◆ **სასკოლო მშენებლობა.** ახალქალაქში სასკოლო მშენებლობის გასაძლიერებლად საქართველოს სახ. კომისართა საბჭომ გადადო 20.000 მანეთი.

შემთხვევები

დაპატიმრება

დააპატიმრეს ქურდი რეციდივისტი აბრაშა გუნდიაშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა ნაქურდალი ინდუსტრიალიზაციის მესამე სესხის ობლიგაციები № 217597 და № 024036; ობლიგაციების პატრონი უნდა გამოცხადდეს სის. სამ. მილიციაში, ოთახი № 7, ამხ. ა. თოფურიასთან.

ქურდობა

გაქურდეს ალექსანდრე ჯავახიშვილის ბინა ძმობის ქუჩა № 683). საიდანაც მოიპარეს 250 მანეთის ნივთები;—ასტღიკა ხაჩანიანს (ცხაკაიას ქუჩა № 4) მოპარეს 354 მან. საოჯახო ნივთები.

დაჯახება

ელბაქიძის დაღმართზე, „სახკინმრეწვი"-ს ავტომობილი, რომელსაც მართავდა შოფერი ივანე ვასილის ძე სამფინოვი, დაეჯახა ივანე პეტრეს ძე ვოევოდს და მძიმედ დაშავა. ვოევოდს აღმოუჩინეს საექიმო დახმარება და მოათავსეს ცენტრალურ კლინიკურ ინსტიტუტში. შოფერი დააპატიმრეს.

ვისია საათი?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი მაჟის ოქროს საათი, რომლის პატრონი უნდა გამოცხადდეს სის. სამ. მილიციაში, ოთახი № 7, ამხ. გვენცაძესთან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტ-მასიურ განყოფილებაში 31 აგვისტოს საღამოს 7 საათზე შესდგება **თათბირი საკოლმეურნეო მოძრაობის საკითხებზე.** დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: სას.-სამ. არტელის წესდების დამუშავება; მიწის საზოგადო შრომით დამუშავებელი ამხანაგობები; შემხვედრი საწარმოო გეგმა; კოლმეურნეობათა დამხმარე ჯგუფები; კოლმეურნეობები და პურის დამზადების კამპანია; შემოდგომის თესვის კამპანია, კოლმეურნეობანი და სასოფლო-სამეურნეო თათბირები; მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღე; კოლმეურნეობები და ახალი სესხი „ხუთწლედი—ოთხწლედში"; მოსავლის განაწილების საკითხები; რაიკოლმეურნკავშირის წესდება.

მოწვეულ ორგანიზაციების წარმომადგენლებს ევალებათ თათბირზე გამოცხადდენ დამუშავებული საკითხებით.

საქ. კ. პ. (ბ- ც. კ. კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება აცხადებს, რომ სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტში მეცადინეობა დაიწყება 2 სექტემბერს.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება სთხოვს ამხ. მურჩაველს დღეს, 29 აგვისტოს, გამოცხადდეს საქ. კ. პ. (ბ) ც. კომიტეტში, ოთახი № 20.

კომკავშირის თბილისის ორგანიზაციის ქალაქის რაიკომი აცხადებს, რომ დღეს საღამოს, 7 საათზე სახელმწიფო ბანკის წითელი კუთხის შენობაში (აღმასკომის ქ. № 5) მოწვეულია **რაიონული აქტივის კრება.**

რაიონული კომიტეტის და სარევიზიო კომისიის წევრების, უჯრედების ბიუროების მდივნებისა და წევრების დასწრება სავალდებულოა.

30 აგვისტოს, დილის 11 საათზე, შესდგება საგზაო სატრანსპორტო ინსტიტუტის კომკავშირის უჯრედის ბიუროს სხდომა. ასაკგადასულთა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. განმანაწილებელი განყოფილება სთხოვს ქვემოჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ განმანაწილებელ განყოფილებაში: ამხ. ჭიჭიკო კობალაძე (ქალაქის აღმასკომი), ბირიუკოვა (რკ. გზათა დირექცია), ვოიკინი, ჭიპაშვილი, ბაბაშვილი, გარსევანოვი, თეკელაშვილი (შემკეთებელი სახელოსნო), მელიტონ ვაშაკიძე (შემკეთებელი სახელოსნო), ლამბაშიძე (შემკეთებელი სახელოსნო), ალუაშვილი, კარტოზია (შემკეთებელი სახელოსნო), გრ. ვაშაკიძე (შემკეთებელი სახელოსნო) და ლოლობერიძე (დეპო).

ყოფ. სახ. უნ. ა.ლ.კ.კ. ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ დღეს, 29 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე, მოწვეულია კომკავშირელთა გაერთიანებული კრება. დასწრება წევრ-კანდიდატთათვის სავალდებულოა.

29 აგვისტოს, დღის 12 საათზე რადიოცენტრი იწვევს თათბირს რადიო-გადაცემის რედაქციის შენობაში (აღმასკ. ქუჩა № 3), რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხი: რადიოს გამოყენება კადრების მომზადების საქმეში.

აღნიშნულ თათბირზე მონაწილეობის მისაღებად წარმომადგენლები უნდა გამოგზავნონ შემდეგმა დაწესებულება-ორგანიზაციებმა:

საქ. განათლების სახალხო კომისარიატმა—ს.მ.უ.ს.-მა, ცეკავშირმა, სოფლის კავშირმა, მუშკოოპის გამგეობამ, საქ. მიწსახკომმა, კოლმეურნეობათა ცენტრმა, საქ. ა.ლ.კ.კ. ცენტრალურმა კომიტეტმა, საქ. პროფსაბჭომ, პოლიტგანმა, ნორჩ-პიონერთა ცენტრალურ ბიურომ და ურწმუნოთა კავშირმა.

საზაფხ. ე თ ე რ ი
(სახ. ოპ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 30 წ.
II ს. 9 ს. 50 წ., III ს. 11 ს. 10 წ.

ახალი ამერიკული კომედია
მაიმუნების თეატრი
გროტესკი 7 ნაწილად.
მთ. როლში სიდ ჩაპლინი

საზაფხ. ა პ ო ლ ო
(დარბ. ბაღი) I სეანს. დ. 8 ს. 30 წ.
II ს. 9 ს. 50 წ. III ს. 11 ს. 10 წ.

ახალი მხატვრული ფილმი
ქ ა ლ ი ს
ჰიგიენა

უფასო კინო-ეკრანი
ფუნიკულიორზე
I სეანს. დასაწყ. 9 საათზე.

მოჩვენება, რომელიც არ ბრუნდება.

საზაფხულო
პ ა ლ ა ს ი
1-ლი სეანსის
დას. 7 ს. 30 წ.
„მობრუნება"

რ. ლიუქს.
სახ. კინო
(ყ. მინიონი)
I-ლი სეანსის
დას. 7 ს. 30 წ.
„ბაფირი და მარიამი"
თეატრში ვენტილიაციაა.

ს.ს.ს. ინსტიტ. პროფესორთა გაერთიანებული პროფ-კომი წინადადებას აძლევს
ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდნენ ინსტიტუტში დღეს, 29 აგვისტოს, 12 საათზე:
სკანდარიანი, ბეგაძე კონსტანტინე, ბერაძე თედორე, ჯალაღანია შალვა, ცომაია კოლია. 4774

კოჯორში დავკარგე
ფოსტის ქაღალდის 138 გვერდზე ფანქრით ნაწერი მოგონებანი. მპოვნელს ვსთხოვ მაცნობოს შოთა ბახტაძეს ჭავჭავაძის ქ. № 8.

საქართველოს მეხილეობა-მებოსტნეობის და მევენახეობა-მეღვინეობის კავშირი
„საქართველოს ღვინო-ხილკავშირი"
აცხადებს კონკურსს სავაჭრო მარკის გამომუშავებაზე.
მარკა იქნება მოთავსებული კავშირის სასაქონლო ეტიკეტზე და უნდა გამოხატავდეს მეხილეობა-მევენახეობის მეურნეობას საქართველოში.
კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველთ დამატებითი ცნობების მიღება მარკის შინაარსზე შეუძლიათ კავშირის სამმართველოში 29, 30 და 31 აგვისტოს.
სამ სექტემბერს დღის 2 საათზე მოხდება კავშირის სამმართველოში (ელბაქიძის დაღმართი № 12) წარმოდგენილ მარკების განხილვა.
მოწონებულ მარკებზე გაიცემა პრემია 300, 200 და 100 მან.
„საქართველოს ღვინო-ხილკავშირი". 4747

საჭიროა
ტეხნიკოსები—გამომკვლევნი
ნიველირებლები
ტახეომეტრისტები
უფროსი ტეხნიკოსები
ჰიდროტეხნიკოსები
საკვლევა-ძიებო სამუშაოთათვის ტრანსპორტზე
მდ. კოდორში ხე-ტყის დაცურების პირობების გამოსაკვლევად.
პირობების გაგება შეიძლება: ა.-კ. ფედერაციის ქუჩა, 1 (თავისუფლების მოედნის კუთხე), ბზიბმშენის საპროექტო ბიურო, საღამოს 7 საათიდან 10 საათამდე ინჟ. ზემლიანოისთან, ან წერილობით: სოხუმი, ს.მ.უ.ს-ს, კოდორის ექსპედიცია. ნ. 1280 2-1

მალე!
„კავკასიის ტყვე"
მ. ი. ლერმონტოვის პოემის მიხედვით.

საქართველოს აბრეშუმის ტრესტი
ამით აცხადებს, რომ მისი ავტო. მანქანის—ლისტ. Fiat № 505—ატესტატი № 29405, გაცემული საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს მიერ,
დაკარგულია.
ნ. 1293 ტრესტი „საქართველოს აბრეშუმი".

ალმასკომის კომუნალური მეურნეობის საიჯარო საექსპლოატაციო განყოფილება
აცხადებს, რომ
სავაჭრო სამრეწველო სადგომები (დარაბები) საცხოვრებლად არ იცემა,
რის გამო ამ საკითხზე შეწყვეტილია მთხოვნელების მიღება. სავაჭრო სამრეწველო სადგომების (დარაბა) თვითნებობით დამკავებელი, ანდა მისი საიჯარო-საექსპ. განყ. დაუკითხავად სხვა პირზე გადამცემი, სასტიკად დაისჯება თანახმად არსებული კანონებისა.
ალმასკომის საიჯ. საექსპლ. განყოფილება.
3—1 ნ. 1281

ს. ს. ს. რ.
ზ. ს. ქ. სამრეწველო-ეკონომიური და ადმინისტრატიული ტეხნიკის კურსები
(ქართულ და რუსულ ენაზე)
1930/31 სამოსწავლო წელს მსმენელთა მიღება სწარმოებს 20 აგვისტოდან
საანგარიშო-საფინანსო (საბუხჰალტრო) განყ.-ბა
მიიღებიან 7 წლედ დამთავრებულნი.
იმავე დარგში მაღალი ტიპის სპეციალურ ჯგუფში საბუხჰალტრო კურსებ დამთავრებულნი და მოანგარიშენი.
ჩაწერა სწარმოებს კურსების კანცელარიაში, კეცხოველის ქ. (ყოფ. ლორის მელიქოვის) № 12 ყოველდღე საღ. 6 ს.—9 ს.
ადმინტეხნიკის განყოფილება
სტენოგრაფია, საქმის წარმოება, მდივნობა — მიიღებიან 9-წლედ დამთავრ.
მემანქანეობა—7-წლედ დამთავრებულნი.
ჩაწერა სწარმოებს კურსების კანცელარიაში რუსთაველის პრ. № 34, ყოველდღე დილის 8 ს.—საღამოს 8 საათ.
4680 კურსების ადმინისტრაცია.

სამოქ. სამ. საპრ. კოდ. 309 და 311 მუხ. თანახმად ქალ. თბილისის გაერთიანებულ სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი
ვ. ფხალაძე
ამით აცხადებს, რომ 1930 წ. 6 სექტემბერს დღის 1 საათზე ქ. თბილისში, მალაკნების ქუჩაზე 26 №-ის სახლში
საჯარო ვაჭრობით
გაჰყიდის გარდაცვალებული ჰელანია იოსების ასულის ლეპოლნიკოვის ქონებას: რომელიც შესდგება ორ სართ. სახლისაგან 9 ოთახიან 3 სამზარეულო და ფლიგელისაგან 3 ოთახით თუ პირველი საჯარო ვაჭრობა არ შესდგება, მეორე ვაჭრობა შესდგება 13 სექტემბერს.
ქონება ესე შეფასებულია 8000 მან. — და გაიყიდება ირინა რომანოვის და მართა ხიზანოვის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბ. სახ. სანოტარო კანტორის აღსრულებით წარწ. 1929 წ. 19/III №№ 204, 205. 4763

ღრმად დამწუხრებულნი შვილები: იულონი, ირაკლი, მარგალიტა ხმალაძეები და მედეია მეუღლით ვანო ღვინერიათი აუწყებენ საზოგადოებას, რომ 30 აგვისტოს საღ. 6 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი
გიორგი (გოლა) ალექსანდრეს-ძე ხმალაძის
ხსოვნის აღსანიშნავად. 4745

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

ი. ი. ბერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისა და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას" (ყ. „ნოე"-ს პირდაპირ. ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი" მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—1

ქვემოდ ჩამოთვლილი საბუთები
(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულად
— პარტბილ. მოწ. № 0849837—საბა ნიკიფორის-ძე ხუციშვილის სახ. 4766
— პურის წიგნ.—ნიკოლოზ ამბაკოს-ძე სვანიძის სახელზე. 4765
— მუშკ. წიგნ.—ნინო ტალვერდოვის სახელზე. 4775
— პურის წიგნ.—თენგიზ ფოფხაძის სახელზე. 4776
— მუშკ. საწ. წიგნ.—პროკოფი ტურმელაძის სახელზე. 4777
— რძის ტალ.—დიმიტრი ნებიერიძის სახელზე. 4780
— პასპ. № 843—ვარლამ იულონის-ძე შათირიშვილის სახ. 4762
— პურის წიგნ.—ილია როყვას სახელზე. 4761
— ზაკტპ. წიგნ.—ვარსენიკა ტატიაშვილის სახელზე. 4759
— ზაკტპ. წიგნ.—სტეფანე ტატიაშვილის სახელზე. 4760
— წლოვანობის მოწმ.—ლეილა ვიქტორის ას. ცერცვაძის სახ. 4771
— მუშკ. წიგნ. № 61095—გიორგი მაქსიმეს-ძე ბუხალაძის სახ. 4773
— მეტრ. ამონაწ. № 1149—ბესარიონ ირაკლის-ძე თავდიშვილის სახელზე. 4768
— პურის წიგნ.—გაბო ბუდალაშვილის სახელზე. 4773
— მოწმ. საბებიო ინსტიტ. დამთ. შესახებ, მედსანშრ შავშ. წიგნ. საანგ. წიგნ.—მარო იოსების ასულ კაპანაძის სახელზე. 4769
— რძის აბონემენტი—ლამარა პაპინაშვილის სახელზე. 4768
— პურის წიგნ. № 2096—პაკო იაგორის-ძე გოქაძის სახ. 4767
— მეტრ. ამონაწ.—თინიკო შაქროს ასულ ქიტუაშვილის სახ. 4749
— პურის წიგნ. № 13584—ილია აბრამის ძე ზანგურაშვილის სახ. 4744
— დროებითი მოწმ. № 1371, გაცემ. სახ. უნივერ. მიერ—ილია ლევანის-ძე ფირალიშვილის სახელზე. 4746
— განქორწ. მოწმ.—სლავა იოსების ასული ვნეეროვას სახ. 4749
— პურის წიგნ.—ვანო სამსონიას სახელზე. 4750
— დამზღ. სალ. წიგნ. № 477—ლიუბა კახობაშვილის სახ. 4751
— პირად. მოწმ. და სამხ. საალრ. ბარ.—ივანე დიმიტრის-ძე ნიკოლაიშვილის სახელზე. 4752
— 7-წლ. დამთ. მოწმ. № 204—ქსენია ნიკოლოზის ასულ ჩიქობავას სახელზე. 4753
— მეტრ. ამონაწ. № 167—თამარა ანდრიას-ძე კიკაბიძის სახ. 4754
— პურის წიგნ.—მარგალიტა არუთინოვის სახელზე. 4757
— პურის წიგნ.—დირუხ არუთინოვის სახელზე. 4758
— ფარცხანაყანევის კოლმეურნ. ტრაქტ. ბეჭედი. 4742
— სამხ. საალრ. ბარათი—გრიშა შაუთიძის სახელზე. 4742
— კოოპ. წიგნ. № 44—ნიკო ალექსის-ძე პეტრიაშვილის სახ. 4742

დამწუხრებული მეუღლე ეკატერინე, შვილები აკაკი, თამარა, ძმა იოსები, რძალი მაგდალინე, ძმისშვილი ლიუბა, თედო და ჭიჭიკო აბუსერიძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს ძვირფასი და დაუვიწყარი
ივანე სიმონის-ძე აბუსერიძეს
გარდაცვალებას. დაკრძალვა 30 აგვისტოს, დღის 2 საათზე, სოფ. ამაღლებაში (გურია). ნ. 1291

სოფ. ძირითადი ამაღლების (გურია) კოლექტივი „დოვლათი"-ს წევრები მწუხარებით იუწყებიან, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა კოლექტივის დაუღალავი, ენერგიული სამაგალითო წევრი
ივანე სიმონის ძე აბუსერიძე
ნ. 1241

ღრმად დამწუხრებული შვილები გრიშა, გედევანი, ლევანი, თამარა და მერი, სიძე—ბესარიონ მგალობლიშვილი, რძლები: ელისაბედი და მარგალიტა, შვილისშვილები: ოქოსა, ბუკულა, ძატა ბრელიძეები, გივი, ოთარი და მაყვალა მიქელაძეები, სულიკო და ლილი მგალობლიშვილები აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი
ალექსანდრა მიხეილის ასული მიქელაძე-შარაშენიძისა
დაკრძალვა სოფელ ჩხენიშში (კულაშის თემი), კვირას, 31 აგვისტოს, 4 საათზე. 4743

ივანე გიორგის-ძე რატიშვილი აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ 27 აგვისტოს დილის 7 საათზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი მეუღლე
მარიამ სოლომონის ას.
რატიშვილისა
გამოსვენება დღეს, 5 საათზე, (ჯორჯაძის ქუჩა № 2). დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე. 477

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე ნინო და შვილი მერი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ მეგობრებს, რომ შაბათს, 30 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე, ქ. ბათომში სოუქსის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ
ალექსანდრე სალიკის-ძე შენგელაიას
ხსოვნის აღსანიშნავათ. ნ. 1274

ანა გრიგოლის ასული ქვანია, ელოთი აუწყებს ნათესავებს და მეგობრებს, რომ
ივანე ლუკას-ძე ქვანიას
ხსოვნის აღსანიშნავად შაბათს, 30 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე ქ. ქუთაისში საფიჩხიაზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი. 4756

დამწუხრებული მეუღლე ბარბარე, ქვისლი სტეფანე ხაზანოვი მეუღლით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ შაბათს, 30 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე ვერის ახალ სასაფლაოზე—ანდრო ახმეტელის საფლავზე—გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი „საქართველოს ღვინო"-ს მუშის დაუვიწყარ
გიგო ახმეტელაშვილის
ხსოვნის აღსანიშნავად (ე)

ტირაჟი—55,363 საგაზეთო გამომცემლობათა სტამბა, „კოლექტივი", კამოს ქ. № 68. მთავლიტი № 904